ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 12 მარტი 1998 №35 (570) ფასი 50 თეთრი

## საქართველოს თასი
მეოთხედფინალი

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 8:0 | იბერია |
| თსუ | 1:3 | კოლხეთი ფოთი |
| დილა | 0:0 | მაღაროელი |
| ბათუმი | 6:0 | კოლხეთი ხობი |

# ნახევარფინალში: დინამო, ბათუმი, თსუ და დილა



ბადრი ქათამაძის ფოტო

გუშინ მცხეთაში: „დინამო“ — „იბერია“. მიხეილ აშვეთიამ (№9) სამრედიელები პოკერით დაამათა

მცხეთა „არმაზი“ 11 მარტი

### დინამო 8:0 იბერია

**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე, გელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გურჩუა, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (პეტრიაშვილი 66), მუჯირი (ბურდული 55), ხომერიკი (წიტაიშვილი 60)

**იბერია:** ლაბაძე (ქოლაძე 46), გეგეშიძე, ბრეგვაძე, ჭელიძე, ქობესაშვილი, თოდუა, ჩომახიძე (ივეჩიანი 46), ბ. ნიკოლეიშვილი (გ. ნიკოლეიშვილი 46), ვ. გიგიაძე, ბაკურაძე, შ. მუმლაძე

1:0, 2:0, 3:0 აშვეთია (13, 22, 29), 4:0, 5:0, 6:0 ხომერიკი (33, 45, 49), 7:0 აშვეთია (64), 8:0 ბურდული (80)

**გაძევება:** პეტრიაშვილი

**მსაჯი:** გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

# დანაშაული და სასჯელი

სენსაცია არ განმეორდა. უფრო სწორად, არ შედგა. სამტრედიაში სირცხვილნაჭამმა „დინამომ“ მეტოქე უმოწყალოდ გვემა. არა, დინამოელთა ნახევარფინალში გასვლა არავის აეჭვებდა, მაგრამ... სწორედ ეს მაგრამ აიმედებდა „იბერიას“, იქნებ სასწაულიც მოხდესო, ფიქრობდნენ და მატჩიც საკმაოდ დარაზმულებმა დაიწყეს. არაფერი გამოვიდა. ექვსი დღის წინ გაწბილებული ჩემპიონი შეუჩერებელი შეიქნა. ყიფიანს მეტად დიდი პოტენციის იარაღი გააჩნია — „დინამოსთვის“ დიდი ხნის ნანატრი აშვეთია, თამაშისას ყველასთვის გამოუცნობი ფორვარდი. იგი მუდამ იქ არის, სადაც კანონით არ უნდა იყოს. იქიდან არტყამს, საიდანაც გოლი არ უნდა გადიოდეს. ბურთს იმ კუთხეში აგზავნის, რომელიც მეკარეს აზრადაც ვერ მოუვა და უმეტესად გამარჯვებული რჩება. ხშირად ვინახავს გახარებული, ხელებშემართული და ყოველივე ალალიც არის ასეთი ფეხბურთელისთვის. მას ბევრი გაუმწარებია, ალბათ, კიდევ მრავალს დაალონებს და ყიფიანიც ბედნიერი უნდა იყოს, ასეთი თავდამსხმელი რომ ჰყავს.

„დინამოს“ ხელმძღვანელებს არც ნახევარდაცვის და სხვა წინახაზელებისა უნდა ჰქონდეთ სასაყვედურო. დიდავა, ცქიტიშვილი, მუჯირი, კიკნაძე ალექსიძე ხომერიკი, წიტაიშვილი, პეტრიაშვილი — ამათ თუ მოინდომეს, ბევრს მიაღწევენ. ველოდით უკეთეს მერმისს. მთავარია, ეს ბიჭები არ გავფანტოთ. ისევ ახალი გუნდი არ გახდეს შესაკრები და კლუბის ხელმძღვანელთა ჯერჯერობით უტოპიური ოცნება ორიოდ წელიწადში რეალობას მიუახლოვდება.

და „იბერია“?! ახალგაზრდულ, მეტად პერსპექტიულ გუნდს თავის ჩაქინდვრა და ფსიქოლოგიურად დასუსტება არაფერში წაადგება. ბიჭებმა მხოლოდ საწყისი ათი წუთი გაძლეს, მხოლოდ ამ მონაკვეთში ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებას, მერე კი გამოცდილება და კლასი არ ეყოთ. მერე რა, რომ არასაფეხბურთო ანგარიშით წააგეს, მერე რა, რომ გული დასწყდათ. „დინამოს“ ბევრი გაუმწარებია. სამტრედიელებს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი და თუ უძლიერესთა შორის ადგილის დაბრუნება სურთ, ყველაფერი ვაჟკაცურად უნდა გადაიტანონ. მთავარი ბრძოლები ხომ წინ ელით.

დაბოლოს, მატჩის ერთ-ერთ მომენტს დავუბრუნდებით, რადგან სხვა მნიშვნელოვანიც არაფერი მომხდარა, გოლების სათითაოდ აღწერას კი აზრი არა აქვს. თამაში მთავრდებოდა. ყველაფერი ისედაც გარკვეულ-გადაწყვეტილი გახლდათ, როცა გურამ ასკარ-ოღლიმ პეტრიაშვილს წითელი ბარათი უსახსოვრა და მინდვრიდან მიაბრძანა. გაძევების მიზეზი გინება იყო. პეტრო მსაჯს ჯარიმას თხოვდა, მაგრამ ნერვებს აყოლილმა სხვა რამ მიილო საჩუქრად. ახლა არა აქვს მნიშვნელობა, სამტრედიელებმა წესი მართლა დაარღვიეს, თუ არა, ჯარიმა რომც ყოფილიყო, ფეხბურთელს 8:0-ზე სადაო რა უნდა გაგიჩნდეს. გაძევებამ პეტრიაშვილი აზარალა, თორემ „დინამოს“ ამით დიდად არ დაუშავდება. დასანანია, როცა თავდამსხმელს გულშემატკივრებისთვის მიცემული პირობა ავიწყდება.

*თბილისის „დინამოს“ გუშინდელი „გაავება“ პირველი არ ყოფილა. ამ რვა წლის მანძილზე თასის გათამაშებაში „დინამოს“ 22-ჯერ მოუგია დიდი ანგარიშით. ქვემოთ ყველა იმ ეტაპის მატჩებს გაგახსენებთ, თბილისელებმა ერთი მატჩში მაინც რომ გაანადგურეს მეტოქე.*

| | | |
|---|---|---|
| **I თასი** | | |
| 1/16 | კრწანისი | 3:2, 5:0 |
| 1/8 | მართვე | 2:2, 6:0 |
| 1/4 | კოლხეთი | 3:0, 5:4 |
| **II თასი** | | |
| 1/16 | მრეტები | 2:1, 4:0 |
| 1/8 | საბოვნელა | 6:0, +:- |
| **III თასი** | | |
| 1/16 | მრეტები | 0:2, 5:1 |
| 1/8 | კოლხეთი | 7:0, +:- |
| 1/4 | შევარდენი | 4:1, 5:0 |
| 1/2 | ტორპედო | 3:0, 3:1 |
| **IV თასი** | | |
| 1/4 | სამგურალი | 11:0, 1:3 |
| **V თასი** | | |
| 1/4 | სამტრედია | 0:2, 5:1 |
| 1/2 | ოდიში | 4:3, 11:1 |
| **VI თასი** | | |
| 1/4 | დილა | 3:0, 4:0 |
| 1/2 | სამტრედია | 1:1, 3:0 |
| **VII თასი** | | |
| 1/8 | დინამო 2 | 5:0, 5:1 |
| 1/4 | სიონი | 6:0, 2:0 |
| 1/2 | მერანი | 2:0, 3:0 |
| **VIII თასი** | | |
| 1/8 | შორვინალი | 1:2, 3:0 |
| 1/4 | იბერია | 0:1, 8:0 |

SUPER CUP

### დორტმუნდი 1:1 ბარსელონა
პირველი მატჩი 0:2

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 12 მარტი

**დორტმუნდი:** კლოსი, ბინცი, ფროინდი (მენერტი 20), კოლერი (კიროვსკი 73), შნაიდერი, კრეე, პაინრიხი, რიკენი, დემეიკერი, ცორკი, შაპუიზა (გამბო 46)

**ბარსელონა:** ჰესპი, ფერერი, ბოგარდი, ნადალი, სერხი, სელადესი (ამორი 79), ლუის ენრიკე (ჩირიჩი 89), ფიგუ, ჯოვანი, რივალდო, ანდერსონი (ოსკარი 71)

0:1 ჯოვანი (8), 1:1 პაინრიხი (64)

# სუპერბარსელონა

ლუის ვან გაალმა პირველი ბარსელონური ჯილდო მოიპოვა — ევროპის სუპერთასი. ტიტულებით შემოსილი ჰოლანდიელი მწვრთნელი შარშან ზაფხულზე ახალი მწვერვალის დაპყრობას შეუდგა და აი, პირველი შედეგიც.

წუხელ დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“ საპასუხო მატჩი შედგა. მასპინძელთა წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა, „კამპ ნოუზე“ წაგებული 0:2 უნდა გამოესწორებინათ, მაგრამ სასტარტო სასტვენიდან შვიდ წუთში ჯოვანი მეკარე შტეფან კლოსთან პირისპირ შეიჭრა და ნათელი გახდა, რომ რურის ოლქის ქომაგებს სასწაულის იმედიღა უნდა ჰქონოდათ. „დორტმუნდს“ უკვე ოთხი გოლი სჭირდებოდა.

ვისთვის და გერმანელთათვის სასწაული ჩვეული საქმეა. განა ერთხელ ან ორჯერ მომხდარა, ჩამორჩენილთ ძალა რომ მოუკრებიათ, ერთ მუშტად შეკრულან და გზად ყველაფერი გადაუთელიათ? მეტჯერ, გაცილებით მეტჯერ მომხდარა, მაგრამ წუხელ სხვა იყო. „ბარსელონას“ საიმედოდ გადაეკეტა მისი კარისკენ მიმავალი ყველა გზა. კონტრშეტევისას კი მეტად მწვავედ თამაშობდა.

არაა გამორიცხული, რომ კატალონიელებს მეტად სწყუროდათ სუპერთასი. ჯერ ერთი სტუმრად 0:2, მერე ბუნდესლიგის გაჭაღლებული ჩემპიონატი, რომელიც დიდძალ ენერგიას ძითხოვს და ცხადია შემდეგი ოთხშაბათის მატჩი მიუნხენის „ბაიერნთან“, ჩემპიონთა თასზე — ეს ფაქტორები გერმანელთა ყვითელშავრმიან გუნდს ცხადია სხვა თვალით დაანახებდა სუპერთასს. ბრწყინვალე გამთამაშებლის ანდრეას მიოლერის არყოფნა ალბათ სადღაც აქ უნდა ვეძიოთ. ალბათ იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ მიოლერი დაასვენა.

და მაინც, წუხელ დორტმუნდი ზოგადადაც არ ჩანდა იმ კლასის გუნდად „ბარსელონას“ რომ დაამარცხებდა. თამაშის გაშლა თუ ჩაშლა, დარტყმა თუ დაზღვევა, ყველაფერი ერთიორად უკეთ კატალონიელებს გამოუდიოდათ. თუმცა ეს უფრო პირველ ტაიმზე ითქმის.

მეორე ნახევარს მოკლედ არც იქით, არც აქეთ, შეიძლება ეწოდოს. თუმცა, მთლად სწორი არც ეს შეფასებაა, რამეთუ ტაბლო გვეუბნება, რომ ამ ტაიმში მასპინძლებმა ერთი გოლი შეაგდეს, სტუმრებმა — ვერა. გოლი ბარსელონელთა დაცვის შეცდომას მოჰყვა. მარჯვენიდან, საჯარიმოს კიდიდან ჩაწოდებულს, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ჰაინრიხმა ახლო მანძილიდან უხელთა და ძლიერი დარტყმით ბურთი ჰოლანდიელი მეკარის რუუდ ჰესპის კარში შეაგდო.

ზემოთ კლოსი ვახსენეთ, ახლა ჰესპი. მეკარეები მართლაც ცალკე თემაა. მათ საუცხოოდ ითამაშეს. შესაძლოა წუხელ მობურთალთაგან არავის გაუბრწყინია, მაგრამ მეკარეებმა ჩინებულად მოიგერიეს ყველა დარტყმა თითოს გარდა.

ისე კი, გულწრფელად თუ ვიტყვით სუპერთასი მაინც არაა ის, რაც გვინდა თუ უნდა იყოს. არც სიხარულია დიდი და არც გულისტკივილი. უბრალოდ ლამაზი ჯილდოა, რომელიც გუშინ ლამაზად მოთამაშე გუნდს გადაეცა.

REUTERS დორტმუნდიდან



ცეკვა „ვესტფალენშტადიონზე“. სონი ანდერსონი მარტინ კრეეს (მარცხნივ) და იურგენ კოლერის ალყაში

# ლატვია მეზობლად

EURO 2000

### ჩვენი ჯგუფი

როგორც შევიტყვეთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე ლატვიის ეროვნული გუნდი 16 აპრილს ჩვენს მეზობლად, ბაქოში ჩავა და აზერბაიჯანს ამხანაგურად გაეჯიბრება. ჭიჭუაშვილის გუნდს ჩვენებთან და სომხებთან თამაშიც სდომებია, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი ისმის.

### ჰოლანდია
თასის მეოთხედფინალი

ტვენტე 3:1 ვიტესი
აიაქსი 2:1 ბრედა

1:0 ფ. დე ბური (283), 2:0 გორი (42), 2:1 ბოგდანოვიჩი (63)

### იტალია
თასის ნახევარფინალი

ლაციო 2:2 იუვენტუსი

ორი მატჩის ჯამში ლაციომ მოიგო 3:2 და ფინალში გავიდა

### თურქეთი
თასის ნახევარფინალი

გალათასარაი — ტრაბზონსფორი 4:2; ბეშიქთაში — ქოჯაელი 0:1 (4:1დ.დ.); ფინალში „გალათასარაი“ „ბეშიქთაშს“ შეხვდება.

მცხეთა
„არმაზი“
10 მარტი

**თსუ 1:3 კოლხეთი** *ფოთი*

**თსუ:** დოლიძე, კვიტატიანი, კობიაშვილი, სვანიძე, შალამბერიძე, ყოლბაია (გ. გვაზავა 83), გემეზაშვილი (რუსია 77), კ. მელქაძე, მაზიაშვილი, კობესაშვილი (ვერემჩუკი 70), გ. ქორიძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გიორგაძე, გიორგობიანი, ლალანიძე (დ. მახარაძე 46), ნოზაძე (ჩხენკელი 46), ქუტიძე, სუხიაშვილი, წივწივაძე, მ. ქობულაძე
1:0 ქორიძე (40), 1:1 ქობულაძე (47), 1:2 წივწივაძე (53), 1:3 ქობულაძე (91)
მელქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (48)
**გაფრთხილება:** მელქაძე, კობიაშვილი, ქორიძე, მაზიაშვილი, წივწივაძე
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

# მიშა ქობულაძე

**კობა ინასარიძე** მცხეთიდან

მართალი უთქვამს სტუდენტთა მწვრთნელ ოთარ გაბელიას ფოთში თამაშის შემდეგ — არა, ვერ ვიტყვი, რომ ნახევარფინალში უკვე გასული ვართ. „კოლხეთი“ „კოლხეთია“, მცხეთაში რას მოიმოქმედებენ, ღმერთმა უწყისო.

კოლხებმა მცხეთაში რაც ჩაიდინეს, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. ეგაა, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ერთი ბურთი დააკლდათ. ის ერთი, რომლის გატანაც მრავალჯერ შეეძლოთ. თბილისელები გუბაზ დოლიძეს უმადლოდნენ, ორჯერ მკვდარი ბურთი რომ აილო.

მთელი მატჩის განმავლობაში თვალნათლივ ჩანდა სტუმრების უპირატესობა, თუმცა შესვენებამდე ვერაფრით მიაღწიეს საწადელს. თითქოს ტაქტიკურადაც გამართულად თამაშობდნენ, პასებსაც დროულად აწვდიდნენ ერთმანეთს, სტუდენტთა საჯარიმომდეც უპრობლემოდ აღწევდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავდნენ. მასპინძლებმა, პირველი მატჩის დარად, ახლაც ერთი თავდამსხმელით ითამაშეს, რომლის დახმარებასაც პარტნიორები, ფოთისგან განსხვავებით, ერთობ აგვიანებდნენ. იქნებ სტუდენტთა შინაური მარცხის მიზეზი ესეც იყოს ფოთელთა გონივრულობასთან ერთად? არა მგონია. ზოგიერთი გულშემატკივრის აზრით, სტუდენტები, რა ანგარიშითაც უნდა დამარცხდნენ, კოლხებზე მაინც ძლიერები არიან. ეს გასაგებია, თავდაკლული ქომაგისგან გასაკვირი არაფერია, მაგრამ რეალობას რა ვუყოთ? იმ რეალობას, რომელმაც სრულიად საპირისპირო დაგვანახა? ვფიქრობ, ორივე გუნდი ქებას იმსახურებს, ორივემ კაცურად ჩაატარა ორივე თამაში. იყო ბრძოლა, ნერვიულობა, ლამაზი გოლები, ჭკვიანური კომბინაციები. თუმცა სუბიექტურად გეტყვით, გუშინწინ „კოლხეთი“ რაღაცით უფრო ძლიერი აღმოჩნდა თბილისელ სტუდენტებზე. ის რაღაც კი უფრო ტექნიკაა, ვიდრე სხვა რამ. ესენი 14-ში კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან „არმაზის“ სტადიონზე ერთმანეთს, უკვე ჩემპიონატის მატჩში და ვნახავთ, საბოლოოდ ვინ — ვის. ჯერჯერობით 4:3 სტუდენტთა სასარგებლოდაა. ორ დღეში გაბელია კვლავ ფილიას დაუპირისპირდება, მწვრთნელთა პაექრობა კიდევ გაგრძელდება, ჯერჯერობით კი მათ შორის სრული თანაფარდობაა. თოთხმეტამდე გაბელიას თავისი შეგირდების ტექნიკურად უნაკლოდ მომზადება ძალიან გაუჭირდება, ხოლო ფილიას — მასპინძელთათვის წამლის მოძიება, თუმცა კი რეცეპტი უკვე ნაშოვნი აქვს. ვნახოთ, დღეისთვის რთულია იმისი თქმა, ღირდა თუ არა თსუ ან „კოლხეთი“ იმსახურებდა ნახევარფინალის საგზურსო. უდავო კია — თსუ ღირსეული ნახევარფინალისტია, რადგანაც ასე შორს გუნდები შემთხვევით ვერ გადიან. ლოგიკა ლოგიკის წილ — ფოთში თბილისელებმა სისწრაფით და ტაქტიკით მოიგეს, მცხეთაში „კოლხეთმა“ — ტექნიკითა და ფიზიკური მომზადებით. ახლა ნათელია, კოლხები ფოთში გადამწვარნი იყვნენ. ბურგასიდან დაბრუნებულებმა ენერგია სრულად ვერ აღიდგინეს, რამაც წააგებინათ კიდეც. „არმაზზე“ კი, ყველაფერთან ერთად, სტუდენტთა მხრიდან მეტოქის შეუფასებლობასაც ჰქონდა ადგილი.

მატჩის მიმდინარეობას რაც შეეხება, ზოგადად ზემოთაც მოგახსენეთ. ახლა გოლებზე: ჯერ გემეზაშვილის მარცხნიდან შეტევა და დარტყმული ვერ მოიგერია სწორი მიმართულებით ქვაჩახიამ, რითაც ქორიძემ ისარგებლა. მეორე ტაიმის პირველსავე შეტევამ ქობულაძე — წივწივაძის კედელი და ქობულაძის გოლი მოიტანა. იქვე, ცენტრიდან განახლებული შეტევისას, ფანიაშვილმა თსუ-ს სასარგებლოდ საეჭვო პენალტი დანიშნა, მაგრამ სამართალმა პური ჭამა — მელქაძეს ქვაჩახიამ აუღო. შემდეგ გიორგაძემ ჯარიმა მიქაბერიძეს გაუთამაშა, მანაც ჩააწოდა და წივწივაძემ ულამაზესი ტრაექტორიით ცხრიანში ჩასვა თავურით.

სულ ბოლოს კი მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, მიშა ქობულაძემ ყველაფერს წერტილი დაუსვა — სუხიაშვილის კუთხურით თავით მესამედ შეაგდო. მათ შორის შექმნილ მომენტებზე კი ალბათ აღარც ღირს ყურადღების გამახვილება.

მატჩის შემდეგ ტანმაღალმა, გამჭრიახმა და ნაჯაფმა მიშა ქობულაძემ ეს გვითხრა: ჩემი თანაგუნდელებისა არ ვიცი, მაგრამ პირადად მე ფოთში ძალიან დაღლილი ვთამაშობდი. შინ დამარცხების მთავარი მიზეზიც ეგ არის. დღეს კარგად გავისარჯეთ და ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, ნახევარფინალში გავიდოდით. მეტოქე ფიზიკური მომზადების ხარჯზე დავჯაბნეთ. მეც ნორმალურად ვითამაშე, თუმცა ყველაფერი კოლექტიური მონდომების შედეგიაო. მართლაც ასე იყო, ქობულაძემ გუნდისთვის მოიწადინა, დანარჩენებმაც მხარი აუბეს და გამარჯვებულები, ოღონდ მაინც დამარცხებულები, ფოთში გაემგზავრნენ. ხვალ კი უკანვე წამოვლენ.



მიხეილ ქობულაძე საჰაერო ბრძოლებისას ყველაზე მაღლა ხტებოდა

# რას დაადუმებენ ყრმათა ბაგენი?



ზაზა ზირაქიშვილმა (მარცხნივ) ორ თამაშში ოთხი გოლი გაიტანა

ბათუმი
„დინამო“
10 მარტი

**ბათუმი 6:0 კოლხეთი** *ხობი*

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (მაქაცარია 46), მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, სოლოლაშვილი (ყულევჯიშვილი 68), კანტიძე (ნ. მინდიაშვილი 46), ზირაქიშვილი
**კოლხეთი:** მიქაია (თოლორდავა 46), ონიანი, კაციტაძე, ჯამბურია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოჩა კვარაცხელია, დანელია, ლ. გვაზავა (ქარდავა 46), ქაშიბაძე, ზაზა აიანადი
1:0 ზირაქიშვილი (11), 2:0 ი. მახარაძე (21), 3:0 ღლონტი (31), 4:0 ი. მახარაძე (40), 5:0 ზირაქიშვილი (64), 6:0 ღლონტი (70)
**გაფრთხილება:** თოლორდავა
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**იუზა კაციტაძე** ბათუმიდან

თასის ნახევარფინალში თამაში ბათუმელებმა უკვე პირველ მატჩში გაინაღდეს, როდესაც სტუმრად დიდი „მშრალი“ ანგარიშით 5:0 სძლიეს მეტოქეს. მართლაც საპასუხო შეხვედრაში „კოლხეთი“ სასწაულს რომ ვერ მოახდენდა, ცხადზე უცხადესი გახლდათ. ამ ეტაპზე მეორეჯგუფელი გუნდი აშკარად მოისუსტებს. ამიტომ საკითხავი ესღა იყო — შეძლებდნენ თუ არა მასპინძლები ხობში მიღწეული შედეგის გაუმჯობესებას.

„ბათუმმა“ თავიდანვე მძლავრად შეუტია და მე-3 წუთზე ანგარიშიც უნდა გაეხსნა. მინდაძემ მარცხენა ფლანგზე იაქტიურა, კარგადაც ჩააწოდა კარის გასწვრივ, მაგრამ ზირაქიშვილმა ექვსიოდე მეტრიდან ვერ მოახერხა იერიშის დაგვირგვინება, თუმცა ფორვარდმა თავისი შეცდომა რამდენიმე წუთში გამოასწორა. კანტიძემ მოედნის სიღრმიდან გამოზომილი პასით ღლონტი ჩართო შეტევაში, ისიც სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა და დარტყმაც არ დააყოვნა. ბურთი კი ძელს მოხვდა, თუმცა გადმოვარდნილთან ყველაზე სწრაფად ზირაქიშვილი გაჩნდა და გატანა აღარ გასჭირვებია. მართალია, მე-19 წუთზე გოლი არ გასულა, მაგრამ შეყილაძე ვაისარჯა ჩინებულად: ველამ თავისსავე ნახევრიდან წამოწყებული სწრაფი და უშიშარი რეიდი კოლხთა საჯარიმოში დაასრულა. ეს იყო, კარში დარტყმისას ბურთი ფეხზე ვერ მოირგო და ააცილა. შეყილაძემ ვერა და იმავე ფრთიდან იერიშში ჩართულმა ივანე მახარაძემ კი გაარა. მან ოდნავ წინ გასულ მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი, რომელიც შორეულ კუთხეში ჩაეშვა.

ბათუმელები დიდხანს და დინჯად აკონტროლებდნენ ბურთს, როგორც წესი, შეტევაში მთელი გუნდი ებმებოდა. და მაინც, თამაშის გამწვავება მხოლოდ მეტოქისთვის მოულოდნელი გრძელი პასების შემდეგ თუ ხდებოდა შესაძლებელი. სწორედ ასეთი მოქმედების შედეგად აღმოჩნდა ხობელთა კარში მორიგი ორი ბურთი. ჯერ ღლონტმა კანტიძის საუცხოო გადაცემით ისარგებლა, სოლოლაშვილის მარცხნიდან ჩაწოდებულზე კი ივანე მახარაძე გავიდა კარგად და საჯარიმოს კუთხიდან შეუჩერებლივ დაარტყა. ულამაზესი გოლი იყო.

ცალკარა შესვენების შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ თუკი პირველ ტაიმში სტუმრებს საერთოდ არ შეუწუხებიათ ტოგონიძე, მეორეში მათაც სცადეს ვალაშქრება, თუმცა არაფერი გამოუვიდათ. ქაშიბაძემ ორი სახიფათო საჯარიმო გააცუდა, ერთი ხელსაყრელი მომენტი ზაზა აიანადიმაც ვერ გამოიყენა. ეს იყო და ეს. როგორც ვთქვით, დანარჩენი თამაში კოლხთა ნახევარზე მიმდინარეობდა. ბათუმელები ისევ და ისევ დიდი ძალებით ერთვოდნენ იერიშებში. აბა, რა გზა ჰქონდათ, რომც სდომოდათ, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ — ამის ნებას მასპინძლებს მათივე ქომაგები არ მისცემდნენ. ისინი კი გუშინწინ იცოცხლეთ, საკმაოდ იყვნენ სტადიონზე. ყველაზე დიდი ტრიბუნა თითქმის მთლიანად მოსწავლეებს ეჭირათ. ნაირნაირი დროშების ფრიალით ბათუმელი გოგო-ბიჭები მთელი თამაშის განმავლობაში შესაშური მონდომებით ამხნევებდნენ თავისიანებს. მოდი და ნუ ითამაშებ. თუ დამიჯერებთ, ასეთი მხარდაჭერა „ბათუმს“ თვით „სელტიკთან“ და „ეინდჰოვენთანაც“ კი არ ჰქონია. ბათუმის სტადიონზე ამიერიდან ყოველთვის ასე იქნება, 2 ათასი ბავშვი უფასოდ დაესწრება მატჩებს.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ორი ხომ შეაგდეს, ორჯერ ძელს გაარტყეს და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენჯერ დააფრთხეს კოლხთა მეკარე. მოკლედ, „ბათუმმა“ შინ უფრო დამაჯერებლად აჯობა მეტოქეს. ქვეყნის თასის გათამაშებებში ბათუმელთათვის ეს ნახევარფინალი რიგით მეშვიდე იქნება.

რამდენიმე დღეში ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. „ბათუმის“ მზადყოფნაზე კონკრეტულად რაიმეს თქმა ახლა გაუმართლებელი იქნება. „კოლხეთი“ არ იყო ის მეტოქე, ვისთან თამაშიც განსჯის საგნად შეიძლება აქციო. ნაჩქარევ დასკვნებს დალოდება სჯობს, თუმცა ის კი ცხადია, „ბათუმს“ ამ გაზაფხულზე ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა, თანაც ძალების დაუზოგავად.

გუშინწინ ორი ათასი ბავშვი ბათუმელთაგან თასსა და ოქროს მედლებს ითხოვდა, ყრმათა ბაგენი კი...

გორი
ცენტრალური
10 მარტი

**დილა 0:0 მაღაროელი**

**დილა:** გრიგოლ ქანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი (ჩიტაია 46), მარჯაშვილი, ცოცქიშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი (წკრიალაშვილი 73)
**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, მ. გაბრიჭიძე, შეყლაშვილი, ტეფნაძე, ბარამიძე, ბუიშვილი, ჯ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**ბესიკ ჯანგვაძე** გორიდან

# უნდოდათ, მაგრამ...

მატჩი დაწყებული არ იყო, გორელები უკვე ეროვნული თასის ნახევარფინალში გასვლას ზეიმობდნენ, თუმცა გარეგნულად თითქოს არ იმჩნევდნენ.

მავანი ნახევარფინალის კენჭისყრის თარიღის დადგენას ცდილობდა, მავანი კი ზემოიმერთა დიდი ანგარიშით განადგურებას წინასწარმეტყველებდა. ერთადერთი, ვისაც ზომიერების გრძნობა არ ღალატობდა, გორელთა დამრიგებელი ვაჟა ხაჩირაშვილი გახლდათ: „პირველ გასვლით მატჩში გავიმარჯვეთ, მაგრამ ნახევარფინალისტის ვინაობა ორი თამაშის ჯამში ვლინდება. ამიტომ ყოველგვარი მოდუნება ჩვენთვის სავალალოდ შეიძლება დამთავრდეს“.

გონიერი მწვრთნელის შეგონებამ შეგირდებზე დადებითად იმოქმედა. მართალია, ბევრის პროგნოზი არ გამართლდა და გორელებმა სტუმრები ვერ დაამარცხეს, მაგრამ ისე გაისარჯნენ, რომ ჭიათურელებს საერთო წარმატების იოტისოდენა იმედიც არ დაუტოვეს. თუმცა მატჩის დასაწყისში სწორედ ისინი აქტიურობდნენ. არცაა გასაკვირი, მაღაროელებს ხომ უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ. ამან მასპინძლები ოდნავ კი შეაცბუნა, მაგრამ არ დააბნია, მათ დროულად გადაკეტეს დაცვის ხაზში წარმოქმნილი ხვრელები და თავად გადავიდნენ მასირებულ შეტევებზე. გორელებს ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ — ერთი შეხებით შესრულებული მრავალსვლიანი კომბინაციები, სწრაფი, მახვილგონივრული გადაცემები, მაგრამ ყოველივე ეს მოედნის ცენტრში და ზემოიმერელთა საჯარიმოს მისადგომებთან ხდებოდა. თვით საჯარიმოში შეჭრილები კი დამაგვირგვინებელ ფაზაში აშკარა უზუსტობას იჩენდნენ. ჯერ იყო და მე-11 წუთზე პირისპირ დარჩენილმა ხორგუაშვილმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი, შემდეგ იმავე ხორგუაშვილ-რევაზიშვილის ულამაზესი კომბინაციის დაგვირგვინება მარლიშვილს შეეძლო, მაგრამ თავით კარის ცხრიანში გაგზავნილ მის ბურთს გველესიანი ეფექტური ნახტომით გადაელობა. ეს იყო და ეს, ტაიმის ბოლო ათწუთიანი მონაკვეთი საკმაოდ ულიმღამოდ, მიილია.

მეორე ნახევარში სურათი მკვეთრად არ შეცვლილა, მასპინძლები კვლავ გაგამალებით უტევდნენ, ისევ ხორგუაშვილმა ვერ ივარგა ორჯერ. რამდენჯერმე მარლიშვილმაც მოსინჯა ძალა, შორი მანძილიდან დარტყმებით, მაგრამ არაზუსტად. ყოველივე ეს სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივართა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. მავანნი იმასაც გაიძახოდნენ, არ სჭირდებათ, თორემ აუცილებლად გაიტანენო. ძნელია, დაეთანხმო, გორელი ფეხბურთელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მიზნის მისაღწევად, თამაში თამაშია და რაც უნდა იყოს, გოლის გატანა ყველას უნდა. უნდოდათ, როგორ არ უნდოდათ, მაგრამ არც ჭიათურელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მათი დაცვის და განსაკუთრებით მეკარის კარგმა თამაშმა გორელებს ამჯამად გამარჯვების სიხარული არ განაცდევინა.

სათასო მატჩებს ნახევარფინალისტის გარდა ისიც უნდა გაერკვია, როგორ მოემზადა ეს ორი გუნდი ჩემპიონატის მეორე წრისთვის. დასკვნა კი ერთი იყო — ჭიათურელებს სტუმრებთან შედარებით უფრო მეტი შრომა და გარჯა სჭირდებათ ფეხბურთელების სასურველ ფორმამდე მისაყვანად. მომზადებაში მათ, ჭიათურის დათოვლილმა სტადიონმა შეუშალათ ხელი. ცხადია, მათ რთულ პირობებში უწევთ ვარჯიში, ქვეყნის სხვა რეგიონში მოსამზადებელი შეკრების ჩატარება კი ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, რაც ჭიათურელებს თავსაყრელად აქვთ. ასე რომ, გუნდი ფაქტობრივად მოუმზადებელი შეხვდა პირველ სათასო მატჩს, ყოველ შემთხვევაში, ეს გუნდი პირველ წრეში გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა. თუმცა, ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ვითარება გამოსწორდება და ფორსირებული მომზადების შემდეგ გუნდი მის წინაშე დასახულ ამოცანას დადებითად გადაწყვეტს, რაშიც ძირითადად ჯგუფში ადგილის შენარჩუნება იგულისხმება.

მართლაც ასეა — სადაც ბურთია, იქაა „კოკა-კოლა“. ეგ იყო, მსოფლიოში უპოპულარულესმა გამაგრილებელი სასმელების ფირმამ დღიდან საქართველოში არსებობისა დიდი ფეხბურთისათვის ხეირიანად ვერ მოიცალა. საქართველოს ვგულისხმობ, თორემ ყველას კარგად მოეხსენება, „კოკა-კოლა“ მსოფლიო ფეხბურთისთვის რას წარმოადგენს. მარტო ისიც კმარა, მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალური სპონსორები რომ არიან. ბავშვთა ფეხბურთში, იცოცხლეთ, უკვე მეოთხე წელია, ამ ფირმის მეშვეობით საკმაოდ რობით საიდუმლოა, ფეხბურთის ფედერაცია კი ყოველივეს ისე გამოიყენებს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. უნდათ, შეკრებებს მოაწყობენ, უნდათ, ავტობუსს შეიძენენ, უნდათ, პრემიებს დაარიგებენ. სანაცვლოდ „კოკა-კოლას“ სარეკლამო ფარები უნდა განლაგდეს სტადიონებზე, ბაზებზე, საპრესკონფერენციო დარბაზებში. მოკლედ, ყველგან, სადაც ფეხბურთი და ეროვნული გუნდი იქნება. თუმცა, კონტრაქტი მხოლოდ ამას როდი ითვალისწინებს. ისეთი საქმეების გაჩარხვაცაა შესაძლებელი, რომელიც ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება.

# კოკა-კოლა გვპირდება

წარმომადგენლობითი, აზარტული ტურნირები ტარდება. ბავშვებს თამაშის ხალისი მიეცათ, გამარჯვებულებს ნაირნაირი პრიზ-სუვენირებით აჯილდოებენ, საზღვარგარეთ აგზავნიან. მოკლედ, მომავალ თაობაზე ზრუნვას კოკა-კოლელებს ვერავინ დაუკარგავს. აი, თავში ნახსენები დიდი ფეხბურთისა და ფეხბურთელებისა კი, რა გითხრათ. ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ სპეციალისტების აზრით, „კოკა-კოლა“ ხომ ერთ-ერთი იმათთაგანია, დაქცეული საქართველოს ფონზე კაშკაშით რომ გამოირჩევა. ჰოდა, გულსატკენი გახლდათ, არც ფირმისგან, არც ფეხბურთის ფედერაციისგან ბავშვთა ფეხბურთზე მზრუნველობა-სპონსორობის გარდა, თუ წვრილმანს არ ჩავთვლით ბევრი არაფერი რომ ისმოდა. მით უმეტეს, მაშინ, როცა ეროვნული ნაკრები ფაქტობრივად ყველასგან მიტოვებული იყო.

ამას წინათ ხმები დაირხა, „კოკა-კოლა“ ეროვნული ჩემპიონატის სპონსორობას აპირებსო. გავიხარეთ, ვიფიქრეთ, მათი მხარდაჭერით ჩემპიონატი იქნებ რამეს დაემსგავსოსო. ტყუილი იყოო, არ ითქმის, არც უსაფუძვლო ჭორები დადიოდა. საქმე ისაა, რომ „კოკა-კოლა“ მართლაც აპირებს სპონსორობას, ოღონდ თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, დაახლოებით ერთ თვეში ეს უძლიერესი ფირმა საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი დამფინანსებელი იქნება. ეს ამბავი გუშინ „კოკა-კოლას“ ოფისში მისულთ კომპანიის მარკეტინგისა და პირდაპირი რეალიზაციის მენეჯერმა, ბატონმა კახა კანდელკმა გვითხრა. თან დაამატა, კომპანიის წარმომადგენლები, ვინც ასეთი საქმის კონტრაქტების სპეციალისტები არიან, ახლა ჰონკონგში იმყოფებიან, იქაურ ამბებს მოაგვარებენ თუ არა, პირდაპირ საქართველოში ჩამოვლენ და ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობას შეუდგებიანო. ორივე მხარე კონტრაქტის პირობებზე უკვე შეთანხმებული ყოფილან, უმნიშვნელო დეტალებიღა დარჩა გასარკვევი. კარგი ამბავია, ვერაფერს იტყვი, ეროვნულს თუ სპონსორი ეყოლება, თანაც ასეთი, ამას რა სჯობს. კონტრაქტი თურმე მარტო ფინანსურ საკითხებს როდი ითვალისწინებს. კომპანიას დაგეგმილი აქვს, ქართველი მსაჯები, მწვრთნელები, ფეხბურთთან დაახლოებული ადამიანები თავისივე ხარჯებით უცხოეთს მიავლინოს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ფინანსური დახმარება რას გულისხმობსო, შეიძლება იკითხოთ. რას და, „კოკა-კოლა“ ფედერაციას გარკვეული რაოდენობის თანხას გადაურიცხავს, რომელიც ჯერჯე-

რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატის სპონსორობას, ბატონმა კახამ თქვა, ამის თაობაზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ ყოფილა, მეორე ეტაპზე შეიძლება ეს საკითხიც მოვაგვაროთ. ჩვენ დაინტერესებულები ვართ, სიამოვნებით ვითანამშრომლებთ. სურვილი გვაქვს, როგორც ინგლისშია, თასისგათამაშება „კოკა-კოლამ“ ჩაატაროს. თუმცა ეს სურვილია, როდესაც ჰონკონგიდან ჩამოვლენ, ყველაფერთან ერთად ამ საკითხზეც მოვილაპარაკებთ. მანვე ერთი საინტერესო ამბავიც გვამცნო: კომპანიას უკვე დაუწყია ბავშვთა მორიგი ტურნირის ჩატარება მინი-ფეხბურთში, რომელშიც სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, გორსა და თელავში 11-12 წლის ბავშვები ერთმანეთს გაეჯიბრებიან, მათ ახლო-მახლო რეგიონებიდანაც შეემატებიან, საბოლოოდ გამარჯვებულები თბილისში შეიკრიბებიან, ასე ვთქვათ, ფინალურ ეტაპზე მონაწილეობისთვის. მათ შორის საუკეთესო მეკარეს, მცველს, ნახევარმცველს და ბომბარდირს კი ჟიურის წევრები შეარჩევენ, რომლებიც 27, 28, 29 ივნისს საფრანგეთში გაემგზავრებიან. ორი ქართველი ბიჭუნა თამაშების დაწყებამდე მონაწილე გუნდთა დროშებს ააფრიალებს, ორიც იმ სამი დღის მანძილზე ჩატარებულ თამაშებზე ბურთის მიმტანი იქნება, ლონისძიება მთელს მსოფლიოში ჩატარდება და სახელად „საფრანგეთი 98“ ჰქვია. საქართველოში ხელშემწყობნი კი ფეხბურთის ფედერაცია, განათლების სამინისტრო და ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციაა. ეს ინფორმაცია ბავშვებისთვისაა საყურადღებო და მნიშვნელოვანი, თორემ დიდებს „კოკა-კოლას“ საცობები დაეხმარება საფრანგეთში წასასვლელად, როგორც კახა კახდელაკმა თქვა, იმ ათი საგზურიდან ოთხმა უკვე ჰპოვა თავისი პატრონი, დანარჩენი ექვსი კი ჯერაც გათამაშებაში.

ერთი სიტყვით, კომპანია „კოკა-კოლა“ ეროვნულ ნაკრებზე ზრუნვას იწყებს. ღმერთმა ინებოს და ნაკრებს სხვა სპონსორებიც თუ გამოუჩნდება, მათ შორის ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების სხვა ფირმა არ იქნება. ეს კონტრაქტის ერთ-ერთი პირობაა. ამას ფიფაც მკაცრად აკონტროლებს, რადგანაც თითოეულ ფედერაციას სწორედ ფიფა უწევს რეკომენდაციას, თუ კონტრაქტს ვინმესთან გააფორმებენ, სასურველია ეს „კოკა-კოლა“ იყოს. ფიფა თავადაც დაინტერესებულია, ეროვნულმა ფედერაციებმა ამ კომპანიასთან ითანამშრომლონ...

**კობა ინასარიძე**

# ხოცავენ ერთმანეთს

**EURO 2000**
**ჩვენი ჯგუფი**

სააგენტო „როიტერმა“ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალბანეთში ტირანას „პარტიზანი“ ქვეყნის პირველობას ბოიკოტს უცხადებს. მიზეზი: ფეხბურთელებსა და მსაჯებს ხშირად ესხმიან თავს. „პარტიზანი“ დღეისთვის მეორე ადგილზეა, მაგრამ მას მერე, რაც 28 თებერვალს ელბასანში არბიტრსა და თანამსაჯზე თავდასხმა იხილა, ბრძოლის გაგრძელება აღარს სურს. საქმე ისაა, რომ ეს მსაჯები გასახდელ ოთახში, შესვენებისას ელბასანელმა გულშემატკივრებმა სცემეს. მართალია, გუნდი დაისაჯა, მას ნეიტრალურ სტადიონზე მოუწევს ორი შეხვედრის ჩატარება და თან 50 ათას ლეკსაც გადაიხდის, რაც 300 დოლარს უდრის, მაგრამ ამით რამე შეიცვლება? გეხსომებათ, ერთი კვირის წინ ალბანელმა მსაჯებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს: 15 წუთით დააგვიანეს ყველა თამაშის დაწყება.

„პარტიზანი“ ბოიკოტს მანამ გააგრძელებს, სანამ ალბანეთის მთავრობა და ფეხბურთის ფედერაცია ძალადობას საფეხბურთო სტადიონებს არ მოაშორებენ.

ალბანური გაზეთების აზრით, ასეთი თვითნებობა „პარტიზანს“ შესაძლოა მეორე დივიზიონში გაგდებად დაუჯდეს.

დავამთავრეთ თუ არა სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ამ ინფორმაციის წერა, მსოფლიოს ახალი ცნობა მოედო — „პარტიზანის მწვრთნელი პერლატ მუსტა ავტომატური თოფით მძიმედ დაჭრეს. მუსტა 40 წლის კაცია.

იყო კი სროლა დაკავშირებული ფეხბურთთან? როგორც ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიკო პაპადოპული ამბობს, არა. თურმე მუსტას დამჭრელს, მის კარის მეზობელს პოლიციაში უთქვამს მაგ კაცს სხვა ანგარიში გავუსწორე, ფეხბურთი კი ჩემი საქმე არ არისო.

გახარებულმა პაპადოპულიმ მყისვე ინტერვიუ მისცა — ვინაიდან თავდასხმა სტადიონზე არ მომხდარა დამნაშავე მე კი არ ვარ, პოლიცია არისო.

დავუბრუნდეთ ბოიკოტს. თურმე „პარტიზანი“ პირველი გუნდი სულაც არ არის, ვინც ალბანეთის საძაგელი ჩემპიონატიდან გაქცევას ლამობს, იგი მეხუთეა. აურზაურს კი ეს ფაქტიც ადასტურებს — მიმდინარე სეზონში უკვე 11 ალბანური გუნდი დაისაჯა მშობლიური სტადიონის დისკვალიფიკაციით.

# რატომაა კანუ აფრიკელი და ვეა ევროპელი?

ო, იტალიური ლიგა შესაძლოა ევროკავშირს დაეჯახოს და თან ძლიერად. საქმეს ისეთი პირი უჩანს, იტალიელები ბოსმანურ წეს-კანონებს ყურად აღარ იღებენ და თავიანთი ჩემპიონატის გუნდებში უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობას ალვირს მოსდებენ.

ყველაფრის თავი და თავი ქვეყნის სპორტის მინისტრი ვალტერ ველტრონი გახლავთ. ოპოზიციური იდეა მან წამოაყენა, ევროკავშირელი და არაევროკავშირელი მოთამაშეები ჩემთვის ერთნი არიანო.



ნვანკვო კანუ

ახლა დახეთ, ამასთან ერთად, იმისთვის, რომ იტალიური ლიგის ეროვნული ხასიათი არ მოიშალოს, ველტრონიმ უცხოელთა რაოდენობის შეკვეცაც ისურვა. გეგმა ასეთია: თითოეული თამაშის 16 კაციან განაცხადში უნდა იყოს დიდი-დიდი ხუთი უცხოელი. მინისტრის აზრით, ეს კანონი დაძაბულ სერია A-ში ადგილობრივ მოთამაშეებს თავის გამოჩენის საშუალებას მისცემს. დღეს ისინი საზღვარგარეთელთა ჩრდილში ჭკნებიან.

ორშაბათს იტალიაში საფეხბურთო ლიგის თათბირიც გაიმართა, სადაც მისმა პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ განაცხადა, ვალტრონის მოსაზრებას მხარს ვუჭერო.

— სრულიად ვეთანხმები მინისტრს. ევროპული თანამეგობრობა თანდათან ხვდება, რომ ფეხბურთი განსხვავებული რამაა და ამიტომაც ერთდროულა მოედანზე მყოფი უცხოელების რაოდენობა შესაკვეცი რომაა, სადავო არ უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ვითარება არ შეიქმნებოდა, ეს კანონი თავიდანვე რომ არ შეეცვალათ. გარდა ამისა, დღეს დარღვეულია თანაბარუფლებიანობა, მაგალითად, ფრანგ და ტუნისელ ფეხბურთელებს შორის. ნუ დავივიწყებთ, რომ ბევრი რამ ფინანსური მოსაზრებებითაა გაკეთებული. საკმარისია, ვინმემ ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა გაჩარხოს და მისი საქმე სხვანაირად ეწყობა. მაგალითად, მე ვერ გამიგია, რატომაა ვეა მიჩნეული ევროკავშირის მოქალაქედ, კანუ კი არა — განაცხადა კარარომ.

ვეა, მოგეხსენებათ ლიბერიელია, მაგრამ საფრანგეთის პასპორტი უდევს ჯიბეში, ნიგერიელ ნვანკვო კანუს კი ევროპული ქვეყნის პასპორტი არ აქვს და ამიტომ იგი ვალდებულია სამი უცხოელის წესს დაემორჩილოს.

სამშაბათს საფეხბურთო ლიგამ აღნიშნა, რომ იდეა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, სხვას ეკუთვნის, ის კი უბრალოდ იზიარებს მას.

— კარარომ მხოლოდ და მხოლოდ მხარი დაუჭირა ველტრონის, — განაცხადა ლიგის პრეს-ატაშემ

დღეისათვის სერიას A-ს გუნდებს განაცხადში 100-ზე მეტი არაიტალიელი ფეხბურთელი ჰყავთ, არადა 90-იანი წლების დასაწყისში სულ 50 ჰყავდათ.




ჟორჟ ვეა

# გარაჟიდან გაქცეული ცოლის დასაბრუნებლად

ფრანგი ერიკ კანტონა, მექსიკელი უგო სანჩესი, იტალიელები ჯანფრანკო ძოლა და ჯანლუკა ვიალი. ეს ფეხბურთელები იმ ვარსკვლავთა გუნდში არიან, რომელიც ჟან-მარკ ბოსმანის სახელობის მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

ეს შეხვედრა მოთამაშეთა საერთაშორისო კავშირმა 12 მაისს ჩრდილო საფრანგეთის ქალაქ ვილენუვ დასკში დათქვა.

ბოსმანს რა გახსენება უნდა, მაგრამ მაინც: ეს ის ბელგიელია, რომელმაც უეფას კახოხების წინააღმდეგ წამოიწყო ბრძოლა და იგი წარმატებით დაასრულა. ბრძოლის შედეგად გაუქმდა წესი, რომლის თანახმადაც კონტრაქტის ვადაგასულ ფეხბურთელებში ძველი გუნდები ახლებისგან სატრანსფერო ფულს იღებდნენ. გარდა ამისა, არაევროკავშირელ ფეხბურთელებზე ლიმიტი აღარ არსებობს, კავშირის ნებისმიერ კლუბს შეუძლია ასეთები რამდენიც უნდა იმდენი ჰყავდეს.

ეს ამბავი 1995 წლის დეკემბერში მოხდა. ბოსმანის ჩივილის პასუხად ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ზემოხსენებული ორი წესი ევროკავშირის კანონებს ეწინააღმდეგება და ხუთწლიანი სამართლებრივი ომიც ამით დამთავრდა.

დღეს ასეულობით ფეხბურთელებს შეუძლიათ ბოსმანის მიერ გაკვალულ გზაზე სიარული, თავად ბოსმანს კი ბრძოლა ძვირად დაუჯდა. იგი გალარიბდა, ემოციურად დაითრგუნა — ორი წლის მანძილზე მშობლების გარაჟში მოუხდა ცხოვრება, ცოლი კი გაექცა.

მოთამაშეთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა დიდიე რუსტანმა თქვა:

— ახლა ჩვენ ეჭვი აღარ გვეპარება, რომ ბოსმანის საბენეფისო შეხვედრას გავმართავთ. ეს იქნება ფეხბურთის ზეიმი. ვადგენთ ორ 18 კაციან გუნდს და ყოველგვარი საძაგელი სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად ჩვენს ქსელს საკმაოდ ფართოდ გავშლით.

საქმე ის გახლავთ, რომ ზემოხსენებული მატჩი დიდი ხანია თავის დღეს და ადგილს ელის. იგი რამდენჯერმე ჩაიშალა, რადგან ესპანეთის, საფრანგეთის და ბელგიის საფეხბურთო ხელმძღვანელები აღუდგნენ წინ.

12 მაისს დანიშნულ შეხვედრაში ცნობილი ვეტერანები ამომავალ ვარსკვლავებს შეხვდებიან ვეტერანთა გუნდში ზემოხსენებულთა გარდა იქნებიან ბელგიელები მიშელ პრიუდომი და ჟორჟ გრუნი, ახალგაზრდებს კი „ანდერლეხტის“ ალენ სტოიცა, ესპანელი ხოსე მარი და ფრანგი ტიერი ანრი ეყოლებათ.

# ტერი და გაზა შესაძლოა შეერთდნენ

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა დღეს უნდა თქვას საბოლოო სიტყვა — თანახმაა თუ არა, რომ პრემიერლიგის მაჩანჩალა გუნდ „კრისტალ პალასს“ ჩაუდგეს სათავეში. „პალასის“ ყოვლისშემძლე დირექტორი მარკ გოლდბერგი აცხადებს, რომ თუ ვენეიბლზი ავსტრალიის ნაკრებს მიატოვებს და „სელჰერსტ პარკზე“ გადმოვა, მაშინ „გლაზგო რეინჯერსიდან“ 5,7 მილიონ დოლარიანი ტრანსფერი განხორციელდება და „პალასის“ ყვითელ სამოსს პოლ გესქოინი მოიგებს.

წლის ბოლოს მარკ გოლდბერგი „პალასის“ დირექტორის სავარძლიდან მისი თავმჯდომარის სავარძელში გადაინაცვლებს. ამას წყალი არ გაუვა. მას კლუბის აღორძინების ხუთწლიანი პროგრამა აქვს და ამ საქმეში ვენეიბლზის დახმარება სჭირდება. ოღონდ, გოლდბერგს უნდა, რომ ვენეიბლზი ახლავე ჩაუდგეს სათავეში კლუბს, რომელმაც მიმდინარე პრემიერშიფის 27 შეხვედრიდან მხოლოდ 5 მოიგო და ჯერაც დანატრებულია საშინაო გამარჯვებას.

„პალასის“ ახლანდელი მენეჯერი სტივ კოპელი მზადაა წავიდეს. მას გოლდბერგის თავმჯდომარეობა დიდად არ ეხატება გულზე. მაგრამ ასეთ ვითარებაში კლუბის მიტოვება არ უნდა. „მე არ მინდა, რომ კლუბი გავაგდო და ისე წავიდე. მე დიდხანს ვაშენე „პალასი“ და მიმძიმს გუნდის პირველ დივიზიონში ჩაგდებაა“ — ამბობს კოპელი. თუმცა, მას ერთხელ უკვე დამართნია ასეთი რამ. 1984-93 წლებში კოპელი იმავ „პალასს“ მენეჯერობდა და პირველი დივიზიონში ჩაიყვანა. შემდეგ გადადგა, შემდეგ კვლავ დაბრუნდა და გასულ სეზონში პრემიერლიგის საგზურიც მოაგებინა.




პოლ გესქოინი

ვენეიბლზისა და გაზას დუეტი კი, რომელსაც ლონდონში მოელიან, ჯერჯერობით დუმს. ვენეიბლს ძალიან უყვარს გაზა და ამ უკანასკნელსაც დიდად მოსწონს ტერის ხელქვეით მუშაობა. გაზამ ხომ პირველად ვენეიბლზის „ტოტენჰემში“ გაიბრწყინა.

ამ უქმეებზე ავსტრალიელთა მწვრთნელი ლონდონში იყო და გოლდბერგს ელაპარაკებოდა. თუმცა, ინგლისურმა ტაბლოიდებმა ისიც დაწერეს, ვენეიბლზმა მადრიდშიც გაიარა და იქ ლორენცო სანსს ელაპარაკა, რომელიც „რეალის“ მწვრთნელობას სთავაზობს უვარგისი იუპ ჰაინკესის გაგდების შემდეგო.

ვენეიბლზი რომ მოხეტიალე კაცია, ყველამ იცის. „ჩელსისა“ და „ტოტენჰემში“ მოთამაშის კარიერის გასრულების შემდეგ ის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“, „ბარსელონასა“ და „ტოტენჰემს“ წვრთნიდა. მერე ინგლისის ნაკრებს თავკაცობდა და იქიდან წასვლის შემდეგ ავსტრალიის გუნდს ჩაუდგა სათავეში, რომელიც კინაღამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოახვედრა. ამავდროულად, ვენეიბლზი პირველი დივიზიონის „პორტსმუთის“ დირექტორი და მისი აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი იყო, თუმცა, ავსტრალიაში გადაბარგებული მხოლოდ ხელფასს იღებდა და კლუბმა უჩივლა კიდეც, რის გამოც სასამართლომ შვიდი წლით ჩამოართვა რაგინდარა კომპანიის დირექტორის უფლება. ვენეიბლზმა კი აქციების პაკეტი გაყიდა და ავსტრალიაში განაგრძო მუშაობა.

„ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თანახმაა თუ არა ტერი. თუ არა, მაშინ არ გაგვიჭირდება სანდო და საჭირო კაცის მონახვა“, — ამბობს გოლდბერგი, თუმცა მას ძალიან ხიბლავს ტერისა და გაზას დუეტი. ვენეიბლზი ხომ „პორტსმუთშიაც“ უხმობდა იმ დროს ყველასგან შერისხულ გაზას.

# ნეტავ აფიფდება?

24 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბრაზილიელმა ჟოაო აველანჟმა ფიფას პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა. თითქმის მეოთხედი საუკუნეა ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას აველანჟი თავკაცობს. განვლილი დრო მისი მოღვაწეობის შესაფასებლად სრულიად საკმარისია. 24 წლის განმავლობაში იყო კრიზისიც და აღმაფრენაც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სიკეთე უფრო მეტი იყო. ამიტომაცაა აველანჟის გარჯას უკლებლივ ყველა დადებით მოვლენად რომ აღიქვავს. ამ ხნის მანძილზე ფეხბურთმა საგრძნობი პროგრესი განიცადა, თამაში უფრო განვითარდა და დაიხვეწა.

ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული. ზაფხულში, მსოფლიოს რიგით მე-16 ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე, 8 ივნისს, ფიფას მორიგი პრეზიდენტის არჩევნები მოეწყობა, რომელიც აველანჟის მემკვიდრეს გაარკვევს. თავად აველანჟსაც შეეძლო კენჭისყრა, მაგრამ რვა ათეულ წელს გადაბიჯებულმა წყნარი სიბერე ამჯობინა. 8 ივნისს აველანჟის ხანგრძლივი, სახელოვანი კარიერის მორიგი ეტაპი დასრულდება.

ვინ იქნება ბრაზილიელის მემკვიდრე? აი, კითხვა, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელია, მთელს საფეხბურთო სამყაროს აწუხებს და მასზე პასუხის გასაცემად რამდენიმე პიროვნება მოურიდებლად იბრძვის. კანდიდატები საკმაოდ არიან. ერთი ეგაა, ამ თანამდებობას ღირსეული ადამიანი თუ დაიკავებს.

აველანჟის მემკვიდრედ, თითქმის ყველგან, ფიფას ერთ-ერთი კონფედერაციის — უეფას თავკაცს, შვედ ლენარტ იუჰანსონს ასახელებენ. იუჰანსონი თანამდებობას მართლაც შეეფერება, გამოცდილი, საქმეში ჩახედული კაცია, თან საკუთარი თავის პროპაგანდა მან მეტოქეებზე კარგა ხნით ადრე დაიწყო. სურვილს, გამხდარიყო ფიფას პრეზიდენტი, იუჰანსონი არასდროს მალავდა, პირიქით, ამ საკითხში საკმაოდ თამამად იქცეოდა. თან არჩევნებში საჭირო ხმების დასაგროვებლად კი კონტინენტიდან კონტინენტზე დადიოდა. აგიტაციას ეწეოდა, ამ დროს კი სხვა კანდიდატები წყნადა იყვნენ, 1998 წლის 8 ივნისის მოახლოებას ელოდნენ. საკუთარი თავის წარმოჩინების მხრივ იუჰანსონი შეიძლება არ მოვიდეს იუჰანსონმა ისეთი საქმეები აკეთა, მასთან მისი მოცილეების განცხადებები სახსენებლადაც არ ღირს, მაგრამ მიუხედავად მუხლჩაუხრელი შრომისა, მავანთ იუჰანსონის ფიფას სათავეში მოსვლაში ეჭვი ეპარებათ.

რამდენიმე დღის წინ „როიტერის“ სააგენტო სპორტულ ჟურნალისტებს დაეკითხა და ფიფას შესაძლო პრეზიდენტებზე სთხოვა ორიოდ სიტყვის თქმა.

ევროპაში თითქმის ყველა ქვეყანა უჭერს მხარს იუჰანსონს. გერმანიაში მას ფიფას პრეზიდენტობის საუკეთესო კანდიდატად მიიჩნევენ, თუმცა ამ ქვეყნის მეთხე ხელისუფლების წარმომადგენლები არც იმ სურვილს მალავენ, აველანჟის თანამდებობაზე მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი იხილონ.

— იუჰანსონს უეფაში მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს. ვფიქრობ, მას შესწევს უნარი, მართოს ფიფა. თავისი სტრუქტურით და აგებულებით ფიფასა და უეფას შორის ძალიან დიდი სხვაობა სულაც არაა, აქედან გამომდინარე, იუჰანსონს ძალუძს იმ მწვერვალების დაპყრობა, რასაც მან უეფაში მოღვაწეობისას მიაღწია, — განაცხადა ცნობილი გერმანული სპორტული ჟურნალის „შპორტ ბილდის“ ერთ-ერთმა რედაქტორმა რალფ დერიმ, რომელმაც პრეზიდენტობის უპრიან კანდიდატად ბეკენბაუერი მიიჩნია, თუმცა დასძინა, მას ამ თანამდებობაზე მოსვლის რეალური შანსები აქვსო.

ფრანგული ყოველდღიური გაზეთი „ლე პარიზიენის“ სპორტულმა რედაქტორმა ჟან ლუი პიერომ იუჰანსონის ფიფას პრეზიდენტობა ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნია: „რა თქმა უნდა, იუჰანსონს სხვებთან შედარებით გამოცდილება დიდი აქვს, მაგრამ, მგონი, ის თავის კარიერაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე საერთოდ ფეხბურთზე. აქედან გამომდინარე, ფიფას პრეზიდენტად მე სხვისი ხილვა უფრო გამიხარდებოდა, ვიდრე ძალაუფლებას დახარბებული კაცისა.“

...აფრიკაში იუჰანსონს დიდ პატივს სცემენ. რამდენიმე თვის წინ უეფას თავკაცი აფრიკელ კოლეგებს ეწვია, რამდენიმე სემინარიც გამართა და შავი კონტინენტის წარმომადგენლებს თანადგომა აღუთქვა, სანაცვლოდ კი ფიფას პრეზიდენტის არჩევნებში თანადგომა სთხოვა. რამდენიმე აფრიკულ ქვეყანაში მისმა ვიზიტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რასაც იუჰანსონის საჯაროდ მხარდაჭერა მოჰყვა. ამის მაგალითად სამხრეთაფრიკული „იოჰანესბურგ სტარის“ სპორტულ ჟურნალისტთა აზრიც გამოდგება — აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის თავკაც ისა ჰაიატოს კი სურს ფიფას პრეზიდენტობა, მაგრამ ამ თანამდებობაზე იუჰანსონი უფრო უპრიანი იქნებოდაო.

მოკლედ, ვის ვინ სურს, ძნელი დასადგენია. აქედანვე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ 8 ივნისი ძალიან დაძაბული დღე იქნება. უმეტესწილად იუჰანსონს კი მიიჩნევენ პრეზიდენტად, მაგრამ არსებობს სხვა ვარიანტებიც. შესაძლოა, სხვებმაც მოისურვონ ფიფას პრეზიდენტობაზე კენჭისყრა — 8 აპრილს კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად ოფიციალური განცხადების შეტანის ვადა იწურება...

# სანსი ყველას იწვევს

— დიახ, მე ვესაუბრე ლორენსო სანსს „რეალში“ დაბრუნებაზე. ამას არც ვმალავ. არ ვიცი, როგორ წარიმართება ჩემი ურთიერთობა მადრიდელებთან, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ამჟამად „მილანის“ ასაღორძინებლად ძალებს არ ვიშურებ. მინდა, გუნდი იტალიაშიც და ევროპაშიც კვლავ უძლიერესი გავხდეთ. დღესდღეობით ჩემი მთავარი მიზანი სწორედ ესაა, „რეალი“ კი ამ შემთხვევაში მეორე პლანზეა — განაცხადა ფაბიო კაპელომ, რომლის მადრიდში დაბრუნების თაობაზე ხმები მას შემდეგ დაირხა, რაც „რეალი“ ყველაზე სამულველ მეტოქესთან „ბარსელონასთან“ 0:3 დამარცხდა. მადრიდში კატალონიელებთან წაგებას განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ, აღარაფერს ვამბობთ განადგურებაზე.



ფაბიო კაპელო

საერთოდ, „რეალს“ კაპელოს წასვლის შემდეგ აშკარად გაუჭირდა. მართალია, იტალიელის შემცვლელმა იუპ ჰაინკესმა კაპელოს გზა გააგრძელა, მაგრამ საქმის ვითარება სათანადო რომ ვერ იყო, სულ მალე გამოჩნდა.

სამეფო გუნდი პრეზიდენტი ლორენსო სანსი კაპელოს კლუბში დატოვებას ორი სეზონის წინაც ცდილობდა, მაგრამ მაშინ მწვრთნელმა გააჩემპიონა თუ არა „რეალი“, უმალ მილანს მიაშურა, ახლა კი სანსმა კვლავ გამოთქვა კაპელოს დაბრუნების სურვილი.

იტალიელი მწვრთნელის აზრი მოგახსენეთ, გარდა ამისა, „მილანის“ თავკაცმა სანსს „უდინეზეს“ ხელმძღვანელის, ალბერტო ზაკერონის კანდიდატურა შესთავაზა. საქმის მცოდნეა, ნიჭიერი მწვრთნელიაო.

...მადრიდში ამბობენ, თუ კაპელოსთან არაფერი გამოუვიდა, სანსი „იუვენტუსის“ მარჩელო ლიპის მიიწვევსო.

ბულგარეთის გუნდის, სოფიის „ლევსკის“ დირექტორი ჟელიაზკოვი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო სამსახურის წინაშე უნდა წარსდგეს. მას ბრალად მსაჯზე საცემად გაწევა ედება. ინციდენტი ბოლო ტურში „ლევსკისა“ და თანაქალაქელი „ლოკომოტივის“ უგოლო მატჩის დროს მოხდა. მსაჯად გეორგი ნარლეევი იყო განწესებული, რომელმაც გაზეთ „მერიდიან მაჩს“ განუცხადა, რომ შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჟელიაზკოვი მოედანზე გავარდა და საქმის გარჩევა დაიწყო, პენალტი რატომ არ მოგვეციო. მერე დირექტორი დასარტყმელად გაწეულა, მაგრამ მსაჯის იდაყვს დატაკებია. ამასობაში პოლიციელს გაუშველებია მოჩხუბრები.

**ინგლისურმა პირველმა დივიზიონელმა „შეფილდ იუნაიტედმა“ სეზონის ბოლომდე მთავარი გუნდის მწვრთნელად სტივ ტომპსონი დანიშნა. ტომპსონს ეს დროებითი სამსახური იმიტომ გამოუჩნდა, რომ ნამდვილი მწვრთნელი ნაიჯელ სპეკმენი მოულოდნელად გადადგა თანამდებობიდან. მისი გადადგომის მიზეზი ძირითადი მოთამაშეების გაყიდვასთან დაკავშირებული გაუგებრობა გახლდათ. ბოლოს სპეკმენი „ქოვენთრისთან“ (1:1) გაუძღვა გუნდს. „კვირას დამირეკეს და მკითხეს, მთავარ მწვრთნელობას თუ გავწევდი. ვწუხვარ, ნაიჯელს რაც შეემთხვა, მაგრამ ჩემს შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. ყოველთვის „შეფილდ იუნაიტედის“ ქომაგი ვიყავი და ახლა საუცხოო პერსპექტივა მომეცა“ — თქვა ტომპსონმა, რომელიც ადრე „ლინკოლნში“, „საუთენდსა“ და „ნოტსკაუნთიში“ მუშაობდა.**

ჰოლანდიის 1997. წლის საუკეთესო ფეხბურთელი, „ეინდჰოვენის“ მცველი იააპ სტამი ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე ჩალიჩობს. ორშაბათს მიიღო თუ არა საუკეთესო მოთამაშის ჯილდო, მან ამ თემაზე გააბა საუბარი. სტამმა განაცხადა, რომ მართალია მანჩესტერელებს ჯერ არ დალაპარაკებია, მაგრამ უკვე ცდილობს „ეინდჰოვენს“ წასვლის ნებართვა გამოართვას. არადა, ნებართვა სჭირდება, რადგან „ეინდჰოვენთან“ 2003 წლამდე აქვს კონტრაქტზე ხელი მოწერილი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ის გუნდია, სადაც ყოველთვის მსურდა თამაში — თქვა სტამმა — ახლა ჩემი იქ გადასვლა რეალობას ჰგავს. ჩემი გეგმები არავისთვისაა დამალული. ვიმედოვნებ, რომ „ეინდჰოვენი“ მოლაპარაკებებს სერიოზულად მიუდგება“. ამ საკითხთან დაკავშირებით „ეინდჰოვენის“ პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ ინგლისელთაგან ჯერ არ სმენია, რომ მათ სტამის ყიდვა აინტერესებთ, არადა, თავად ფეხბურთელი აცხადებს, ჩემში ძალიან დიდ ფულს გადაიხდიანო. რაც შეეხება მისი დაჯილდოვების ცერემონიალს, აქ მის გარდა სხვასაც მისცეს პრიზები. გასული წლის საუკეთესო გუნდად ჰოლანდიელებმა „ჰერენვენი“ მიიჩნიეს, მწვრთნელად, ამ გუნდის თავკაცი ფოპე დე ჰაანი.

**ფრანგი ნახევარმცველი, ლონდონის „არსენალში“ მოთამაშე პატრიკ ვიეირა აცხადებს, რომ ინგლისური ფეხბურთის ტყიურ კაცად არ ქცეულა, არადა, ტელევიზიით მისი სხვა ფეხბურთელთან ჩხუბი აჩვენეს. ამ სეზონში ვიეირა შვიდჯერ დასაჯეს ყვითელი ბარათით, ორჯერ კი მოედნიდან გააძევეს. იგი იმ სტილის ფეხბურთს თამაშობს, არბიტრებს ხელის ჯიბისკენ წაღება რომ აიძულებს. ასეთი საქციელისთვის 21 წლის მოთამაშე „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა 16 300 გირვანქით დააჯარიმა კიდეც. ვენგერმა და ვიეირამ თავიანთ ენაზე გვარიანად იკამათეს, როდესაც ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალში „ვესტ ჰემთან“ თამაშის შემდეგ პატრიკმა მოწინააღმდეგე ჯონ მონკურს ხელი შეახო. სხვათა შორის, ვიეირა, რომელიც ლონდონში ჩასვლამდე „კანსა“ და „მილანში“ გამოდიოდა, ყველას აოცებს, რამეთუ საფრანგეთსა და იტალიაში მას დადებითი გმირის იმიჯი ჰქონდა, ინგლისში კი საპირისპიროდ შეიცვალა. „მე მხოლოდ ბურთის ხელში ჩაგდებას ვცდილობ, დაშავება კი არავისი მსურს. პრემიერლიგა ისეთი რამაა, გადარჩენისთვის უნდა იბრძოლო“ — უთხრა ფრანგმა ნახევარმცველმა ინგლისელ ჟურნალისტებს.**

## ფეხბურთის რუკასთან



ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელს პატრიკ ბერგერს „ლივერპულში“ უთხრეს, თუ იპოვნი გუნდს, რომელიც შენში 6,5 მილიონ დოლარს გადაიხდის, კი ბატონო, გაგყიდითო. საქმე ისაა, რომ ბერგერმა გასულ შაბათს, „ბოლტონთან“ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა იუარა და გუნდის მწვრთნელს როი ევანსს მისი გაყიდვა შესთავაზა. „პატრიკთან ამ პრობლემაზე ვისაუბრე და გადავწყვიტეთ, რომ მისი გაყიდვა უფრო უპრიანია. მე ძალიან მომწონს, რომ იგი ის კაცია, თამაში რომ სურს და სათადარიგოთა სკამზე ჯდომა გულზე დარდად აწევს. ამიერიდან შევეცდებით მას გუნდი მოუძებნოთ და ხელსაყრელი ფინანსური გარიგებაც გავუხერხოთ“ — განაცხადა ევანსმა. შეგახსენებთ, რომ ბერგერი „ლივერპულში“ დორტმუნდის „ბორუსიადან“ 3,5 მილიონ გირვანქად გადავიდა. მან ევრო 96-ზე გაითქვა სახელი. ამბობენ, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ პორტუგალიურ „ბენფიკაში“ გადასულმა მეორე ჩეხმა ვარსკელავმა კარელ პობორსკიმ უკვე დაიწყო მეგობრისთვის ლისაბონის გუნდში ადგილის გაჩარხვაო. იქ, „ბენფიკაში“ მწვრთნელი გრემ სუნესია, მაგრამ საეჭვოა, მან ზაფხულამდე რაიმე ნაბიჯი გადადგას ბერგერის შესაძენად.

**ინგლისში ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ევროპის ჩემპიონთა ლიგა ჩაერია. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობს ლონდონის „არსენალის“ ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი, რომელმაც თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლიგაზე ასპარეზობამ და ენერგიის ხარჯვამ შეიძლება ჩვენ გაგვაჩემპიონოსო. „იქნებ ცოტა გიჟადაც გეჩვენოთ, მაგრამ ალალად ასე მგონია“ — თქვა ვენგერმა. დღეისთვის „არსენალი“ მესამე ადგილზეა და „იუნაიტედს“ 11 ქულით ჩამორჩება, მაგრამ სამი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. ეს ორი გუნდი შაბათს „ოლდ ტრაფორდზე“ ხვდება ერთმანეთს და ვენგერი ამბობს, რომ იგი ბუქმეიქერებს დაუმტკიცებს, რომ მათ სანიძლაო კოეფიციენტები არასწორად აქვთ შედგენილი. ვენგერი აცხადებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ახლა ძირითადად ჩემპიონთა თასის მეორე მეოთხედფინალურ შეხვედრაზე ფიქრობენ. შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაში ინგლისის ჩემპიონს იქ, მონაკოში 0:0 აქვს ნათამაშევი. „მანჩესტერელები „მონაკოს“ იოლად ვერ დაამარცხებენ. „მონაკო“ წლების განმავლობაში ამტკიცებს, რომ ძლიერი გუნდია და სტუმრად მნიშვნელოვან მატჩებში არ იბნევა“ — ბრძანა ვენგერმა, „იუნაიტედის“ ხელმძღვანელმა ალექს ფერგიუსონმა კი აღნიშნა: „ჩვენ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გასვლის შანსი გვაქვს და მას აუცილებლად გამოვიყენებთ“.**

არგენტინის პირველობის უძლიერესმა კლუბებმა გადაწყვიტეს აღარ დაარიგონ უფასო ბილეთები, რათა ამით ხულიგნებმა არ ისარგებლონ. „ეს არგენტინული ფეხბურთის ნამდვილი გამარჯვებაა — განაცხადა „რივერ პლეიტის“ პრეზიდენტმა დავიდ პინტადომ მას შემდეგ, რაც ფეხბურთის ასოციაციის თათბირს დაესწრო. აღსანიშნავია, რომ პინტადომ ზემომოყვანილი გადაწყვეტილება ადრევე მიიღო, რითაც ხულიგანი ქომაგები აღაშფოთა და შედეგად ორი მატჩის განმავლობაში პირადი მცველების დაქირავება მოუხდა. ეს ამბავი მას მერე აგორდა, რაც ქვეყნის მთავრობამ დაიქადნა, თუ სტადიონებზე ერთი მკვლელობა მაინც კიდევ მოხდება, ფეხბურთის ასოციაციის ყველა შეჯიბრებას გავაუქმებო. მკვლელობები კი არგენტინაში მართლაც მოხდა. მაგალითად, დეკემბერში, „სან ლორენსოს“ და „ურაკანის“ შეხვედრის დროს ტყვიით დაცხრილეს „ურაკანის“ გულშემატკივარი. და მაინც, ზემოთქმულ დადგენილებას მხოლოდ სამი კლუბი შეუერთდა. „რასინგის“ პრეზიდენტმა დანიელ ლალინმა საჯაროდ გააკრიტიკა პინტადო. მან თქვა, 100 უფასო ბილეთის გაცემა უფრო იაფია, ვიდრე პირადი მცველების დაქირავებაო, მაგრამ ბოლოს მაინც შეუერთდა ფეხბურთის ასოციაციაში მიღებულ გადაწყვეტილებას. ყველაზე მეტ ხიფათს კი მაინც „რივერ პლეიტის“ გულშემატკივართაგან ელიან. ისინი თავს „იაფი ტრიბუნის ლორდებს“ უწოდებენ და მათ ჩიახლოვეს ვერავინ ჯდება.

**უკრაინაში საპარლამენტო არჩევნებია. და მართალია მავანნი ამტკიცებენ სპორტსა და პოლიტიკას საერთო არაფერი აქვსო, მთელი კიევის „დინამო“ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უჭერს მხარს. მეტიც, კლუბი კოლექტიურად გაწევრიანდა მასში. ლვოვის „კარპატი“, რომელიც ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა, აგრარულ პარტიას ემხრობა. ეს პარტია უკრაინაში უძლიერესია. „დროა, ყველაფერი აშკარად ვთქვათ. ვიცით, რომ „დინამო“ სოციალ-დემოკრატების ზურგითაა, ჩვენ კი აგრარული პარტია გვიმაგრებს ზურგს“ — განაცხადა კარპატის დირექტორმა გაბორ ვაიდამ — „ჩვენ გუნდის კრება ჩავატარეთ და ამ პარტიაში გავწევრიანდით. ცნობილი გახდა, რომ ევროპის 1975 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ოლეგ ბლოხინი „ჰრომადას“ პარტიაშია და პარლამენტისკენ მიიწევს.**

ინგლისის პირველი დივიზიონის სამშაბათის მატჩში „სანდერლენდმა“ უმასპინძლა „ბირმინგემს“. შეხვედრა დამთავრდა 1:1.

**უელსის ნაკრების მწვრთნელი გუნდში „ბარნსლის“ მოთამაშეს დარენ ბერნარდს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფეხბურთელი გერმანიაშია დაბადებული და შემდეგ ინგლისის სკოლათა ნაკრებში თამაშობდა. უელსელები 25 მარტს იამაიკასთან აპირებენ ამხანაგურად თამაშს.**

შოტლანდიის თასის მეოთხედფინალში „რეინჯერსმა“ „დანდის“ უმასპინძლა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

**ჰოლანდიის პირველობაზე, ორშაბათს „როდამ“ 1:2 წააგო „ფეიენოორდთან“. თავიდან გოლები „ფეიენოორდმა“ გაიტანა: ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა (28) და ხულიო კრუზმა (73), თამაშის ბოლო წუთზე კი არიე ობდამმა ერთით უპასუხა.**

ესპანეთის ჩემპიონატის ორშაბათის თამაშში „ვალენსიამ“ 3:0 მოუგო „მერიდას“. ანგარიში მე-6 წუთზე ჟორან ვლაოვიჩმა გახსნა, 46-ზე მეორე ადრიან ილიემ გაიტანა, ხოლო მესამე გოლი პენალტით გაისკა მენდიეტამ 68-ე წუთზე შეაგდო.

**ინგლისური „ლივერპულის“ მცველმა სტივ ჰარკნესმა გუშინ განაცხადა, რომ „ასტონ ვილას“ თავდამსხმელის სტენ კოლიმორის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის აღძვრას აპირებს. მიზეზი: კოლიმორი დაუსრულებლად იმეორებს ერთსა და იგივეს, ჰარკნესმა რასისტული შეურაცხყოფა მომაყენაო. დაპირისპირებულთა საქმე ფეხბურთის ასოციაციაში გაარჩიეს და თითქოს ჩაფარცხეს კიდეც, მაგრამ კოლიმორმა არ მოისვენა და სატელევიზიო შოუში კვლავ დაესხა თავს ლივერპულელს. კოლიმორი და ჰარკნესი გასულ ზაფხულამდე „ლივერპულში“ თანაგუნდელები იყვნენ.**

გერმანულმა „ბაიერნმა“ სამი ფეხბურთელი დასაჯა. მარიო ბასლერმა, მეჰმეთ შოლმა და თომას შტრუნცმა მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი საჯაროდ გააკრიტიკეს. ახლა ამ ტრიოს სათითაოდ 20 ათასი მარკა ანუ 11 ათასი დოლარი აქვს დაქვითული. „მათ დაარღვიეს ის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გუნდის წევრებს ტექნიკისა და ტაქტიკის საკითხებზე საქვეყნოდ საუბარი ეკრძალებათ, მით უფრო, როდესაც საქმე მწვრთნელს ეხება“ — განაცხადა გუშინ „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა. ზემოხსენებულმა სამეულმა ბოლო ტურში „შალკესთან“ 0:1 წაგების შემდეგ იტალიელ ხელმძღვანელს დაცვისადმი ზედმეტი ტრფიალი დააბრალეს. ასეთმა კრიტიკამ ტრაპატონი გააცეცხლა. მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 20 ათასი მარკით დასჯა უფრო ქველმოქმედებას ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ სასჯელს. აღსანიშნავია, რომ „შალკესთან“ დამარცხება „ბაიერნისთვის“ ზედიზედ მესამე გამოდგა, ასეთი რამ კი მიუნხენის თავმოყვარე გუნდს 1991 წლის შემდეგ არ დამართია.

**პორტუგალიის ჩემპიონატის 24-ე ტურის ორშაბათის მატჩი „ფარენსე“ — „ბენფიკა“ დამთავრდა ფრედ 1:1.**

# Manchester United

## THE TEAM OF THE CENTURY

სარბიელის საგანგებო ჩანართი — მართლა დიდი და დაუვიწყარი ამბები

## დავიწყებული რკინიგზელების ცხოვრება

☆ოდესღაც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, ადგილას, სადაც რკინიგზის ხაზი გადიოდა და ქვა-ღორღით სავსე მინდორი იყო, რკინიგზის მუშები მოვიდნენ და ცაში ბურით ააგდეს. ამ ადგილს ნიუტონ ჰითი ერქვა და მალე ასეც გამოვიდა — ლანკაშირელ რკინიგზელთა კლუბი „ნიუტონ ჰით ლოკომოტივი" — დაბადების თარიღი 1878 წელი, ის დრო, როცა მთელს ბრიტანეთში ლატაკთა და მუშათა პროფესიულად მობურთალთა კლუბები ყალიბდება, როგორც დიდგვაროვანთა სამოყვარულო კლუბების ალტერნატივა.

☆ყვითელ-მწვანე სამოსში გამოწყობილ „ნიუტონელთა" რიგში ძნელია „მანჩესტერ იუნაიტედის", დღევანდელი კლუბის ამოცნობა, მაგრამ ასეა — საუკუნის დასაწყისში „ნიუტონ ჰითმა" „იუნაიტედი" იბარტყა და ამას ვერავინ გაექცევა. მალევე შეიცვალა „კლეიტონის" მინდორი „ოლდ ტრეფორდით", ხოლო ძველი სამოსი ალისფერ-თეთრი ფორმით.

☆იყო დიადი ჟამიც — გამარჯვებანი და სახალხო ზეიმი ქუჩებში, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, „იუნაიტედი" რბებოდა ერთ პროვინციულ კლუბად, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ საკლუბო ფერებს იცვლის და იშვიათად თუ გაახარებს ერთგულ ქომაგებს, რომლებიც, რა დასამალია და „ოლდ ტრეფორდის" ფეხზე სადგომ ტერასებს აზანზარებენ. 1910 წელი, 19 თებერვალი, სალიგო თამაში „ლივერპულის" წინააღმდეგ, 50 ათასი მაყურებელი...ამ დროების გმირი, ცენტრფორვარდი ენოქ ვესტი, ადრე ნოტინგემელი ვარსკვლავი, შემდეგ „იუნაიტედის" მთავარი მეგოლე, მხილებული თამაშების ჩაწყობაში და გამართლებული სასამართლოს მიერ. ჩემპიონობა 1902 წელს, თასი 1909 წელს, კვლავ ჩემპიონობა 1911 წელს, ჩარლი რობერტსის კაპიტნობა და დიდი გუნდის დაქცევა... და „იუნაიტედი" მაინც სახალხო სიყვარული იყო ლანკაშირში.

☆ბოლო ტიტულის მოგება კი ემთხვევა ბრიტანეთისთვის მნიშვნელოვან თარიღს, მეფე გეორგ V-ის ალსაყდრებას. 1911 წელი ბოლო დიადი თარიღი ხდება „იუნაიტედისთვის" მომდევნო 37 წლის განმავლობაში. „იუნაიტედი" კვლავ იცვლის სამოსს, თეთრად გარდაისახება და გულზე წითელ V-ს გამოიხატავს.

☆1934 წლიდან გუნდი კვლავ ალისფერ სვიტერებს მოიგებს, მაგრამ ამაში ნუგეში ცოტაა, „იუნაიტედი" ცხრილის ბოლო გუნდია. და ეს მაშინ, როცა ცისფრად მოლალანე „მეინ როუდი" გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობს. „სიტის" შემადგენლობაში ბრწყინავს დახვეწილი ფორვარდი მატ ბასბი. სხვაფრივ კი, ეს „არსენალის" დროებაა, ბედკრული „იუნაიტედი" კი ოთხი წლით სტოვებს I დივიზიონს. ბრუნდება და კვლავ ვარდება, შემდეგ კვლავ ბრუნდება და ცხრილის ბოლოში იკავებს „კუთვნილ" ადგილს. ფინანსური გაჭირვება, და „ოლდ ტრეფორდიც" უკვე სხვათა თამაშებზე ივსება: 1920 წელი, თასის ნახევარფინალი, „ვულვერჰემპტონი" — „გრიმსბი", სტადიონზე 76,952 კაცს მოუყრია თავი სხვათა საცქერლად. ლანკაშირი უკვე „მანჩესტერ სიტის" ნიშნავს.

☆და 1941 წლის 11 მარტი — გერმანული ავიაცია მანჩესტერს ბომბავს. დაზარალებული, კვლავ საცოდავი „იუნაიტედია", მრავლისმნახველი „ოლდ ტრეფორდის" ადგილას ნანგრევებილაა. სიმბოლური დასასრული უილბლო ეპოქისა.

✵ მსოფლიოში არ მოიძებნება ფანი, „მანჩესტერ იუნაიტედი" რომ არ გაეგონოს. ასევე ძნელია იპოვნო კაცი, რომელიც იტყვის, „იუნაიტედმა" თავის თავს და თავის თამაშს უღალატაო. დღესდღეობით, ეს არის გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს არა მხოლოდ ბრიტანეთში, არამედ მთელს დედამიწაზე.

რა არის მიზეზი ასეთი სიმპატიისა? რა არის მიზეზი იმისა, რომ „იუნაიტედი", აღზევებულიც და დაცემულიც, ქომაგებს არ ისაკლისებს?

მიზეზი ერთია — შემტევი, დაუცხრომელი და ლაღი სული ამ ალისფერი ლეგიონისა. ბოლო ნახევარი საუკუნეა, „იუნაიტედი", დაცემული, თუ აღზევებული, რჩება ერთგული ალალი, უკანმოუხედავი თამაშისა და მოედანზე არა მხოლოდ ფეხბურთის ვარსკვლავები, არამედ პიროვნებები გამოჰყავს.

იცვლებიან მწვრთნელები — ვილფ მაკგინესს ფრენკ ო'ფარელი ცვლის, ამ უკანასკნელს ტომი დოჰერტი, ამას კიდევ დეივიდ სექსტონი და რონ ატკინსონი... ამ კრებულს ალექს ფერგიუსონი მოსდევს, „იუნაიტედი" ლიგაში მოგზაურობს, ჩემპიონობას და ევროპის თასს იგებს, მარცხდება გადამწყვეტ შეხვედრებში, მაგრამ არ ღალატობს იმას, რაც სამუდამოდ ჩაუდია გულში — „ფეხბურთის არსი სილამაზეში, თავგანწირვასა და შეტევაშია. მას პიროვნებები თამაშობენ პიროვნებებისთვის და ეს თამაში მაშინ არის სწორი, როცა ორივე ნასიამოვნები რჩება, მაყურებელიცა და მოთამაშეც".

ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელის 25 საუკუნე იდგა „ოლდ ტრეფორდზე" და ტრაგედიასა და ტრიუმფს შორის ჩამდგარმა გაატარა ცხოვრება.

ამ კაცს მატ ბასბი ერქვა.

მან შექმნა ის, რასაც დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთი" ჰქვია.

✵ თებერვლის დასაწყისში, როცა „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედის" დაღუპვის 40 წლისთავი აღინიშნებოდა, კლუბის ამჟამინდელმა მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა თქვა: „სერ მატ ბასბიმ მეოთხედი საუკუნე გაატარა „იუნაიტედში" და სამი დიდი გუნდი შექმნა, 40-იანი, 50-იანი და 60-იანი წლებისა. მან სამი სხვადასხვა თაობის ფეხბურთელები აზიარა დიდ თამაშს და „ოლდ ტრეფორდი" ფეხბურთის სილამაზეს შეაჩვია."

მატ ბასბი ოთხი წლის წინ გარდაიცვალა 84 წლისა და მისი ძეგლი „ოლდ ტრეფორდზე" დგას, მაგრამ ბრიტანეთის იმპერიის რაინდს უფრო დიდი შთამბეჭდავი ძეგლი აქვს — ფეხბურთი, რომელსაც თავად შეასხა ხორცი და რომელიც დღესაც ცოცხლობს და მოქმედებს.



1957-58 წლების „მანჩესტერ იუნაიტედი". წინა რიგში: ვებსტერი, გაითფუტი, ბერი, ბასბი (მენეჯერი), ბირნი (კაპიტანი), ტეილორი, კოლმენი, პეგი. შუა რიგში: ქარი (მწვრთნელი), ინგლისი (თანაშემწე), ვუდი, ფოლკსი, გუდვინი, ვილანი, ჯონსი, ედვარდსი, კლეიტონი, დელტონი (ფიზიოთერაპევტი), მარფი (მენეჯერის მოადგილე). ზედა რიგში: მაკგინესი, ვაიოლეტი, ჩარლტონი, დოჰერტი, ბლენჩფლაუერი, სკანლონი

## ბასბის ჩვილების დაღუპვა

იმ დილით, ცივ და ქარიან თებერვლის დილით, თოვდა. ყველაფერი მოყინული იყო და მიუნხენის რიემის აეროპორტის ასაფრენ გზებზე თოვლი იდო. თვითმფრინავი დაჯდა. ჩვეულებრივი დაჯდომა იყო, ავზის შესავსები, ქარბუქი და თოვლი რომ არა, სირთულეც არაფერი იქნებოდა. სირთულე ასაფრენი ბილიკი იყო, მოყინული ასაფრენი ბილიკი და თვითონ მანქანის ფრთები.

თავიდან „ელიზაბეთიანის" ჩარტერისთვის კიბეც არ მიუდგამთ, მაგრამ აფრენის ორი უშედეგო ცდის შემდეგ მგზავრებს აეროპორტის მოსაცდელისკენ გაუძღვნენ, თვითმფრინავი კი ტერმინალისკენ გააგორეს, აქაოდა, თუკი რაიმე უწესრიგობა სჭირს, მალევე გავარკვევთო. თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე გამოვიდა და მგზავრებსაც უხმეს, მივფრინავთო.

იყო 1958 წლის 6 თებერვალი, ხუთშაბათი, 14 საათი და 59 წუთი.

ორმოცდაოთხი მგზავრიდან სრულ უმრავლესობას მხიარული, სიმპათიური ყმაწვილკაცები შეადგენდნენ, მათ არაფერი ჰქონდათ სადარდო, რადგან უკან კარგად დასრულებული საღამო ედოთ, წინ კი მშობლიური ქალაქის გზა. საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისის ბოლო ორი წლის ჩემპიონი, შინ ბრუნდებოდა ევროპის ჩემპიონთა თასის წარმატებული მეოთხედფინალის შემდეგ. „ოლდ ტრეფორდზე" 2:1 მოგებული პირველი შეხვედრის შემდეგ „იუნაიტედი" ბელგრადს ჩაფრინდა იქაურ „ცრვენა ზვეზდასთან" სათამაშოდ, ფრედ 3:3 დაასრულა შეხვედრა და ზედიზედ მეორედ გავიდა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში. წინა სეზონში „იუნაიტედის" წინსვლა დიდმა მადრიდის „რეალმა" შეაჩერა, მაგრამ წელს გუნდი რევანშისთვის ემზადებოდა. ამიტომაც, მხიარულების საბაბი იყო, მით უმეტეს, რომ ბელგრადში დაუვიწყარი საღამო შედგა.

ეს არ იყო ჩვეულებრივი გუნდი, მენეჯერ მატ ბასბის ხელქვეით არა მხოლოდ ინგლისის საუკეთესო მოთამაშენი იყვნენ. ეს იყო დიადი მიზნების, დაუვიწყარი გამარჯვებების მისაღწევად შექმნილი ერთობა. ყოველი ფეხბურთელი არა მხოლოდ ვარსკვლავი, არამედ გამორჩეული ხასიათის ადამიანი გახლდათ. მატ ბასბიმ მოთმინებით, მისხალ-მისხალ აგროვა ისინი, აგროვა, რათა დაუვიწყარი, ლაღი და ლამაზი გუნდი შეექმნა. „ბასბის ჩვილები" — ასე ეძახდნენ ამ ყმაწვილებს. ინგლისის დამპყრობელმა ევროპაშიც გაბიჯა, საერთაშორისო სახელისთვის დგამდა პირველ ნაბიჯებს.

და ბიჭები კარგ ხასიათზე იყვნენ, მათ ფეხბურთის თამაში უყვარდათ, მათ უხაროდათ, რომ „ცრვენა ზვეზდას" აჯობეს. „ცრვენა" კი გუნდი იყო. პოპოვიჩი, შეკულარაცი, მიტიჩი, ბეარა, კოსტიჩი... „იუნაიტედს" მოგებული ჰქონდა პირველი შეხვედრა, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთის განსხვავებით, ბელგრადში კი 52 ათასი მაყურებელი ღრიალებდა.

4 ➡



როჯერ ბირნი (მარცხნივ) უკანასკნელად კაპიტნობს ალისფერ ეშმაკუნებს ბელგრადის მინდორზე

## როგორ შეიქმნა და დაიქცა გუნდი

ს ა რ ჩ ე ვ ი


- ბასბის ჩვილების დაღუპვა — მთავარი ამბავი. *პირველ და მეოთხე გვერდებზე*
- რა ქმნის ალისფერ ეშმაკუნებს? მატ ბასბის წერილი. *მეორე გვერდზე*
- ბასბი მოვიდა. იუნაიტედის გამოღვიძება. *მეორე გვერდზე*
- ბერნაბეუზე და სხვაგან. ძველ საფეხბურთო მწერალთა ჩანაწერებიდან. *მესამე გვერდზე.*
- BASBY BABES — მოთამაშეთა მოკლე პორტრეტები. *მესამე გვერდზე.*
- ცოტა საკლუბო სტატისტიკა. *პირველ და მესამე გვერდებზე.*
- 17 ძველი ფოტოსურათი და ამდენივე მინაწერი.


### Manchester United

დაარსებულია 1878 წელს, როგორც „ნიუტონ ჰითი", 1902 წლიდან კი „მანჩესტერ იუნაიტედ" ეწოდება. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი 1968 წელს, თასთა თასისა 1991 წელს.

შინაური ტიტულები. ჩემპიონობა: 1908, 1911, 1952, 1956, 1957, 1965, 1967, 1993, 1994, 1996, 1997 წლებში. ასოციაციის თასი: 1909, 1948, 1963, 1977, 1983, 1985, 1990, 1994, 1996 წლებში. ლიგის თასი: 1992 წელს. დუბლი: 1994, 1996 წლები.

მინდორი: ოლდ ტრეფორდი, ტევადობა 55,800 სულ დასაჯდომი ადგილი.

მენეჯერი: ალექს ფერგიუსონი.

ყველაზე მეტი თამაში ლიგაში: სერ ბობი ჩარლტონი — 606, 1956–73.

ისტორიის საუკეთესო მეგოლე: სერ ბობი ჩარლტონი — 149 გოლი.

საკლუბო სამოსი: ალისფერი კვართები, თეთრი შორტები, შავი გამაშები. გასვლითი სამოსი: ერთიანად თეთრი ან ლურჯი.

რამდენიმე შიდა მონაცემი:

ყველა დროის სალიგო მეგოლეები სეზონების მიხედვით:

1959–60 დენის ვაიოლეტი — 32 გოლი
1951–52 ჯეკ როული — 30 გოლი
1958–59 ბობი ჩარლტონი — 29 გოლი
1964–65 დენის ლოუ — 28 გოლი
1967–68 ჯორჯ ბესტი — ამდენივე
1955–56 ტომი ტეილორი — 25 გოლი
1907–08 სენდი ტერნბული — ამდენივე
1965–66 დეივიდ ჰერდი — 24 გოლი
1947–48 ჯეკ როული — 23 გოლი
1962–63 დენის ლოუ — ამდენივე
1966–67 ისევე — ამდენივე
1953–54 ტომი ტეილორი — 22 გოლი
1956–57 ისევე — ამდენივე
1927–28 ჯონ სპენსი — ამდენივე
1951–52 სტენ პირსონი — ამდენივე
1958–59 დენის ვაიოლეტი — 21 გოლი
1960–61 ბობი ჩარლტონი — ამდენივე
1935–36 ჯორჯ მარჩი — ამდენივე

#### ყველაზე დიდი დასწრება ომის შემდეგ

1949 წლის იანვარს მეინ როუდზე ლიგის თამაში „არსენალის" წინააღმდეგ — 82,950 კაცი.
1958 წლის 22 თებერვალს „ოლდ ტრეფორდზე" ლიგის მატჩი „ნოტინგემ ფორესტის" წინააღმდეგ — 66,123 კაცი.

#### ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული თამაშები

შიდა პირველობაზე
1895 წლის 9 მარტი: ნიუტონ ჰითი — ვოლსოლი 14:0.

ასოციაციის თასზე
1949 წლის 12 თებერვალი: მანჩესტერ იუნაიტედი — იოვილ თაუნი 8:0

ევროპაში ჩემპიონთა თასზე
1956 წლის 26 სექტემბერი: მანჩესტერ იუნაიტედი — ანდერლეხტი (ბელგია) 10:0

# როგორ იბადებოდა შეჯდავება
# ბასბი მოვიდა

ომის მიწურული, გერმანული ავიაციის მიერ დანგრეული ინგლისური ქალაქები, ამათ შორის მანჩესტერი, მანჩესტერში კი ძველი საფეხბურთო გრაუნდი — „ოლდ ტრეფორდი".

როგორ ხდებიან ინგლისის პირველი დივიზიონის მენეჯერებად?

დღეს ეს გართულებული ამბავია. მაშინ კი, დანგრეულ „ოლდ ტრეფორდზე" საქმე სხვაგვარად იყო.

1945 წლის 18 თებერვალს „ოლდ ტრეფორდის" ოფისში, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარე ალან გიბსონთან მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი მივიდა.

— ჩემი სახელია ბასბი, მატ ბასბი, სერ, — თქვა მოსულმა.

— დიახ, დიახ, როგორ არა, — გიბსონი მართლაც ელოდა ამ კაცს. ბასბის ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა ომმა შეწყვიტა. განა გიბსონს არ ახსოვდა იგი? ბასბი ხომ „მანჩესტერ სიტის" ომამდელ გამარჯვებათა ერთ-ერთი მეწილე იყო. შემდგომში „ლივერპულის" მოთამაშე, სქოთთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი. არ შეიძლებოდა, ის არ გხსომებოდა. მისი კარიერა მსოფლიო ომმა შეწყვიტა. ბასბი ფრონტზე იყო, ახლა კი, ოცდათხუთმეტი წლისა გიბსონის წინაშე იდგა.

— გავიგე, მენეჯერის ვაკანსია გაქვთ, ვიფიქრე, გამოგადგებოდით, — ეუბნება გიბსონს.

პრინციპში, „მანჩესტერ იუნაიტედი" ხეირიანად აღარც არსებობდა, ძლივსღა ფეთქავდა. ომგამოვლილი გუნდიდან მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელიღა იყო მწყობრში. მისტერ გიბსონი, წლების განმავლობაში საკუთარი ჯიბიდან იხდიდა კლუბის ვალებს, დანგრეული „ოლდ ტრეფორდი" კი იმედიან ფიქრების საშუალებას არ იძლეოდა. გიბსონი ხეირიან მენეჯერს ეძებდა და ამიტომაც დაუკავშირდა ლუის როკას, ძველ მანჩესტერელ სკაუტს. სწორედ როკამ იპოვნა ბასბი სენდჰერსტის სამხედრო აკადემიაში, სადაც ეს განთქმული ფეხბურთელი ოფიცერთა გუნდს წვრთნიდა.

ომი და სამხედრო საქმე ბასბისთვის უცხო რომ არ იყო; ოთხი-ხუთი წლისა იქნებოდა, როცა მამამისი და სამი ბიძა პირველ მსოფლიო ომში წავიდნენ და კონტინენტზე ჰპოვეს ჯარისკაცული სამარე. დედა ამერიკაში გადაბარგებას აპირებდა და მატიც თან მიჰყავდა. ემიგრაციასა და ბიჭს შორის ფეხბურთი ჩადგა. უფრო სწორად კი სქოთური კლუბი „ჰიბერნაინი". ბასბი აღარსად წასულა — მისი ცხოვრება ფეხბურთი შეიქნა.



ჯეკ როული — ბასბის მიერ გამოღვიძებული ომამდელი ვარსკვლავი

„ის მეტად ჭკვიანი ფეხბურთელი იყო", — ვკითხულობთ ერთ მაშინდელ გაზეთში — „თავდასხმასა და ნახევარდაცვას შორის ეჭირა იმ დროისთვის მეტად უცხო პოზიცია. ვერ გაიგებდი, ჰავბეკი იყო, ინსაიდი თუ მეგოლე ფორვარდი. საუცხოოდ თამაშობდა".

„მანჩესტერ იუნაიტედი" რომ ჩაიბარა, ბასბის სამოყვარულო მწვრთნელობის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ იცოდა — მწვრთნელობა მისი საქმე იყო. მან უკვე იცოდა, როგორი მწვრთნელი იქნებოდა, გარკვეული ჰქონდა, როგორი ფეხბურთი მიაჩნდა სწორად. იქ გიბსონის კაბინეტში ხანგრძლივი საუბარი გამოვიდა. თავმჯდომარეს აშკარად მოსწონდა ეს კაცი, რომელიც გასაოცარ, ინგლისური თამაშობისთვის გაუგონარ რამეებს ლაპარაკობდა.

— სტილი — ეს კაცია, — ამბობდა ბასბი — არა ფეხბურთელი, არამედ — კაცი. მე ასე მგონია, რომ როცა მოთამაშე მოგყავს გუნდში, პიროვნება მოგყავს და არა მხოლოდ ფეხბურთელი...

თავისი ბოლო, ომისწინა ჩემპიონატი „იუნაიტედმა" მე-14 ადგილზე დაასრულა. ეს ერთი მაჩანჩალა გუნდი იყო. იმის მერე ექვსი წელიწადი გასულიყო და მხოლოდ მეშვიდე წელიწადს აღდგებოდა რეგულარული ჩემპიონატი.

— ფეხბურთელები არა გვყავს. ვინც ახალგაზრდები იყვნენ, ვეტერანები გახდნენ, — წუხდა გიბსონი — თქვენს სიტყვებს რომ გამოვეკიდოთ, დიდხანს ძებნა მოგვიწევს.

— არა, არა, — ხელები გაშალა ბასბიმ — უბრალოდ, მე ისეთი ფეხბურთელების მენეჯერობა მინდა, რომლებისთვისაც სულერთი არ იქნება, ვინ არის მათი მენეჯერი. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ...

გუნდის ხერხემალი უკვე არსებობდა, „იუნაიტედის" ომამდელი მოთამაშენი: კაპიტანი ჯონ კერი, ოლენბი ჩილტონი, სტენ პირსონი, ჯეკ როული და ჩარლი მიტენი. ამათ დაემატნენ „მანჩესტერის" ახალგაზრდულ სპორტულ კლუბში მოთამაშე ჯონ ასტონი და ჯო მორისი. ასევე, მუშათა გუნდ „გოსლინგზის" წევრი, პატარა ჰენრი კოკბერნი...

ეგებ საკვირველიც იყოს, მაგრამ ამ ბიჭებმა სასწაული მოახდინეს. უფრო სწორად, ამ სასწაულის შემოქმედი თავად ბასბი იყო, მანჩესტერში და მთელს ინგლისშიაც ასეთ რამეს არავინ ელოდა, ჩაყმებული ქალაქის ფერმიხდილი გუნდი კუნძულის დასაპყრობად ემზადებოდა.

## მენეჯერი

ბასბი სხვანაირი მენეჯერი იყო. „სხვანაირობა" კი იმას ნიშნავდა, რომ ამ კაცს მეტად თავისებურად ესმოდა თავისი თანამდებობა. დივიზიონის სხვა მენეჯერთაგან განსხვავებით, ის ფეხბურთელებთან ურთიერთობით იკვებებოდა. ფეხბურთელის ვარჯიშზე ნახვა სულაც არ იყო გადამწყვეტი რამ ამ კაცისთვის. ეს მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არა გადამწყვეტი. ბასბი ხელქვეითებს კი არა, თანამოაზრეებს ეძებდა.

როგორი იყო თავად ახალი მენეჯერი? გულღია, საქმიანი, გამჭრიახი, გასაოცარი საფეხბურთო თვალის მქონე. მას არ სჭირდებოდა უბრალოდ კარგი მოთამაშე, ის არ იქცეოდა ისე, როგორც სხვები, რომლებსაც წესად ჰქონდათ, მხოლოდ დაფასთან მდგომთ ელაპარაკათ ფეხბურთელებთან და თამაშის დღეს შემადგენლობის სია მიეკრათ გასახდელის კარზე. ბასბი კი თვლიდა, რომ ბალახის მკრეჭსაც კი კლუბის ნაწილად უნდა ეგრძნო თავი. არა, არა, მატ ბასბის მეთოდი სხვა იყო. ადამიანებთან ადამიანური ლაპარკი, მათში საუკეთესო თვისებების პოვნა, მითვლემილის გამოღვიძება და წესად ქცევა. ასეთი იყო მისი ურთიერთობის პრინციპი.



ჩარლი მიტენი — კლუბის ხუმარა და ოინბაზი

საფეხბურთო პრინციპი კი, ასევე, მეტად გამორჩეული და თვალშისაცემი: რახან ჩვენ ადამიანის ხასიათს ვეყრდნობით, რახან მის კეთილგანწყობას ვუხამებთ მისივე ოსტატობას, თამაშის ერთადერთი ალალი გზა შეტევაა. მაშინაც და მანამდეც, ბასბი ხშირად იმეორებდა:

„მე ფეხბურთში მხოლოდ შემოქმედებას ვხედავ. თუ თავად ფეხბურთელებმა არ ისიამოვნა თამაშით, მაშინ სპორტული პრინციპი დარღვეულია."

შემოქმედება, არასტანდარტულობა, განუწყვეტელი ფიქრი და ძიება და აქ არ იქნება არ წამოტივტივდეს ბასბის კიდევ ერთი გამორჩეული თვისება — მისი თვალი, უტყუარი და მახვილი.

იმ ომისშემდგომ წლებში ბასბიმ სიურპრიზებით დაიწყო: ჯონ კერი, ჩიბუხიანი ირლანდიელი, შემტევი ინსაიდის ადგილიდან დაცვაში გადმოიყვანა. ასევე მოექცა ახალგაზრდა ასტონს და ამით საუცხოო შედეგი მიიღო. ერთი რომ, ორივე ნიჭიერი და მოაზროვნე ფეხბურთელით დაცვით რიგს ბევრი რამ შესძინა და მეორეც წინა ხაზი ახალ ხალხს დაუთმო. ოხუნჯი ჩარლი მიტენი სულ სხვაგვარად ათამაშდა, ჯეკ როული უპირველესი ბომბარდირი შეიქნა...

ომის დროს სამხარეო ლიგებად დაყოფილი ინგლისური ფეხბურთი 1946 წელსღა დაუბრუნდა ერთიან სალიგო თამაშს. „მანჩესტერ იუნაიტედმაც" დაიჭირა თავისი ადგილი პირველ დივიზიონში. შედეგები მოულოდნელი იყო, მაგრამ მხოლოდ პირველ სეზონში. მერე ეს წესად იქცა.

1946-47 წლები — მე-2 ადგილი, 1947-48 წლები — მე-2 ადგილი, 1948-49 — მე-2 ადგილი, 1949-50 წლები — მე-2 ადგილი, 1951-52 წლები — მე-2 ადგილი... ამის მომდევნო სეზონში კი ამდენი ხნის ნანატრი ჩემპიონობა. რა თქმა უნდა, შეგიძლია აღწერო ის ზღაპრული სეზონი, მაგრამ მთავარი — მატ ბასბის ფეხბურთი — სხვაგვარადაც აღიწერება.

„ბასბი, თავისი ლანკაშრელი ეშმაკუნებით სათავეში მოექცა ინგლისურ ფეხბურთს", — ამბობდნენ ჟურნალისტები — „პროვინციულ ფეხბურთელებსა და ჩამოწერილ მოთამაშეებში მან ვარსკვლავები აღმოაჩინა."

დიახ, ასე იყო. თუნდაც, რად ღირს 1948 წლის ასოციაციის თასის ფინალი, როცა „იუნაიტედმა" სასწაულით შემოუტრიალა თამაში ორი დიადი ვარსკვლავის მეტიუზისა და მორტენსენის „ბლეკპულს" და თასი მოიგო. უნდა ითქვას, რომ „სასწაული" არასწორი სიტყვაა, ბასბის არ სჯეროდა სასწაულის, მას ადამიანებისა სჯეროდა და მათ ხასიათს ეყრდნობოდა.

ეს იყო, ჭკვიანი და კეთილშობილი სქოთის პირველი დიდი გუნდი...

და მაინც, შემადგენლობა ბერდებოდა.

ბასბის პატარა წერილი, რომელიც მის საფეხბურთო შეხედულებებს გვიჩვენებს



ეროვნული ბიბლიოთეკა



## მატ ბასბი
### რა ქმნის ალისფერ ეშმაკუნებს?

რა ქმნის ალისფერ ეშმაკუნას? რა ქომნის „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელს? სამსიტყვიან პასუხს გაგცემთ: მოქნილობა, ნიჭი და ხასიათი.

რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენი გუნდი ცხრილის ბოლოში იყო, მე ვამშვიდებდი ჩვენს ქომაგებს, რომ მომავალი საიმედო ხელშია. ვარწმუნებდი მათ, რომ ძველი დღეების სიდიადე კვლავ აღორძინდებოდა ასობით ახალგაზრდა და უცნობი ფეხბურთელის ძალისხმევით, რომელთა სახელებიც ჩვენს წიგნაკებში იყო ჩანიშნული.

მათ ააღორძინეს „იუნაიტედი" და კიდევ მეტიც — ეს იმგვარი სისწრაფით მოახერხეს, რომ ვერც კი ვიოცნებებდი. ისინი რამდენიმე თვეში დაკაცდნენ და ბიჭური ჩვევები დაივიწყეს. ყველანი მოქნილი და ნიჭიერი ბიჭები იყვნენ, მაგრამ ვერაფერს მიაღწევდნენ, რომ არა ხასიათი.

მე ყოველთვის ასეთი შეხედულება მქონდა: როდესაც ტრიბუნაზე დგახარ და მოედანზე მოთამაშე ფეხბურთელებით ხარ აღტაცებული, ეს აღტაცება არ უნდა გაგიქრეს, როცა დაბლა ჩახვალ და მოედნის კიდეზე შეხვდები მათ. ფეხბურთელი ღირსეული კაცი უნდა იყოს. ჩემმა ბიჭებმა პატივი მოუტანეს ინგლისს და ეს ბელგიაში, გერმანიასა და ესპანეთშიც დაამტკიცეს, მაგრამ ეს ცოტა იქნებოდა, რომ ისინი უბრალოდ ნიჭიერი და ჭკვიანი ფეხბურთელები ყოფილიყვნენ. ამავდროულად, ისინი პატიოსანი და წესიერი ადამიანებიც არიან.

ყოველი მათგანი ვარსკვლავია თავის ადგილზე, მაგრამ მათთვის მთავარი რამ გუნდია. ავიღოთ დანკან ედვარდსი. მას მარცხენა ნახევარმცველად თამაში ურჩევნია. ამ ადგილას თამაშობს ნაკრებში. მაგრამ მე აქეთ-იქეთ ვატარებ მას — მარცხენა ინსაიდად, შუაში და ცენტრფორვარდადაც კი ვათამაშებ. დანკანს ერთხელ არ დაცდენია სიტყვა. მან იცის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" პირველ რიგშია.

დღეს, მომავალი კვლავ საიმედო ხელშია — უფრო მეტადაც, ვიდრე მაშინ. სრულიად ახალგაზრდა ძირითადი შემადგენლობის ზურგს უკან, რვაცხრა საუცხოო სათადარიგო მოთამაშე დგას. ესენი ძირითადში მოხვედრას ელიან და ბევრსაც იღვწიან ამისთვის. ამათ უკან კი კიდევ ორი ყმაწვილთა გუნდია. მე ვხედავ, რომ ისინი უეჭველად ითამაშებენ მთავარ გუნდში. ისინი გაიმარჯვებენ, რადგან პატიოსანნი, ნიჭიერნი და ჭკვიანნი არიან. მათ სწორად ვზრდით. დიახ, „ოლდ ტრეფორდი" ზრდის ფეხბურთელებს და არასოდეს იღებს მზამზარეულს.

მათი მამა-მარჩენალი ჯო არმსტრონგია, რომელიც ამ ბიჭების უმრავლესობას სკოლების მინდვრებზე დაეძებდა. ვარჯიშის დროს ისინი ჩემი მოადგილის, ბობოქარი ჯიმი მარფის ხელში არიან. იქვეა მწვრთნელი ბერტ უოლიც, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედი" გულისფიცარზე ამოუჭრია.

ამ ბიჭებს დიდ ფეხბურთში ველი. მგონია, რომ ჩვენ, ეშმაკუნების უფროსობა, სწორად მოაზროვნე ხალხი ვართ და სწორად მოაზროვნე ხალხს ვქმნით.

ჩვენ ხასიათებს ვაშენებთ.

*P.S. ბასბის ეს წერილი „იუნაიტედის" საკლუბო პროსპექტის 1957 წლის ნომერშია დაბეჭდილი. „იუნაიტედი" შენდებოდა და იზრდებოდა.*

## ძველი, ჩემპიონად ქცეული „იუნაიტედის" გულში მატ ბასბი ახალ გუნდს ქმნიდა



ალისფერთა სამწვრთნელო შტაბი „ოლდ ტრეფორდზე": ტედ დელტონი, ბასბი, ჯიმი მარფი და ტომ ქარი

ეს იყო ბიჭების კრებული, რომელიც მსოფლიოს დასაპყრობად ემზადებოდა და ინგლისში ბადალი არ ჰყავდა. ეს იყო გუნდი, რომელსაც პირველად უწოდეს ალისფერი ეშმაკუნები, ეს იყო გუნდი, რომელშიც ბასბიმ, წინა „იუნაიტედისგან" განსხვავებით, თავად ჩამოქნა და გამოძერწა არათუ ტაქტიკა და თამაშის ხერხები, არამედ ყოველი ფეხბურთელი. ეს იყო გუნდი, რომელიც პირტიტველა ბიჭებს კაცებად გარდაქმნიდა და ნიჭიერ ფეხბურთელებს ვარსკვლავებად აქცევდა. ეს იყო გუნდი, რომელიც ინგლისის ნაკრების ხერხემლად იქცა და საერთაშორისო სახელს უბრუნებდა ქვეყანას. ეს იყო გუნდი, რომლის თამაშიც აღაფრთოვანებდა ფეხბურთთან შორიახლოს მდგომ ხალხსაც. ეს იყო გუნდი, რომელიც ჯიუტად მიდიოდა ერთადერთი ევროპული თასისკენ და ზედიზედ ხდებოდა ინგლისის ჩემპიონი.

ეს ყველაფერი ბასბის შრომა და შემოქმედება იყო.

როგორ პოულობენ ვარსკვლავებს?

როგორ იქმნება გუნდი-ვარსკვლავი?

1945 წელს, გუნდში რომ მოვიდა, მას არ შეეძლო მთელი თავისი ფიქრები გადაეტანა მოედანზე. ამის არც გასაქანი იყო, არც შესაძლებლობა. თუმცა პირველ შვიდ სეზონში, კარის, მიტენის, პირსონისა და როულის წლებში ბასბი ამზადებდა თავის გრანდიოზულ გეგმას.

საკვირველია, მაგრამ ახალი გუნდის შესაქმნელად ბასბის თითქმის არ დაუხარჯავს ფული. ისა და მისი მარჯვენა ხელი ჯიმი მარფი სულ სხვა გზას დაადგნენ. ბასბის მიაჩნდა, რომ გაკეთებული ფეხბურთელის ყიდვას, ფეხბურთელის შექმნა სჯობდა. ამისთვის მთელი ძალით აამოქმედა სარეზერვო შემადგენლობა და კლუბის ახალგაზრდული გუნდები (მისი ეს კონცეფცია დღევანდელ „იუნაიტედშიც" არსებობს). „იუნაიტედის" სკაუტები მთელს ქვეყანაში დაქროდნენ და პატარა მინდვრებზე ეძებდნენ ბიჭებს, რომლებიც ბასბის საფეხბურთო შეხედულებებს მიესადაგებოდნენ. ყმაწვილი, რომლისგანაც ვარსკვლავი და პიროვნება უნდა შეექმნათ. ბიჭი, რომელიც ჩვენს ხელში გაიზრდება. გუნდი კეთილი ურთიერთობებით, დადებითი ემოციებით. ჩემპიონობისშემდგომი ჩავარდნაც ამით იყო გამოწვეული. თაობა იცვლებოდა და იქმნებოდა ახალი გუნდი, ნაღდი ბასბის გუნდი.



BUSBY BABES: დანკან ედვარდსი, დეივიდ პეგი, როჯერ ბირნი და დენის ვაიოლეტი რკინის ცხენებზე ამხედრებულნი

# ბასბის ჩვილები

**ეს ბასბის განსაკუთრებული საქმე იყო. ისა და მარფი გამორჩევით უცქერდნენ გუნდის მეორე და, მესამე მეოთხე შემადგენლობებს. აქ შემთხვევითი არავინ იყო. ბიჭებს თავი მოეყარათ სკოლებიდან, სამოსწავლო ლიგებიდან და პატარა კლუბების სარეზერვო გუნდებიდან.**

**იმ წლებში, როცა „იუნაიტედის" უკვდავი გუნდი იქმნებოდა, ბასბიმ სამად სამ ფეხბურთელში გადაიხადა ფული. ყველა დანარჩენი კლუბის აღზრდილი იყო. ბასბიმდე, არც ერთი ინგლისელ მენეჯერს ამგვარი მონდომებით არ უძებნია ტალანტები. თანაც, ისეთი ტალანტები, როგორებიც, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე სჭირდებოდა. მთელი ქვეყანა „მანჩესტერ იუნაიტედის" სკაუტებით იყო დაქსელილი. თავად მარფიც ერთთავად მატარებელში იჯდა და შედეგმაც არ დააყოვნა. „იუნაიტედის" ორწელიწადნახევრიანი ჩავარდნა დაუვიწყარ გუნდში გადაიხარდა. ამ გუნდმა სამ წელიწადს იარსება, მაგრამ თუ ძველ საფეხბურთო მწერლებს ვერწმუნებით, ინგლისური ფეხბურთი დღესაც არ გამოკეთებულა მისი დაღუპვით მიღებული დანაკლისისგან.**



ტომი ტეილორი

ალისფერი ეშმაკუნები

ეს მეტსახელი ოლდ ტრეფორდის ტერასებზე იშვა, პასუხად იმ საოცარი ახალი გუნდისა, ბასბიმ რომ ჩამოაყალიბა და ზედიზედ რომ მოაგებინა.

ტომი ტეილორი. დღემდე ლეგენდად დარჩენილი მეგოლე. 1949 წელს 17 წლისა მივიდა „ბარნსლიში" და ინსაიდად თამაშობდა. ბასბის ხელში ცენტრფორვარდად იქცა. 163 სალიგო თამაშში 112 გოლი გაიტანა. იყო საოცრად მოძრავი და ჰაერში ბადალი არ ჰყავდა. ამ მრისხანე მონაცემებს უკან კი იმალებოდა საოცრად თბილი, ვაჟკაცი და წესიერი ახალგაზრდა კაცი. „იუნაიტედმა" 29999 ფუნტი გადაიხადა მასში. ამაღელვებელია ისტორიას შემორჩენილი დიალოგი ჯონი მარფისა და ტეილორს შორის. ბასბის მარჯვენა ხელი მაშინ მიადგა ტეილორს, როცა „ბარნსლი" III დივიზიონში გავარდა.

ისინი მარფის მანქანაში ისხდნენ, გარეთ წვიმდა.

მარფი: „ტომ, არა მგონია მესამე დივიზიონში თამაში გინდოდეს, ჩვენთან დიდი მომავალი გექნება".

ტეილორი: „ერთი რამ მინდა გითხრათ, სერ. კი მეუხერხულება..."

მარფი: „არაფერია, შვილო. ჩვენ პროფესიონალები ვართ, ხელფასი, თუ რაც იქნება, თავიდანვე ღიად უნდა ითქვას. თუ ახლავე შევთანხმდებით, მეტს აღარ შეგაწუხებ".

ტეილორი: „რომ გადმოვიდე, მექნება იმის საშუალება, რომ ჩემს მშობლებს ოლდ ტრეფორდის ბილეთები ვაჩუქო ხოლმე?"

მარფი: „ეჰ, შვილო, სად დაიბადე ასეთი გულუბრყვილო? ბილეთების მთელი გროვა გექნება".



დანკან ედვარდსი

დანკან ედვარდსი და ბობი ჩარლტონი. ამათგან პირველს, სრულიად უნიკალურ, უნივერსალურ ნახევარმცველს „ვულვერჰემპტონში" უნდა ეთამაშა, მეორეს კი „ნიუკასლ იუნაიტედში", მაგრამ ორივენი ბასბის ახალგაზრდულ გუნდში აღმოჩნდნენ. პირველი დიდხანს არც ყოფილა იუნიორი, რადგან 17 წლისამვე მოიხვეჭა სანაკრებო კეპი და ეროვნული გუნდის ხერხემლად იქცა. მეორე დინჯად მიდიოდა მაღლა და ბასბის ხელში მსოფლიო ვარსკვლავად იქცა. პირველი მხიარული ბიჭი იყო, მოედნიდან ამშვიდებდა ხოლმე მწვრთნელებს: „ნუ გეშინიათ, ამ ოც წუთში ორ ბურთს გავიტან" და გაჰქონდა ხოლმე. მეორე ვინც არის, ყველამ ვიცით.



ბობი ჩარლტონი

რეი ვუდი, დარლინგტონში 5 ათას გირვანქად ნაყიდი მეკარე, ოთხ წელიწადს „იუნაიტედის" რეზერვისტი იყო. 188 თამაში ჩაატარა ძირითადში. ისიც, როგორც ყველა სხვა, ბასბიმ ჩამოქნა ფეხბურთელად.

ჯეკი ბლენჩფლაუერი ირლანდიელი იყო. ბელფასტიდან რომ მანჩესტერში ჩამოიყვანეს, მისი ძმა დენი უკვე „ტოტენჰემის" ვარსკვლავი იყო. „იუნაიტედში" სრულიად ბავშვი მოიყვანეს 1949 წელს და ხუთი სეზონის შემდეგ დამკვიდრდა იმ გუნდის ნახევარდაცვაში, რომელიც მსოფლიოს დაპყრობას აპირებდა.

როჯერ ბირნი მარცხენა მცველი იყო, ამ ბიჭებზე უფროსი, ტომით მანჩესტერელი გუნდის კაპიტნად იყო არჩეული. მოედანზე ბევრი რამ ხელეწიფებოდა. ხშირად მთელ ფრთას გადათელავდა ხოლმე და ერთხელ, 1952 წელს საოცარი რამ მოიმოქმედა. — 6 თამაშში 7 გოლი გაიტანა. მას სხვაგვარად გუნდის ჯიგარსა და იმედს უხმობდნენ. ლიგაში 276 მატჩის თამაში მოასწრო, ნაკრებში — 33-სა. საუკეთესო მოგონებად ჰქონდა ჩარჩენილი გულში 1957 წლის თებერვლის ერთი კვირა, როცა ოთხშაბათს „იუნაიტედმა" ბილბაოს „ატლეტიკო" დაამარცხა, შაბათს კი „არსენალი". „ჩვენ მკვდრებად გვთვლიდნენ, ჩვენ კი მოვიგეთ", — ხშირად იმეორებდა ხოლმე ამ სიტყვებს.

ბილი ფოლკსი კი მარჯვენა მცველი იყო — ლამის ოც წელიწადს ირიცხებოდა „იუნაიტედში" და 567-ჯერ მოირგო ალისფერი სამოსი. „იუნაიტედის" დაღუპვის შემდეგ, ერთი ხანობა მხრებზე მოეგდო მისი გარდაცვლილი მეგობრების ტვირთი, კაპიტნობდა და იბრძოდა, 1970 წელს გამოეთხოვა თამაშს და მშობლიურ გუნდს, მანამდე კი ევროპის ჩემპიონთა თასი ასწია.

ედი კოლმენი, სელფორდელ მოსწავლეთა კაპიტანი იყო. შემდეგ „იუნაიტედის" ყმაწვილთა გუნდის ლიდერი. 1955 წლიდან ძირითადში მოხვდა და შუა ნახევარმცვლად დამკვიდრდა. დაბალი ტანისა, ძალიან ძლიერი იყო ორთაბრძოლებში. თავისი თამაშის გამო ხუმრობდა: „კარში გატანა მხოლოდ ორი იარდიდან შემიძლია, მაგრამ სწორედ მაშინ ვურტყამ, როცა კარიდან ორ იარდში ვარ". იმ სამ წელიწადს „იუნაიტედის" ერთ-ერთი ლიდერი იყო.

მარკ ჯონსი და ლაიამ ვილანი. ჯონსი ბარნსლელი იყო, 17 წლისა, 1950 წელს დააყენეს „იუნაიტედის" ძირითადში. ისიც კოლმენის დარად შუა ნახევარმცველი და მბოჭველი ფეხბურთელი იყო. ვილანი კი ირლანდიელი გახლდათ. დუბლინის ჰოუმ ფარმიდან წამოყვანილი, უაღრესად ჭკვიანი, ბურთით მოცეკვავე მარჯვენა ინსაიდი. მეტსახელად „ბილის" ეძახდნენ. ორი წელიწადი რეზერვისტებში გაატარა და 1955 წლიდან ძირითადში იყო. სულ 79 სალიგო თამაში ჩაატარა და 43 გოლი შეაგდო [illegible].



ჯეკი ბლენჩფლაუერი

დენის ვაიოლეტი, ბიჭობაში ინგლისის ნაკრების კაპიტანი, „სიტის" მეინ როუდის ახლოს დაბადებული და გაზრდილი მარცხენა ინსაიდი. 1962 წელს „იუნაიტედიდან" „სტოკ სიტიში" გადავიდა. „ოლდ ტრეფორდის" გუნდში 259-ჯერ ითამაშა და 159 გოლი გაიტანა. მთელი კარიერის განმავლობაში სალიგო ვარსკვლავად რჩებოდა.

დეივიდ პეგი, ტომი ტეილორს უმაგრებდა ხოლმე ზურგს. 17 წლისა იყო, როცა დონკასტერიდან „იუნაიტედში" გადმოიყვანეს და იმავე წელს ანდეს ძირითადში თამაში. მხიარული ბიჭი და მოუღლელი შემტევი, ძალიან პოპულარული იყო ქომაგთა შორის. ერთხელ, როცა „იუნაიტედმა" 10:0 მოუგო „ანდერლეხტს", ასეთი რამ იანგლა: „ეს ჩემთვის დაუვიწყარი მატჩია. ჩვენი გუნდი ბრწყინვალე იყო. იმ ტყლაპოში, მეინ როუდზე დიდი ფეხბურთი გამოვიდა. ბიჭებმა რაც უნდოდათ, ის აკეთეს. დენისმა ოთხი გაიტანა, ტომიმ სამი, ბილიმ ორი, ჯონი ბერიმ ერთი. თამაშის ბოლოსკენ მთელი გუნდი ცდილობდა, რომ მეც გამეტანა. ბურთი არ შედიოდა. პეგმა ვერ გაიტანა. ბურთი მიხვდა, რომ პეგი და მისი ძმაბიჭები უნამუსონი არიან".



***ეს იყო 1957 წლის გაზაფხულზე. ბასბის გუნდს დიდი ევროპული ბრძოლები გადაეხადა და ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში მადრიდის „რეალის" პირისპირ იდგა. მანამდე კი...***

ჯორჯ ფოლოუზი („დეილი ჰერალდის" საფეხბურთო მიმომხილველი): „მე ყველგან ვახლდი „იუნაიტედს", ბილბაოშიც, დორტმუნდშიც, ბრიუსელშიც, ჰარტლპულშიც, რექსჰემშიც და ბორნმუთშიც. ისინი არ ანსხვავებდნენ მეტოქეს თავიან ფიქრში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — ინგლისის მესამე დივიზიონის გუნდთან და ესპანეთის ჩემპიონთან ერთი მონდომებითა და ჯიგრით თამაშობდნენ. ზოგჯერ საუცხოო ირჯებოდნენ და საფეხბურთო პოზიასაც დააფრქვევდნენ მინდორზე. ზოგჯერ ბევრი რამ არ გამოსდიოდათ, მაგრამ ისინი ყოველთვის იბრძოდნენ. ევროპულ არენაზე არ იყო მეორე ასეთი მებრძოლი გუნდი.

და თან მრავალფეროვნება. მედიდურ, ლამაზ სტილში განადგურებული „ანდერლეხტი" და შემდეგ შეხვედრა დორტმუნდთან, ვაჟკაცური დგომა მოყინულ მინდორზე, როცა რეი ვუდის კარს კრაზანებივით ეხვეოდნენ შავ-ყვითელ სამოსში გამოწყობილი „ბორუსიელები". და მანჩესტერმა გაძლო „მეინ როუდზე" მოგებული მატჩის შემდეგ. ღამე ბილბაოში, როცა გუნდმა ცუდად ითამაშა და თოვლსა და ყინვაში სამი ბურთით აგებდა და თამაშის მიწურულს ბილ ვეილანს ეყო ძალა, ბურთიანად გაერბინა 40 იარდი და სხვაობა ერთი ბურთით შეემცირებინა, რათა შეემზადებინა ორი კვირის შემდგომი ჯადოსნური სალამო მანჩესტერში. ეს იყო



ბასკების მეკარე კარმელო სამი ალისფერის გარემოცვაში. დაუვიწყარი ომი „მეინ როუდზე"

სალამო, როცა 65 ათასი კაცი ტომი ტეილორის ზღაპრული თამაშის მოწმე შეიქნა. ტეილორმა კი გაანადგურა მძლეთამძლე მცველი ხესუს გარაი და პატარა ჯონ ბერიმ დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანა გამარჯვების გოლი. და ხალხი იდგა „მეინ როუდის" კარიბჭესთან და შინ არ მიდიოდა.

ეს იყო თამაში, რომელმაც ხალხის გულები დახეთქა. ასე ამბობდნენ ათასები. ზოგი კი თვლიდა, რომ ასე არ იყო. მაგრამ ეს ზოგი „მეინ როუდზე" არ მოსულა იმ სალამოს.

ჯეფრი გრინი (საფეხბურთო მწერალი): „ჩვენ რომ საფეხბურთო ღლესასწაულში ვაბიჯებდით, იმთავითვე ცხადი იყო „ბერნაბეუს" სტადიონზე 135 ათასი გულშემატკივარი და სამყაროს უდიდესი გუნდი გველოდა. მწვანე მინდორი, თეთრად გადაპენტილი ტრიბუნები და თავად ბატონი „რეალი", სულ თეთრებში გამოწყობილი. და „იუნაიტედი" თითქოს მეფისტოფელივით, ერთიანად ალისფერში მოსილიყო. „რეალის" წინა ხაზი — მისი უდიდებულესობა ალფრედო დი სტეფანოს თამადობით იმ დროისთვის ზღაპრულ თანხად, ნახევარ მილიონ დოლარად უჯდა გუნდს: კოპა, ხენტო, რიალი, მატეოსი... და დაცვა, მუნიოსის, მარკიტოსის და სარაგას ბეტონი?

„რეალის" არტისტიზმი და თამაშის ზღაპრული ხედვა ალისფერი ეშმაკუნების ფიქრის, მოუღლელობისა და ტაქტიკის წინააღმდეგ, დიდი ნახევარფინალი.

„იუნაიტედი": ვუდი; ფოლკსი, ბირნი; კოლმენი, ბლენჩფლაუერი, ედვარდსი; ბერი, ველანი, ტეილორი, ვაიოლეტი, პეგი. მაგრამ სასწაული არ მოხდა. მთელ ერთ საათს „რეალი" იტანჯებოდა, ნერვიული და მღელვარე იყო. შემდეგ რიალმა, ხენტომ და მატეოსმა მაინც მოახერხეს თავისი საქმე. დი სტეფანომ კი საერთოდ ფანტასტიკური გოლი გაიტანა. შუაში ტეილორის ერთი ბურთი იყო, მაგრამ „იუნაიტედი" არ გატეხილა. არც ტრაგედია შეუქმნია და არც ორი კვირის შემდეგ, „ოლდ ტრეფორდზე" ძლივს გაყაიმებულ შეხვედრაში წაქცეულა. აბა რა იქნებოდა? ედი კოლმენმა სასახელოდ დაკეტა დი სტეფანო, მაგრამ „იუნაიტედი" ის იყო იძენდა საერთაშორისო გამოცდილებას. „რეალი" სამყაროს უპირველესი გუნდი იყო, ბრიტანეთში კი მაშინდელი კანონების მიხედვით, უცხოელს ვერ ათამაშებდი. თუმცა, ესეც არ იყო გადამწყვეტი. ახალ ევროპულ სეზონში „იუნაიტედი" კვლავ ფინალისკენ მიდიოდა.

ერთი წლის წინათ, „რეალთან" მარცხის შემდეგ ბასბიმ თქვა:

— მე არ მეშინია მადრიდის „რეალის". ბევრი რამ ვისწავლეთ ამ შეხვედრებით და იმედი მაქვს, ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს".

### ვინ შეკრიბა ბასბიმ?

„ჩვენ სწორ გზაზე მდგომ ბიჭებს ვუმებთ" — ყველანი ბრიტანული ბავშვთა ფეხბურთის ვარსკვლავები იყვნენ.

## ბერნაბეუზე და სხვაგან

## არეული რეპორტაჟები

### ეშმაკუნები ჩემპიონთა თასზე

**1956/57**

ანდერლეხტი 2:0 (ს) — ტეილორი, ვაიოლეტი

ანდერლეხტი 10:0 (შ) — ვაიოლეტი 4, ტეილორი 3, ვილანი 2, ბერი 1

ბორუსია (დორტმუნდი) 3:2 (შ) — ვაიოლეტი 2, საკ. კარში 1

ბორუსია (დორტმუნდი) 0:0 (ს)

ატლეტიკო (ბილბაო) 3:5 (ს) — ტეილორი, ვაიოლეტი, ვილანი

ატლეტიკო (ბილბაო) 3:0 (შ) — ვაიოლეტი, ტეილორი, ბერი

რეალი (მადრიდი) 1:3 (ს) — ტეილორი

რეალი (მადრიდი) (შ) 2:2 — ტეილორი, ჩარლტონი

**1957/58**

შემროკ როვერსი 6:0 (ს) — ვილანი 2, ტეილორი 2, ბერი, პეგი

შემროკ როვერსი 3:2 (შ) — ვაიოლეტი 2, პეგი

დუკლა (პრაღა) 3:0 (შ) — ტეილორი, ვებსტერი, პეგი

დუკლა (პრაღა) 0:1 (ს)

ცრვენა ზვეზდა 2:1 (შ) — კოლმენი, ჩარლტონი

ცრვენა ზვეზდა 3:3 (ს) — ჩარლტონი 2, ვაიოლეტი

მილანი 2:1 (შ) — ერნი ტეილორი, ვაიოლეტი

მილანი 0:4 (ს)



უკანასკნელი მატჩი ინგლისში. ვაიოლეტი და ტეილორი „ჰაიბერიზე" უტევენ მეთოფეთა კარს

„ჩვენ მთელი თამაში ვუტევდით. ვუტევდით და ვუტევდით და ბოლოს გავიტანეთ. რომც არ გაგვეტანა, ჩვენს თავთან მართლები ვიქნებოდით".

*დანკან ედვარდსი*



მატ ბასბი ბელგრადის რესტორანში შეკრებილ ფეხბურთელებს „ცრვენა ზვეზდასთან" თამაშის გამო ელაპარაკება

# ბასბის ჩვილების დაღუპვა

⇐1 **ბორა კოსტიჩი:** „უცებ 1:0 გახდა, ჩვენმა კაპიტანმა რადკო მიტიჩმა იფიქრა, მეკარე ბურთს ელისო და ფეხებშუა გაატარა. ვლადიმერ ბეარა არ ელოდა ამ ბურთს. წუთიც და 2:0, ცოტაც და 3:0. რა უნდა გვექნა? პირველი ტაიმი პირწმინდად წავაგეთ. თავი მოვიკალით და გავათანაბრეთ. მაგარი თამაში გამოვიდა, მაგრამ ბოლო თხუთმეტ წუთში ველარაფერი შევძელით. მაღალი ბილ ფოლკსი, როჯერ ბირნი და ედი კოლმენი მაგრად დაგვიდგნენ საჯარიმოში".

**ლაზარ ტასიჩი:** „კოსტიჩმა ორი გოლი გაიტანა, ერთიც მე დავუმატე პენალტით. ნეტავ ერთი გოლი კიდევ გაგვეტანა, მაშინ გადათამაშება დაინიშნებოდა და საქმეც სულ სხვაგვარად წავიდოდა, დღეს ყველანი ბედნიერები ვიქნებოდით".

**რადკო მიტიჩი:** „ის საუცხოო დროება იყო. ჩვენ მოედანზე ვიბრძოდით, მის გარეთ კი ძმები ვიყავით. ამ საოცარ ბიჭებსაც დავუმეგობრდით. ერთი საღამო გვქონდა დარჩენილი, დილით შინ ბრუნდებოდნენ. საკლუბო ბანკეტზე დიდად მოვილხინეთ. ვაიოლეტის და ჩარლტონის გოლები რაღა სახსენებელი იყო, ლამის დილამდე ვლაბუცობდით და ვმხიარულობდით. ბიჭები იმასაც ამბობდნენ, ნეტავ მეოთხეც გაგვეტანათ ჩვენთვის, კიდევ ერთხელ შევხვდებოდითო. განშორება გვეძნელებოდა."

**ბორა კოსტიჩი:** „ძალიან თბილი და ალალი ბიჭები იყვნენ. მათი მარცხენა მცველი და კაპიტანი, ჟღალთმიანი როჯერ ბირნი მთელი საღამო მიბოდიშებდა, სამჯერ-ოთხჯერ ჯარიმის ზღვარზე გეთამაშე და მაპატიეო. ძალიან ღირსეული ბიჭები იყვნენ."

**დრაგოსლავ შეკულარაცი:** „ჩვენ მაშინ იოლად გვიჩანდა ყველაფერი. ბიჭებმა იფიქრეს, მხოლოდ 1:2 წავაგეთ და ბელგრადში გადავლეჭავთო. ასე რომ არ იყო, მერელა გამოჩნდა. მატ ბასბი როგორი მწვრთნელი და ადამიანი იყო, მერელა შეიტყო მსოფლიომ. ჩვენ ალალად მივუყვედით ერთმანეთს, კაი ბიჭები კაი ბიჭებს შევხვდით და კარგადაც დავცილდით."

ბელგრადულ ბარ „სკადარჯიაში" გვიანობამდე შემორჩა გაზეთ „პოლიტიკას" ლონდონელი კორესპონდენტი მირო რადოიჩიჩი. იგი საგანგებოდ გამოჰყვა „იუნაიტედს" ლონდონიდან და ფეხბურთელებთან კარგი მეგობრობა გააბა. „სკადარჯიაში" ის ნახევარმცველ დანკან ედვარდსთან და ცენტრფორვარდ ტომი ტეილორთან ერთად იჯდა. ორივენი ნაკრების წევრები იყვნენ და მიროს საფეხბურთო თავგადასავლებს უამბობდნენ. უკვე ძალიან გვიანი იყო, როცა ტომი და დანკანი დასაძინებლად წავიდნენ, რადოიჩიჩი კი ბარში დარჩა და ლუდისა და სლივოვიცას სმა განაგრძო. ფიქრობდა, როგორ დაეწერა ამ ბიჭებზე. კარგი მასალა ჰქონდა, მაგრამ გული ეთანაღრებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ გუნდს მანჩესტერში გაჰყოლოდა და მათთან ერთად კიდევ რამდენიმე დღე გაეტარებინა. რადოიჩიჩი ცნობილი კაცი იყო და იმედი ჰქონდა, რომ „ელიზაბეთიანის" ჩარტერზე უპრობლემოდ მოხვდებოდა. გამთენიისას მან შინ შეირბინა, ჩანთაში ტანსაცმელი ჩატენა, ტაქსს მოახტა და აეროპორტში გაქანდა. ბედი არ გინდა? იქლა აღმოჩნდა, რომ პასპორტი შინ დარჩენოდა. კიდევ ერთი ტაქსი დაიჭირა, პასპორტი აილო და უკან დაბრუნებულს თვითმფრინავი გაფრენილი დახვდა. მირომ ინანა, რომ წინა ღამით ლუდს და სლივოვიცას გადაჰყვა.

„მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე მიუნხენისკენ მიფრინავდა, გუნდის მთელი შემადგენლობა ჰაერში იყო. თუმცა არა, ძირითად შემადგენლობას ვილფ მაკგინესი, მარცხენა ნახევარმცველი, ინგლისელ მოსწავლეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი აკლდა. ბელგრადის მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ვილფმა ფეხი დაიშავა და მანჩესტერში დარჩა. ის ტრავმა მისი სიცოცხლის ნიშნად იქცა.

ბელგრადში ვერ გამოფრინდა ჯიმი მარფიც, ბასბის თანაშემწე და მარჯვენა ხელი. „იუნაიტედში" სამსახურს მარფი უელსის ნაკრების მენეჯერობას უთავსებდა. სწორედ იმ დღეს, 5 თებერვალს, უელსელები ისრაელის გუნდს მასპინძლობდნენ კარდიფის „ნინიან პარკზე". ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაში იყო და მარფი ორად ხომ ვერ გაიგლიჯებოდა. იმავე საღამოს „იუნაიტედი" ბელგრადში თამაშობდა. მარფიმ უთხრა ბასბის, რომ გული ბელგრადისკენ მიუწევს და უელსელთაგან თავის დახსნა შეუძლია, მაგრამ ბასბიმ იუარა, შენი საქმე იქაა, მე კი ბერტი წამომყვებაო. ბერტ უოლი, გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი, ფეხბურთელთათვის საყვარელი ადამიანი თვითმფრინავში ავიდა და ბასბის გვერდით დაიკავა ადგილი. იმ ადგილას ყოველთვის მარფი ჯდებოდა. ასე გადარჩა მარფი და ასე დაილუპა უოლი.



ცეცხლი და კვამლი მიუნხენის ცაში — ბასბის გუნდი აღარ არსებობს

მაგრამ იქამდე წუთები იყო დარჩენილი.

**ფრენკ ტეილორი**, „ნიუს ქრონიქლის" საფეხბურთო რეპორტიორი: „ჩვენმა თვითმფრინავმა სამჯერ სცადა მიუნხენის აეროდრომიდან აფრენა და მესამე ცდა კატასტროფად იქცა. თოვლიანი ქარბუქი მძვინვარებდა, როცა ჩვენი თვითმფრინავი ცხვირით დაასკდა მიწას ასაფრენი ზოლიდან რამდენიმე ასეულ მეტრში. მახსოვს, როგორ ვიცქირებოდი ილუმინატორიდან, როცა თვითმფრინავი სიჩქარეს კრეფდა. ახლა ავფრინდებით, ვფიქრობდი მე, ავცილდებით თეთრ ხალიჩას და ზემოდან მოვექცევით პირქუშ, ავისმომასწავებელ ღრუბლებს. მაგრამ თვითმფრინავი დაყირავდა და დაბლა წავიდა ტყვიამოხვედრილ თოლიასავით. ჩვენ რაღაც შენობას შევასკდით და ის ნანგრევებად იქცა...

დაცემის ტალღამ თვითმფრინავიდან სამოც მეტრზე გაისროლა ჩემს წინ მჯდომი ახალგაზრდა. ის სავარძელზე მიბმული ეგდო თოვლში და სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. თუმცა, ბედმა გაუღიმა — ტანზე ნაკაწრიც კი არ ჰქონდა. მას ბობი ჩარლტონი ერქვა, 20 წლისა იყო და „იუნაიტედის" ძირითადში ახალი ჩარიცხული გახლდათ. ერთხანს შოკში იყო, არაფერი ესმოდა, როდესაც თვალები გაახილა, თავისი მეგობრები დაინახა: კაპიტანი როჯერ ბირნი, ტომი ტეილორი და ედი კოლმენი, საუცხოო ნახევარმცველი, თავად ბობის თანატოლი. სამივენი მიწაზე ეყარნენ — მკვდრები. ბობი ატირდა. კატასტროფის ადგილას ექიმები მოვიდნენ და საავადმყოფოში წაიყვანეს.

მე ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავის ჯართის ქვეშ ვეგდე. ის, რამაც გადამარჩინა, „დეილი მეილის" ფოტოკორესპონდენტის პიტერ პოუარდის სიმამაცე იყო. საკუთარის სიცოცხლის რისკის ფასად ის ცეცხლის ენებში შემოვარდა და იქიდან გამომათრია.

გარშემო რაღაც კოშმარი ხდებოდა..."

ნამდვილი კოშმარი. აეროპორტში გაირკვა, რომ ავიაკატასტროფის შედეგად დაილუპნენ „ბასბის ჩვილები": როჯერ ბირნი (28 წლისა), ედი კოლმენი (21 წლისა), ტომი ტეილორი (24 წლისა), მარკ ჯონსი (24 წლისა), დეივიდ პეგი (22 წლისა), ბილ ვილანი (22 წლისა), ჯეფ ბენტი (25 წლისა). თავად ბასბი, და ცოცხლად დარჩენილი ცხრა ფეხბურთელი, ამათ შორის კი უმძიმეს დღეში მყოფი დანკან ედვარდსი „რეხტ დერ ისარის" ჰოსპიტალში გააქანეს...

მთელი ევროპა შავ-თეთრ ტელევიზორებს უჯდა: მიუნხენიდან შემზარავ ისტორიას, ტრაგედიას გადმოსცემდნენ. დაილუპნენ: „იუნაიტედის" მდივანი უოლტერ კრიკმერი და მწვრთნელები ბერტ უოლი და ტომ ქარი, ოთხი ლონდონელი ჟურნალისტი: არჩი ლედბროკი (მირორი), ჰენრი როუზი (ექსპრესი), ნაკრების ყოფილი მეკარე ან კი მესვეტე ფრენკ სვიფტი (ნიუს ოფ ზე ვორლდი) და ერიკ ტომპსონი (დეილი მეილი). დაილუპნენ პილოტები, „იუნაიტედის" ფანი ვილი სეტინოფი და ტურისტული აგენტი ბ.პ. მიკლოში. კიდევ ოთხი ჟურნალისტი: ელფ კლარკი (ქრონიქლი), დონ დევისი (გარდიან), ჯორჯ ფოლოუზი (ჰერალდი), ტომ ჯეკსონი (ივნინგ ნიუსი).

ტელევიზიით კითხულობდნენ დაღუპულთა სიას. ჰოსპიტალიდან სწრაფად მოდიოდა ცნობები.

...ჯიმი მარფი დილით დაბრუნდა კარდიფიდან, დღე სახლში გაატარა და რადგან იცოდა ბელგრადული მატჩის შედეგი და ის, რომ ბასბი საღამოს „ოლდ ტრეფორდზე" იქნებოდა, ამიტომ ავტობუსში ჩაჯდა და სტადიონზე წავიდა. „ოლდ ტრეფორდი" ცარიელი იყო. ცარიელი იყო ოფისიც. მოულოდნელი სიჩუმე იდგა. მარფის ცუდად ენიშნა ეს ყველაფერი, ერთ-ერთ კაბინეტში შევარდა და იქ მდივან გოგოს გადააწყდა. გოგოს მკვდრისფერი ედო. „თვითმფრინავი ჩამოვარდა. ბიჭები დაიხოცნენ" — თქვა მდივანმა. მარფიმ ვისკის ბოთლი გამოაძრო კარადიდან, თავის კაბინეტში ჩაიკეტა და სმა დაიწყო.

**ვილფ მაკგინესი:** „ჩვენ საუცხოოდ ვატარებდით დროს. ვერთობოდით და ერთმანეთი გვიყვარდა. ყოველ ჩვენგანს გამორჩეული ხასიათი ჰქონდა. ყოველი ჩვენგანი პიროვნება იყო. მარკ ჯონსი, რომელიც 24 წლისა იყო, ჩიბუხს გაიჩრიდა კბილებში და უფრო ახალგაზრდებს დაგვძახოდა: „აბა, ბავშვებო, ლოგინისკენ ჰერი-ჰერი. ლამისთევა სკოლაში დაგაგვიანებთ." აი, ასეთი ურთიერთობები გვქონდა."

ტელეეკრანი შავი იყო. უკნიდან ოდნავ შემცბარი ხმა ისმოდა, დღეს მიუნხენში ავიაკატასროფის შედეგად დაილუპნენ... დაწვრილებით ცნობებს... შეღამებულზე მთელი მანჩესტერი გლოვობდა. ქუჩაში კაციშვილს ვერ ნახავდი. სინათლეებიც კი გამოეთიშათ.

**ბობი ჩარლტონი:** „თხუთმეტი წლისა ვიყავი, მანჩესტერში რომ ჩამოვედი. ეს იყო პირქუში, ქარხნის კვამლით გაჯერებული ქალაქი. მე მჯერა, დღეს რომ მანჩესტერი ასეთი ლამაზი და ფერადია, „იუნაიტედის" დამსახურებაა. ჩვენ ფერები და სიხალისე შევძინეთ ამ ქალაქს. ჩვენ — მატ ბასბიმ და მისმა შვილებმა."

თავად ბასბი კი გერმანულ ჰოსპიტალში იყო. „საეჭვოა, რომ გადარჩეს" — ასეთი იყო ექიმების პირველი განცხადება. მაგრამ ბასბი გადარჩა — მან დიდხანს იცოცხლა და ოთხი წლის წინათ აღესრულა. მიუნხენში კი, „რეხტ დერ ისარის" ჰოსპიტალში არა ვინ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი. ექიმებს არ ევალებათ მომაკვდავთა ვინაობაზე ფიქრი. ისინი სამი დღის განმავლობაში იმეორებდნენ: „ვერ გადარჩება". ის კი ინვა, არ ესმოდა მის გარშემო მოტრიალე თეთრხალათიანი ხალხის ენა და დუმდა. ანკი რა ჰქონდა სალაპარაკო? ხედავდა დანგრეულსა და დალეწილს მთელი თავისი ცხოვრების საქმეს. მოკლული იყო მისი ოცნება და გაურკვეველი იყო მომავალი. ის, რასაც მიუძღვნა სიცოცხლის ბოლო თორმეტი წელიწადი, აღარ არსებობდა. აღარ არსებობდნენ ის ბიჭები, რომლებიც სკოლის მერხებიდან მოიყვანა თავის გუნდში, მთელი ინგლისის პატარა ქალაქებიდან, უსახელო მოედნებიდან აკრეფილი პატარა ვარსკვლავები, რომლებსაც მსოფლიო უნდა დაეპყროთ. აღარ არსებობდა ბასბის საფეხბურთო ფილოსოფიაც, რადგან ყველაფერი მკვდარი იყო. იმ დღეებში, მიუნხენში, ბასბი ფიქრობდა, რომ თვითონაც მოკვდა და ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა, ფეხბურთიდან წასულიყო. საავადმყოფოდან გამოწერის დღესაც ამ აზრზე იყო, მაგრამ დერეფანში ცოლის სიტყვები მოესმა: „იცი, მატ, ბიჭები არ გაამართლებდნენ შენს წასვლას."

ბასბი მისმა ფიზიკურმა სიძლიერემ, ჯანმა გადაარჩინა. გარშემო აღარავინ ჰყავდა. საბრალო დანკან ედვარდსი კი თექვსმეტ დღეს იყო კომაში და გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ჩანს, ძალიან უყვარდა ღმერთს.

ინგლისში კი გლოვობდნენ. მთელი ქვეყნის ეკლესიებში სულთათანას ამბობდნენ. სამეფო ოჯახი, ერი და ბერი, დიდი და პატარა მწუხარებისას ამბობდა. „ჩვენ უძლურნი ვართ განგებასთან ჭიდილში" — იყო ასეთი ნათქვამიც. ფლიტ სტრიტის ხალხი, განთქმული ლონდონელი მოკალმეები ნეკროლოგებს სწერდნენ. კიდევ როდის მოუვლენს საფეხბურთო ღმერთი ასეთ გუნდს ჩვენს კუნძულს? დღეს „იუნაიტედი" არ დაქცეულა, დღეს ინგლისური ფეხბურთის საფლავი გაითხარა. ეს ის ბიჭები იყვნენ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რომ უნდა მოეტანათ ფეხბურთის სამშობლოსთვის. ეს ის ფეხბურთელები გახლდნენ, ინგლისს რომ საერთაშორისო სახელს უბრუნებდნენ...

8 თებერვალს, შაბათს, საფეხბურთო დღე იყო — ტრადიციულად, ჩემპიონატის ტური თამაშდებოდა. ალისფერი ეშმაკუნების გარეშე. მთელი ინგლისი, მთელი კუნძული თოვლმა დაფარა. თამაშები საგალობლებით ჩატარდა. თვიქნემშიც კი, სადაც ინგლის-ირლანდიის სარაგბო ჯახი იყო, [illegible]

„იუნაიტედის" უფროსობა შავ დღეში იყო — აქეთ ტრაგედია და იქით კლუბი. ადმინისტრაციის დაღუპული წევრები, ძირითადის რვა ფეხბურთელი. მენეჯერი, რომლის სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია. მანჩესტერს კი ათოვდა და ათოვდა. კლუბის თავმჯდომარემ ჰაროლდ ჰარდმანმა მოხელეები შეკრიბა და თათბირი გამართა. ძნელი თათბირი იყო — გული ერთს ამბობდა, თავი მეორეს, და მაინც, „მანჩესტერ იუნაიტედი" არ უნდა მომკვდარიყო. მკვდარი იყო და არ უნდა მომკვდარიყო. გადაწყდა, გუნდი სათადარიგოთა შემადგენლობას უნდა დაყრდნობოდა. ძირითადიდან ფეხზე მხოლოდ მარჯვენა მცველი ბილი ფოლკსი იყო, კარში კი რეი ვუდის სანაცვლოდ ჰარი გრეგი ჩადგებოდა. ორი კაცი უნდა ეყიდათ, ფრთის თავდამსხმელი ერნი ტეილორი, რომელსაც „ნიუკასლსა" და „ბლეკპულთან" ერთად მოეგო ასოციაციის თასი და „ასტონ ვილას" ნახევარმცველი სტენ კროუტერი. სანამ ბასბის ბედი გაირკვეოდა, მენეჯერად მარფი ინიშნებოდა, კლუბის მდივნის უოლტერ კრიკმერის ადგილს კი ლეს ოლივი იჭერდა. ცხონებული კრიკმერი „იუნაიტედის" ერთგვარი სიმბოლოც იყო — 38 წელიწადი გაეტარებინა მის სამსახურში.

გუნდი ბრძოლით, პატივითა და ღირსებით უნდა გამოსულიყო ძნელბედობიდან. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ნებართვით, „იუნაიტედმა" გამოტოვა ჩემპიონატის ორი მატჩი და თამაშს ასოციაციის თასის მეხუთე რაუნდით დაუბრუნდა 19 თებერვალს, ტრაგედიიდან ცამეტი დღის თავზე.

„ოლდ ტრეფორდი" გაჭედილი იყო. ხალხი ტკივილით, მანამდე გაუგონარი შეგრძნებით ელოდა გვირაბიდან ალისფერი გუნდის გამოჩენას. მონინაალმდეგე იყო „შეფილდ უენსდეი" და გუშინდელი დიდი გუნდიდან ძირითადში იდგა ერთადერთი კაცი, ბილი ფოლკსი, რომელსაც ახლა კაპიტნობა ებარა. „იუნაიტედ" წინ! მაგრამ ეს თვალცრემლიანი შეძახილი იყო.

და რა იცოდა დენის ლოუმ, მაშინ „ჰადერსფილდ თაუნის" ყმაწვილმა ფორვარდმა, რომ თვითონ შეიქნებოდა ამ გუნდის ნაწილი და ვარსკვლავი. მასთან ერთად გადათელავდა ინგლისის და ევროპის მინდვრებს და დაამტკიცებდა — „იუნაიტედი" უკვდავია!

**დენის ლოუ:** „არ იქნებოდა, ამ თამაშზე არ წავსულიყავი. ჩვენ ყველანი დრამის მონაწილენი ვიყავით. დრამისა, რომელმაც სრულიად დაიპყრო ჩვენი გულები და გონება. მანჩესტერში რომ ჩამოვედი, ბილეთები არ იყო, შავ ბაზარზე ერთი გირვანქა მივეცი და კარის უკან ვიდექი. გონებიდან ამოუშლელი თამაში იყო."

ანდა რა იცოდა ახალბედა შეი ბრენანმა, სათადარიგო მარცხენა მცველმა, რომელმაც შეფილდელებს ორი გოლი გაუტანა, რომ თერთმეტი წლის შემდეგ ჩემპიონთა თასს დაიჭერდა ხელში ახალი, „დიდი იუნაიტედის" სხვა ფეხბურთელებთან ერთად.

იმ ცივ და თოვლიან საღამოს კი „იუნაიტედის" გამჩერებელი არავინ იყო.

ბასბის გუნდი იმ წელიწადს ასოციაციის თასის ფინალში გავიდა და იქ „ბოლტონთან" წააგო მშვენივრად მოთამაშე ნეტ ლოფტჰაუზის ორი გოლის წყალობით.

ცხადი იყო, „იუნაიტედი" დაილუპა, მაგრამ არ მომკვდარა. მატ ბასბი კვლავ საჭესთან იდგა. იმ 19 თებერვალს გამოშვებულ სამატჩო პროგრამაში კი ასეთი სიტყვები იყო: „ისინი აღარ დაბრუნდებიან. მათ ვერაფერი დააკლებს ასაკი. ჩვენ კი ყოველ ცისმარე დღეს მოვიგონებთ საოცრებას და სიყვარულს."

---

და იყო მესამე დიდი გუნდი, ბასბიმ რომ შექმნა იმ საშინელი დღის შემდეგ. ეს იყო გუნდი, რომელიც ლამის ათ წელიწადს მიდიოდა [illegible] დიდი გამარჯვებისკენ. და იქ იყვნენ ბობი ჩარლტონი, ბილი ფოლკსი და, რა თქმა უნდა, დენის ლოუ და ჯორჯ ბესტი.

ბასბი არ [illegible] თავს. მან კვლავ იპოვნა ბიჭები და [illegible], გააკეთა კიდეც. [illegible] ჯორჯ ბესტი ერთ [illegible] ირლანდიურ გუნდში არ მიიღეს, მას სახლში კაცი ეწვია: „შვილო, გინდა „იუნაიტედში" თამაში?"



[illegible], ბასბი და ჯორჯ ბესტს ჩემპიონთა თასი უჭირავთ

და იმ საღამოს, მაისის ხმაურიან საღამოს, როცა ბობიმ და მისმა ამხანაგებმა „უემბლიზე" ჩემპიონთა თასი აწიეს ხელში, ბასბის, თავშეკავებულ კაცს ჯენტლმენის ცრემლი წასკდა.

„მე ვხვდები, რომ ვალი მოვიხადე ბიჭების წინაშე. ახლა შემიძლია ამოვისუნთქო". — ასეთი იყო მისი სიტყვები.

მალე მას ბასბის [illegible] იმპერიის რაინდის წოდება და ხმალი მიენიჭა.

მაგრამ ეს ამბავი, ამბავი მიუნხენის შემდეგ წამოდგომისა და გამარჯვებისა, ცალკე ისტორიაა.

## ამხანაგური მატჩი

### არგენტინა 2:0 ბულგარეთი

არგენტინა: კავალიერო, ლომბარდი, აიალა (ბერიზო 75), შამოტი, პინედა, ზაპატა, ვერონი, კარდოზო, გალიარდო (ბერტი 46), ლოპესი, ბატისტუტა (დელგადო 63)

ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიშევი, გუინჩევი, ივანოვი, პუეჩენი, იანკოვი, ხრისტოვი (იოვოვი 84), ტოდოროვი (ლეჩკოვი 46), ბალაკოვი, სტოიჩკოვი (კოსტადინოვი 46), პენევი

1:0 ბატისტუტა (35), 2:0 ლოპესი (86)

...ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჯგუფური ტურნირის მატჩში ბულგარელებმა მარადონას გარეშე დარჩენილ არგენტინას ამავე ანგარიშით სძლიეს და მერვედფინალის საგზური მოიპოვეს. არგენტინამ კი ბულგარეთთან



REUTERS ფოტოქრონიკა

ბატისტუტა გოლით დაბრუნდა

წაგებას მეორე ექსსოციალისტ რუმინეთთან მარცხიც დაურთო და ჩემპიონატსაც ნაადრევად გამოეთიშა.

ეს ოთხი წლის წინ იყო. ახლა კი მასპინძლებმა იმარჯვეს, თან სანახაობრივად ლამაზ თამაშში. პასარელამ კარგა ხნის შემდეგ ნაკრებში უხმო გაბრიელ ბატისტუტას და მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმაც დაბრუნება გოლით აღნიშნა — მან ზდრავკოვის მიერ ლოპესის დარტყმის მოგერიებულს დაამატა. მანამდე გაბრიელამა ერთიც გაიტანა, მაგრმა არ ჩაუთვალეს. შეხვედრის მიწურულს ლოპესმა თავადაც შეაგდო.

— ჩვენ კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ კიდეც. გამარჯვება ლოგიკური იყო. მთლიანობაში, ცალკეულ ფეხბურთელთა თამაშითაც და გუნდითაც კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელები, რაც დრო გადის, უკეთ უგებენ ერთმანეთს, ამან კი არ შეიძლება, სათანადო შედეგი არ მოიტანოს — განაცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ, რომელიც რამდენიმე კვირის წინ, კონტინენტის ერთ-ერთი პოპულარული საფეხბურთო ჟურნალის გამოკითხვის შედეგად, სამხრეთ ამერიკის წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

# ზიკომ ზაგალო გაახარა

— მიხარია, ზიკოს ჩემს გვერდით რომ ვხედავ. ახლა არანაირი პრობლემა არ მექნება. ის როგორი ჭკვიანი ფეხბურთელიც იყო, ისეთივე მწვრთნელია. მან ეს „კაშიმა ანტლერსშიც“ დაადასტურა და, იმედია, ნაკრებშიც ფეხს გამოიჩენს — თქვა ზაგალომ, რომელიც საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონის მეხუთე მედლის მოგებას აპირებს. მარიო ზაგალომ ორჯერ, როგორც ფეხბურთელმა ისე იმარჯვა ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში, ერთხელ როგორც მთავარმა მწვრთნელმა, ერთხელაც ასისტენტმა. სხვათა შორის, 1994 წელს, აშშ-ში ბრაზილიელთა გამარჯვების შემდეგ, როცა ზაგალო პარეირას თანაშემწე იყო, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებში მეორე მწვრთნელის თანამდებობა გააუქმა, თუმცა მოგვიანებით მიხვდა, რომ შეცდა და ზაგალოს თანაშემწის ყოლის უფლება მისცა. ბებერმა ზაგალომ უმალ ზიკოს დაუძახა. ახალწვეულის დებიუტი მწვრთნელის თანაშემწის პოსტზე კი 25 მარტს შტუტგარტში, გერმანელებთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

ზაგალომ ამ თამაშისთვის ნაკრებში პსჟ-ს ნახევარმცველი რაი გამოიძახა, თუმცა იქვე დასძინა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ნაკრებში ..ცილობლად ითამაშებსო.

---

## ფუტიქსის დროშით

დარჩა 91 დღე

# მესამე ზედმეტი ყოფილა

ამ ბოლო დროს ფიფას ხელმძღვანელები საკმაოდ უცნაურ ნაბიჯებს დგამენ. ჯერ იყო და თამაშის სანახაობრივად გაუმჯობესებისთვის კარების გაზრდა მოიწადინეს, მერე ბლატერმა ისიც განაცხადა, გუნდში თითო ფეხბურთელი ქალი მაინც უნდა იყოსო (?!). ახლა კი, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, ფიფამ გადაწყვიტა, რომ ფინალური ტურნირის მონაწილეებს გუნდში მხოლოდ ორი მეკარის ყოლის უფლება ჰქონდეთ.

— ვფიქრობთ, ასე უკეთესი იქნება. თუ ერთმა მეკარემ ტრავმა მიიღო, გუნდს შანსი აქვს მეორე ათამაშოს. მესამე მეკარის აუცილებლობას ვერ ვხედავ — თქვა ბლატერმა სამშაბათს, საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ სხდომაზე.

ფიფას გენერალურმა მდივანმა კი მოიწონა მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატში მხოლოდ ორი მეკარით თამაშს რამდენიმე ნაკრების მწვრთნელი ცივად შეხვდა. ისინი გადაწყვეტილებას უარყოფითად გამოეხმაურნენ. იტალიელთა თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ კი ისიც განაცხადა, ფიფას აზრს და წესებს ანგარიშს კი ვუწევ, მაგრამ ტურნირზე მაინც სამი მეკარით წავალო.

— უბრალოდ წარმოუდგენელია ასეთ ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ტურნირში მხოლოდ ორი მეკარით თამაში. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. აბა, წამით მაინც წარმოიდგინეთ, ორივე მეკარეს რომ რაიმე შეემთხვას, მერე კარის დაცვა სხვა ამპლუის ფეხბურთელს უნდა ვანდო? ეს ხომ აბსურდია. პასუხისმგებლობა უდიდესია, ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატია და არა ამხანაგური მატჩი — სასტიკად აღშფოთდა უფროსი მალდინი, რომლის სიყვარული დაცვითი ფეხბურთისადმი მთელს დუნიაზეა ცნობილი. რაოდენ საკვირველიც არ უნდა ჩანდეს, „სკუადრა აძურამ“ დაცვის ტრფიალი მწვრთნელის თავკაცობისას შესარჩევ ტურნირში მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა — რუსეთთან მატჩში. ისიც კანავარომ ჩაჭრა, თორემ იტალია საკუთარ კარს კვლავაც აუღებელს დატოვებდა.

აღშფოთებულ მალდინის მასპინძელთა თავკაცმა ემე ჟაკემაც დაუჭირა მხარი, ასეთი სულელური გადაწყვეტილება პირველად მოვისმინეო:



— ვფიქრობ, ფიფაში არ უწყიან, რას ამბობენ. მე როგორც მწვრთნელი, არაფერს გამოვრიცხავ. ერთთვიანი ტურნირის განმავლობაში იქნებ ორი მეკარე დაშავდეს. ნუთუ სათადარიგო არ უნდა მყავდეს? მეკარის პრობლემა მიტომაა აქტუალური, რომ ამ ამპლუაში ერთი კაცი თამაშობს, დაცვის, ნაცევარდაცვის, ანაც თავდასხმის ფორმირება კი ასე თუ ისე შეიძლება. გადაწყვეტილება უბრალოდ უაზროა. მისგან ვერანაირ სიკეთეს ვერ ვხედავ.

ზემოხსენებული ორი გუნდის ხელმძღვანელებს არც ჩილელთა თავკაცი ნელსონ აკოსტა ჩამორჩა — თუ მოხდა და მეკარეები დამიშავდა, შემცვლელს ოკეანისგაღმიდან ხომ არ ვიხმობო. იგივე განაცხადა არგენტინელთა მწვრთნელის დანიელ პასარელას თანაშემწე ალესანდრო საბელამ, თან დასძინა, გარდა იმისა, რომ გადაწყვეტილება ძალიან სარისკოა, არასწორიცააო.

შეცვლის თუ არა ფიფა მიღებულ წესს, ძნელი სათქმელია, რადგან კანონის გაუქმების პრეცენდენტი ამ ორგანიზაციის ისტორიაში კი ყოფილა, მაგრამ იშვიათად. ჯერჯერობით კი მწვრთნელები ნერვიულობენ, იქნებ სამართლიანად, ანაც — ამაოდ...

# ტრუსიე ნელ-ნელა შავდება

— თუ მხედველობაში მივიღებთ გუნდის ბოლოდროინდელ პროგრესს და შესაძლებლობებს, სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია, მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკამ მოიგოს — განაცხადა „ბაფანა ბაფანს“ ფრანგმა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ.

ნეტავ რას ემყარება ტრუსიეს ასეთი პრეტენზიული განცხადება? პასუხს თავად რესპონდენტი იძლევა — თურმე აფრიკელებს ძალა, ფიზიკური მომზადება და სულისკვეთება თავიდანვე ახასიათებდათ, ფეხბურთის გაათმაგებულმა სიყვარულმა და მუხლჩაუხრელმა შრომამ კი ნელ-ნელა შედეგების მოტანა დაიწყო. ტრუსიემ ისიც დასძინა, აფრიკული ფეხბურთის ბოლოდროინდელი, შესამჩნევი პროგრესი, ფეხბურთელების შავი კონტინენტიდან ევროპაში გადინების შედეგიცააო. მანვე მაგალითად ნიგერია მოიყვანა — ატლანტაში ნიგერიამ არგენტინა და ბრაზილია დაამარცხა, ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის კი უმეტესობა ევროპულ გუნდებში ირჯებოდაო.

...ამჟამად ტრუსიე სამშობლოში იმყოფება და მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე დანარჩენი ქვეყნების გუნდების მწვრთნელებთან ერთად სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობს, თან რაც დრო გადის, სამხრეთ აფრიკელთა გამარჯვებაში სულ უფრო და უფრო რწმუნდება:

— მსოფლიოს ჩემპიონატის გათამაშების ფორმულა ოლიმპიურია. ასეთ შემთხვევაში კი თავისუფლად შეიძლება ალოგიკური რამ მოხდეს. განა ისტორიას ცოტა სენსაციები ახსოვს? იმედია, საფრანგეთში „ბაფანა ბაფანა“ თავისას იტყვის, ჩვენ გამარჯვება ძალგვიძს, თანაც არც მეტოქეები გვყავს ისეთი, მათი ძლევა აუხდენელი ოცნება რომ იყოს — თქვა ტრუსიემ, რომელიც აგერ უკვე შვიდი წელიწადია, აფრიკაში მოღვაწეობს. საფრანგეთში კი მასზე ხუმრობენ, რაც დრო გადის, ტრუსიე სულ უფრო შავდებაო.

რაც შეეხება თავად მწვრთნელის აფრიკულ ვოიაჟს, იგი 1991 წელს დაიწყო კოტ დივუარის ერთ-ერთი გუნდის, ASEC-ის თავკაცობისას. მომავალი წელს, მან კოტ დივუარის ნაკრებს ყველასთვის მოულოდნელად კონტინენტის თასი მოაგებინა. შემდეგ ნიგერიას მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური არგუნა, სულ ახლახანს, თებერვალში კი ბურკინა ფასო, რომელსაც აქამდე კონტინენტის თასის გათამაშებაში ერთი მატჩიც არ ჰქონდა მოგებული, ნახევარფინალში გაიყვანა.

# ჩაგრული უგანდელი

...მალე ზაფხული მოვა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიმსაჯებ. ისტორიაშიც შევალ. მე ხომ პირველი უგანდელი ვიქნები, რომელმაც ამგვარი პრესტიჟული ტურნირი განსაჯა — თავისთვის ფიქრობდა უგანდელი ჩარლ მასემბე, როცა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის თავზარდამცემი გადაწყვეტილება მოისმინა — იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე ველარ იმსაჯებს. ამის მიზეზი გასულ თვეში აფრიკის თასზე არაკვალიფიციური მოქმედება და რამდენიმე უხეში შეცდომაა. მასემბე დაღონდა...

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ, კონტინენტის თასის გათამაშება რჩეულ არბიტრთა კიდევ ერთხელ შესამოწმებლად გამოიყენა და ყველა მათგანის საქმეში ხილვის შემდეგ, ჯერ მალელი მაგასა სიდი ბეკე ამოაგდო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა სიიდან (იმავე აფრიკის თასის გათამაშების მატჩში, სამხრეთ აფრიკელი თავდამსხმელის ბენი მაკართის ანგოლასთან შეხვედრაში არგაგდების გამო), ახლა კი სიდი ბეკეის მასემბეც მიაყოლა.

მასემბეს თავს დატეხილი ამბავი უგანდაში მტკივნეულად აღიქვეს, ქვეყნის ფეხბურთის კავშირის წარმომადგენელმა აბეი ლუტაიმ კი მომხდარი სათანადოდ შეაფასა და აფკ-ს (აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია) საქციელი სასტიკად დაგმო — კაცს ისტორიაში შესვლა არ აცადესო.

არადა, მასემბე ისტორიაში მართლაც შევიდოდა — იგი პირველი უგანდელი იქნებოდა, რომელიც ფეხბურთის უპირველესი ტურნირის ფინალურ ეტაპზე მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა არ დასცალდა... ყველაფერი ზემოდან იყო დაგეგმილი.

...აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, ზემოხსენებული დისკვალიფიცირებული მალელი მსაჯი ნიგერელმა ლუსიენ ბუშერდუმ შეცვალა, უგანდელის ნაცვლად კი საფრანგეთში სამხრეთ აფრიკელი იან მაკლეოდი გაემგზავრება.

# დიპლომატი ჟოაო

ფიფას პრეზიდენტმა, ბრაზილიელმა ჟოაო ავლანჟმა, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტად მოღვაწეობის პერიოდში მუდამ დიპლომატიაზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე ქადაგებდა, ჩვეულებას არც სიბერის ჟამს უღალატა და ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტ კიმ იონგ ილს შეუთვალა, ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნას დაესწარითო. იონგ ილისადმი გაგზავნილ წერილში ავლანჟმა პრეზიდენტი ფიფას სახელით მიიპატიჟა, ბოლოს კი დასძინა, ხომ იცით, ფეხბურთს რამხელა ძალა აქვს. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის გამო მოქიშპე ქვეყნებსაც დაუდიათ ზავი, ეგებ ჩრდილო და სამხრეთ კორეამაც გამონახოთ საერთო ენაო.

დაესწრება თუ არა ჩრდილოეთ კორეის ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალს, უცნობია, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ავლანჟი საამისოდ ყველა ღონეს ხმარობს. ორიოდ დღის წინ ფიფას პრეზიდენტმა ანალოგიური შინაარსის წერილი გაუგზავნა სამხრეთ კორეის პრეზიდენტ კიმ დაე იუნგს.

ავლანჟის მოქმედება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ფიფას პრეზიდენტს ორი კორეის დაახლოების სურვილი ამოძრავებს.

სხვათა შორის, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებად იაპონია-სამხრეთ კორეის დასახელების შემდეგ ავლანჟმა და ფიფას კიდევ რამდენიმე ჩინოსანმა მასპინძლებთან ჩრდილოეთ კორეის შეამხანაგებაც მოინდომეს, მაგრამ ზემოხსენებული ორი ქვეყნისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. სამხრეთ კორეის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ჩუნგ მუნ ხუნმა კი ისიც განაცხადა, თუ ფიფას დიპლომატიური სურვილი ამოძრავებს, ბარემ მსოფლიოს ჩემპიონატის ოლიმპიური სისტემით ჩატარებას მიჰყოს ხელი, უკეთესი იქნებაო.



ჟოაო ავლანჟი

# მიზანდასახული

— მოვიგებთ თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატს, ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადავდგები. შუა ივლისში, როცა თასს ჩავიბარებთ, ეროვნული გუნდის სადავეებს სხვას გადავაბარებ — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ემე ჟაკემ, რომელიც ქვეყნის პირველ გუნდს 1994 წლის თებერვლიდან წვრთნის. მან მაშინ ჟერარ ულიე შეცვალა, რომელმაც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის გაყვანა ვერ მოახერხა.

— როცა მწვრთნელი გავხდი, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას განვუცხადე, რომ მთავარ მიზნად მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება დავისახე, რისთვისაც კიდეც ვიბრძოლებთ. მწამს, ზაფხულში გავიმარჯვებთ, ნაკრებიდან წასვლისთვის კი უკეთეს მომენტს ალბათ ვერ მოვიხელთებ — დასძინა ჟაკემ, რომელმაც თავის მემკვიდრედ ალან ჟირესი მიიჩნია, კაცი, რომელსაც იგი „ბორდოში“ წვრთნიდა. თავად ჟირესმა თქვა, მადლობთ ჟაკეს, ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის შესაფერის კანდიდატად რომ მივაჩნივარ, მაგრამ ჩემი სამწვრთნელო გამოცდილება, ვგონებ, ჯერ ამდენის უფლებას არ მაძლევსო...

ჟირესის გარდა, ჟაკეს საქმის გამგრძელებლად „მონაკოს“ ამჟამინდელ მწვრთნელ ჟან ტიგანას (სხვათა შორის, ჟირესის დარად „ბორდოში“ ტიგანაც ჟაკეს თავკაცობით თამაშობდა), „ნანტის“ ხელმძღვანელ ჟოელ მიულერს და „ოსერის“ ამაღორძინებელ გი რუს მიიჩნევენ.

## კოლუმბია

კოლუმბიელებმა, რომლებიც ზედიზედ მესამედ მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონატში, ტურნირამდე გათვალისწინებული ამხანაგური მატჩების კალენდარი წლის დასაწყისში გამოაქვეყნეს, მაგრამ მას შემდეგ მათი გეგმები გარკვეულწილად შეიცვალა და თამაშებიდან ზოგი გადაიდო, ზოგიც საერთოდ ამოვარდა.

სამშაბათს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ხელახლა დაამტკიცა სპარინგ-პარტნიორები და ამხანაგური მატჩების თარიღები, ნაკრების თავკაცებმა კი 17 მარტს ბოგოტაში, არგენტინის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ბოკა ხუნიორსთან“ სათამაშოდ ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელები დაასახელეს: მეკარეები — ოსკარ კორდობა (ბოკა ხუნიორსი), მიგელ კალერო (ნასიონალი); მცველები — ხორხე ბერმუდესი (ბოკა ხუნიორსი), ანტონიო მორენო (ტოლიმა), ხოსე ფერნანდო სანტა, ალექს პოსადა (ნასიონალი), ივან რამირო კორდობა (სან ლორენსო), ვილსონ პერესი (მედელინი); ნახევარმცველები — ჯონ ვილმარ პერესი (კალი), ფრედი რინკონი (კორინტიანსი), მაურისიო სერნა (ბოკა ხუნიორსი), ხორხე ბოლანოსი (ჟუნიორი), კარლოს ვალდერამა (ფუზიონი); თავდამსხმელები — ფაუსტინო ასპრილია (პარმა), ენტონი დე ავილა (ბარსელონა, ეკვადორი), ვიქტორ არისტასაბალი (სან პაულუ), ალექს კომასი (ნასიონალი).

რაც შეეხება ამხანაგურ შეხვედრებს, სანამ მათ განრიგს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ თავდაპირველად მათ შორის მარტის მიწურულს „ნიუკასლთანაც“ იყო მატჩი დაგეგმილი, მაგრამ რაკი ასპრილიამ „პარმას“ მიაშურა, შეხვედრა ჩაიშალა. განრიგი კი ასეთია: 17 მარტს ბოგოტაში „ბოკა ხუნიორსთან“, 25 მარტს ბოგოტაში იუგოსლავიასთან, 29 მარტს ნიუ იორკში პარაგვაისთან, 1 აპრილს სან დიეგოში მექსიკასთან, 22 აპრილს, იმავე სან დიეგოში ჩილესთან, 25 აპრილს ურუგვაისთან, მაგრამ შეხვედრა სად გაიმართება ჯერჯერობით ცნობილი არ არის, 24 მაისს ნიუ იორკში შოტლანდიასთან, 30 მაისს ფრანქფურტში გერმანიასთან, 4 ივნისს ბრიუსელში ბელგიასთან.

## მაროკო

აფრიკელები გასაჭირში არიან. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გაცხარებული ემზადებოდნენ, ამხანაგური მატჩები ადრევე დაგეგმეს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, ქართველთაგან განადგურებულმა უელსმა, მათ თამაშზე უარი განუცხადა.

მაროკოელებს ბრიტანელებთან მატჩი 15 მარტისთვის ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ უელსის უარის გამო იგი ჩაიშალა. მსოფლიოს ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ მონაწილე მაროკოს ფეხბურთის ფედერაცია დაფაცურდა და ახალი მეტოქის ძებნას შეუდგა, აშშ-ს და რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციებისგან თანხმობაც მიიღეს და 8 აპრილს რომელიმე მათგანს გაეჯიბრებიან.

გარდა ამისა, მაროკოს სხვა შეხვედრებიც აქვს დაგეგმილი: 27-29 მარტს ისინი შინ, „მეფე ჰასანის“ თასის გათამაშების ეგიდით ინგლისს და ბელგიას უმასპინძლებენ, 4 ივნისს კი მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაგეგმილ ბოლო ამხანაგურ მატჩში ჩილეს შეხვდებიან.

# სამაგალითო იტალიელები

–ქვეყნის მსაჯთა ასოციაციის გადაწყვეტილებით, იტალიაში მსაჯებმა ზუსტად იციან, რამდენი წუთი უნდა დაამატონ შეხვედრებს. ამ ორიოდ წლის წინ განისაზღვრა იმ დროის რაოდენობა, რომლის დამატების უფლებაც აქვს მსაჯს ფეხბურთელთა შეცვლის, მსუბუქი, ანაც მძიმე ტრავმების შემთხვევაში. ცხადია, არ განუსაზღვრავთ სუფთა სათამაშო დრო, მაგრამ ის მაინც შეძლეს, რომ შეხვედრის დასრულება მსაჯის შეხედულებისამებრ არ გადაწეულიყო.

იტალიელებს სამსოფლიოსჩემპიონატოდ ფიფამაც მიბაძა და სამშაბათს პარიზში შემდგარ საგანგებო სხდომაზე სხვა პრობლემატურ საკითხებთან ერთად ზემოხსენებული პრობლემაც განიხილეს. ფიფას თავკაცებმა დასამატებელი დროის ზუსტად განსაზღვრა იმიტომ მოიწადინეს, რომ აღარ განმეორდეს ის, რაც წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე, აშშ-ში ხდებოდა — მაშინ ხომ მსაჯთა მიზეზით ზოგიერმა მატჩმა ნაცვლად საათნახევრისა ლამის ორ საათს გასტანა.

სამშაბათს მოსახდენი მოხდა: კომპეტენტურმა პირებმა ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, რომ სერია A-ში მიღებული წესი მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაენერგათ.

მაშ ასე, მსაჯები ვალდებულნი არიან ფეხბურთელის ცვლილებისთვის ნახევარი წუთი დაამატონ, მსუბუქი ტრავმისთვის წუთი, ხოლო თუ შემთხვევა საგანგებოა, მაშინ ორი წუთი. ასე რომ მსაჯმა შეიძლება შეხვედრა მაქსიმუმ 10 წუთით გვიან დაასრულოს, რაც სრულიად მისაღებია.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXVI ტური

13 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| დუისბურგი — ლევერკუზენი | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| ჰერტა — შალკე | 2,5 | 2,7 | 2,5 |

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — ბოხუმი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| დორტმუნდი — არმინია | 1,5 | 3,4 | 5,0 |
| მიონხენგლადბახი — ვერდერი | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| ჰამბურგი — შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 2,6 |
| კაიზერსლაუტერნი — მიუნხენი | 1,25 | 4,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ვოლფსბურგი — კარლსრუე | 1,8 | 2,9 | 3,8 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიოლნი — ჰანზა | 2,0 | 2,9 | 3,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. XXII ტური

13 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფრაიბურგი — კარლ ცაისი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ვატენშაიდი — უნტერჰახინგი | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| კიკერსი — მეპენი | 1,6 | 3,2 | 4,4 |

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — ზანკტ პაული | 2,5 | 2,7 | 2,5 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კოტბუსი — ურდინგენი | 2,4 | 2,7 | 2,6 |
| დიუსელდორფი — ფიურტი | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| ლაიპციგი — გიუტერსლო | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| ცვიკაუ — მაინცი | 2,5 | 2,7 | 2,5 |

16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — აინტრახტი | 2,2 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXX ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — კრისტალ პალასი | 1,5 | 3,4 | 5,0 |
| ბარნსლი — საუთჰემპტონი | 2,3 | 2,8 | 2,7 |
| ბოლტონი — შეფილდი | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| ევერტონი — ბლექბერნი | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| მანჩესტერი — არსენალი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ნიუკასლი — ქოვენთრი | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| ტოტენჰემი — ლივერპული | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| ვესტ ჰემი — ჩელსი | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| უიმბლდონი — ლესტერი | 2,2 | 2,8 | 2,9 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| დერბი — ლიდსი | 1,9 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXVIII ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — ბირმინგემი | 2,8 | 2,9 | 2,2 |
| ჰადერსფილდი — ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ნორვიჩი — ვესტ ბრომი | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ნოტინგემი — ბერი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ოქსფორდი — სტოკი | 1,7 | 3,2 | 3,8 |
| პორტ ვეილი — სიტი | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| პორტსმუთი — მიდლსბრო | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| ქუინზ პარკი — სვინდონი | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| შეფილდი — რედინგი | 1,3 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| სტოკპორტი — იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| ვულვერჰემპტონი — ქრიუ | 1,5 | 3,6 | 4,7 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — სანდერლენდი | 2,5 | 2,7 | 2,5 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIX ტური

13 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ბორდო | 2,3 | 2,8 | 2,7 |
| გინგამი — შატორუ | 1,4 | 3,6 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ლანსი — პსჟ | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| ოსერი — მონაკო | 2,5 | 2,7 | 2,5 |
| მარსელი — ბასტია | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ლე ავრი — კანი | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| მონპელიე — მეცი | 3,4 | 2,9 | 1,9 |
| სტრასბური — რენი | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| ტულუზი — ლიონი | 2,3 | 2,9 | 2,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXV ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ვიჩენცა | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ინტერი — ატალანტა | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| იუვენტუსი — ნაპოლი | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| სამპდორია — ლაციო | 2,5 | 2,8 | 2,4 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშა — მილანი | 2,9 | 2,8 | 2,2 |
| ემპოლი — პარმა | 2,9 | 2,8 | 2,2 |
| ლეჩე — ფიორენტინა | 4,2 | 3,0 | 1,7 |
| პიაჩენცა — უდინეზე | 2,7 | 2,8 | 2,3 |
| რომა — ბარი | 1,25 | 4,2 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXVI ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიევო — ვერონა | 2,3 | 2,9 | 2,6 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — ფ. ანდრია | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ფოჯა — ჯენოა | 2,8 | 2,9 | 2,2 |
| ლუკეზე — პესკარა | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| მონცა — კალიარი | 2,5 | 2,7 | 2,5 |
| პერუჯა — რეჯინა | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რავენა — ტრევიზო | 2,3 | 2,8 | 2,7 |
| რეჯანა — პადოვა | 1,25 | 4,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| სალერნიტანა — დი სანგრო | 1,2 | 5,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ვენეცია — ტორინო | 1,8 | 3,0 | 3,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXIX ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპოსტელა — ატლეტიკო | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| რეალი — რასინგი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეტისი — სალამანკა | 1,25 | 4,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ესპანიოლი — სოსიედადი | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| სარაგოსა — ვალენსია | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| მერიდა — დეპორტივო | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| ოვიედო — სპორტინგი | 1,15 | 5,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| სელტა — ტენერიფე | 1,35 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ვალიადოლიდი — ბარსელონა | 4,0 | 3,1 | 1,7 |

16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბილბაო — მალიორკა | 1,7 | 3,0 | 4,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXXII ტური

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლას პალმასი — ეიბარი | 1,5 | 3,4 | 5,0 |
| ლეიდა — ალბასეტე | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ორენსე — ტოლედო | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ხაენი — ვილიარეალი | 3,4 | 2,9 | 1,9 |
| სერესი — რაიო | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| ელჩე — ერკულესი | 3,0 | 2,9 | 2,1 |
| ესტრემადურა — ოსასუნა | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ბადახოსი — ლევანტე | 1,35 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ლოგრონიესი — ალავესი | 3,0 | 2,9 | 2,1 |
| სევილია — ლეგანესი | 1,7 | 2,9 | 4,4 |
| ატლეტიკო B — ნუმანსია | 1,4 | 3,6 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXV ტური

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვარზიმი — სპორტინგი | 2,6 | 2,9 | 2,3 |
| პორტუ — რიუ ავე | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| მარიტიმუ — ბრაგა | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| ამადორა — აკადემიკა | 1,4 | 3,6 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| სალგეირუში — ფარენსე | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| ლეცა — სეტუბალი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ბენფიკა — შავეში | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ბოავიშტა — გიმარაეში | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| ბელენენსეში — კამპომაიორენსე | 2,5 | 2,8 | 2,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.

13 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — ტილბურგი | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| როდა — სიტარდი | 2,1 | 2,9 | 3,0 |

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიაქსი — ვოლენდამი | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,4 |
| ნაიმეგენი — მაასტრიხტი | 1,6 | 3,3 | 4,2 |
| ბრედა — ტვენტე | 1,7 | 3,0 | 4,2 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| უტრეხტი — სპარტა | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| ვალვაიკი — ეინდჰოვენი | 3,8 | 3,2 | 1,7 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXVI ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სენტ ტრუიდენი — მუსკრონი | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| ლომელი — შარლერუა | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| ანდერლეხტი — ეკერენი | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| ბევერენი — მოლენბეკი | 1,7 | 3,2 | 3,8 |
| ვესტერლო — გენკი | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| ანტვერპენი — გენტი | 2,0 | 3,0 | 3,1 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — სტანდარდი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| აალსტი — ლოკერენი | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| ჰარელბეკი — ლიერსი | 1,7 | 3,0 | 4,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — აბერდინი | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| ჰარტსი — კილმარნოკი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 4,7 | 3,6 | 1,5 |
| სენტ ჯონსტონი — ჰიბერნიანი | 1,4 | 4,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXV ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — ადმირა | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ტიროლი — ლინცერი | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| ლუსტენაუ — რაპიდი | 3,5 | 2,8 | 1,9 |
| რიდი — ზალცბურგი | 3,0 | 2,9 | 2,1 |
| შტურმი — გრაცერი | 1,6 | 3,2 | 4,4 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XXV ტური

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| არაუ — ლუცერნი | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| სერვეტი — სიონი | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| სენტ გალენი — ლოზანა | 2,2 | 2,9 | 2,8 |
| ციურიხი — გრასჰოპერი | 3,6 | 3,0 | 1,8 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

13 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკარაგიუჯუ — ფენერბაჩე | 5,0 | 3,4 | 1,5 |

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისთანბულსფორი — ბეშიქთაში | 2,4 | 2,8 | 2,5 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი — სამსუნსფორი | 1,2 | 5,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| გალათასარაი — გენჩლერბირლიგი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (26-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| ინგლისი (30-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (25-ე) | 23 და ნაკლები — 1,9 | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (29-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| საფრანგეთი (29-ე) | 22 და ნაკლები — 1,9 | 24 და მეტი — 1,9 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შურისძიება F18-ით

ინდიან უელსი. აშშ „ევერტის თასი“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 1 250 000 $

შარშანდელი უიმბლდონისგან განსხვავებით, ანა კურნიკოვას ფერადკანიანი ჩანდა რუბინისგან ამჯერად გაცილებით მეტი მოხვდა, ის კი არა, მატჩის ბოლოს სამი მატჩ-პოინტის გადარჩენამაც მოუწია, მაგრამ 16 წლის რუსს გარკვეულ მიზეზთა გამო გამარჯვების სურვილი ვერაფერმა გაუნელა: „სულ ვფიქრობდი, არ შეიძლება, რომ წავაგო, დღეს ხომ დედაჩემის დაბადების დღეა-მეთქი. ამიტომაც მატჩ-პოინტებზე ძალიან აგრესიულად ვითამაშე, მანამდე კი ბურთს, უბრალოდ, უკან ვაგდებდი ჩანდას შეცდომების იმედზე“ ანამ ზემოხსენებული კრიზისი მესამე სეტში, 5:6-ზე დაძლია, ანგარიში გაათანაბრა და ტაი-ბრეიკზე მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა — 3:6, 6:2, 7:6 (7:2), მატჩის შემდეგ კი მთავარი მსაჯის სკამზე აძვრა, ხალხს სთხოვა, ამყევითო და განცვიფრებულ ალა კურნიკოვას happy birthday უმღერა, მერე კი საიდანღაც გაჩენილი შოკოლადის ტორტი მიართვა. სანთლები არავის დაუთვლია, მაგრამ, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, უფროს კურნიკოვას 35 წელი შეუსრულდა.

ამავე დღეებში, კერძოდ კი 10 მარტს იზეიმა დაბადების დღე აწ უკვე 16 წლის მირიანა ლუჩიჩმაც, მაგრამ სადღესასწაულო ხორვატს ბევრი არაფერი ჰქონდა — იგი პირველივე წრეში იაპონელ ნაოკო სავამაცუსთან დამარცხდა. მირიანა წაგების ასახსნელად, როგორც ყოველთვის, მთასა და ბარს მოედო, თუმცა კი ძირითადად იმას ჩიოდა, ყველა ტურნირში გამოსვლის შესაძლებლობას რომ არ მაძლევენ, გამოცდილებას ვერ ვიძენო — მომავალი წლის 10 მარტამდე ლუჩიჩს მხოლოდ 10 პირველობაზე შეუძლია მონაწილეობა.

მეტად პრესტიჟულ ევერტის თასს წლეულს სხვადასხვა მიზეზებით ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი აცდენს — იანა ნოვოტნა, მონიკა სელეში, მარი პირსი, არანჩა სანჩესი, ანკე ჰუბერი, მაგრამ ტურნირისადმი ინტერესი მაინც ძალიან დიდია, რაც უპირველესად მსოფლიოს ყოფილი და ახლანდელი პირველი ჩოგნების — შტეფი გრაფისა და მარტინა ჰინგისის მონაწილეობითაა განპირობებული. გრაფი, რომელსაც 17 წლის შვეიცარიელმა კლასიფიკაციის პირველი ადგილი შარშან მარტში ჩამოართვა, მუხლის ოპერაციით გამოწვეული რვათვიანი შესვენების შემდეგ მეორე ტურნირზე ასპარეზობს. „ამდენი ხნით არყოფნის მერე თამაში ძალიან მიჭირს, პრაქტიკა და ვარჯიში მაკლია, თან ჩემი რიტმის მოძებნაც მჭირდება, ამისთვის კი, ალბათ, რამდენიმე კვირა, ორი-სამი ტურნირი იქნება საჭირო“ — განაცხადა ევერტის თასის ორგზის ჩემპიონმა, რომელსაც ინდიან უელსში მაყურებელმა მეტად თბილი შეხვედრა მოუწყო. შტეფი, ეტყობა, თავს იზღვევს, თორემ შავი დღე მეორე წრეში მას კი არა, მის მეტოქეს — ტაილანდელ თამარინე თანასუგარნს ეწია, რომელიც ლეგენდარულმა გერმანელმა 6:4, 6:0 გაანადგურა. ჰინგისს კი ფრანგ სარა პიტკოვსკისთან კიდევ უფრო ნაკლები ჯაფა დაადგა — 6:2, 6:1.



...დედა ნახე, შვილი ისე გამონახე: ანა (უკან) და ალა კურნიკოვები

**მეორე წრე:** კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) — მარია ალეხანდრა ვენტო (ესპანეთი) 6:7 (0:7), 7:5, 6:3; ირინა სპირლეა (6, რუმინეთი) — ფანგ ლი (ჩინეთი) 7:5, 6:2; ნატაშა ზვერევა (15, ბელარუსი) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:4, 6:3; სანდრა საკიჩი (აშშ) — ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) 1:6, 6:2, 7:5; აი სუგიამა (11, იაპონია) — ტარა სნიდერი (აშშ) 6:1, 4:6, 6:1.

მარტინა ჰინგისმა და შტეფი გრაფმა სამშაბათს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს „ოცნების ფინალში“ შესახვედრად. შტეფიმ მეთერთმეტედ განთესილი ჩია იაპონელი აი სუგიამა იმსხვერპლა 6:0, 6:1, რასაც სულ 43 წუთი დაახარჯა. ჰინგისს გაცილებით სუსტი მეტოქე ჰყავდა მსოფლიოს მე-40 ჩოგნის, გერმანელი მაიკე ბაბელის სახით, თუმცა მარტინამ მისთვის ერთი გეიმით მეტი მაინც გაიმეტა 6:2, 6:0. ტურნირის ორივე ფავორიტს ჟურნალისტებმა მაშინვე დააყარეს კითხვები მოსალოდნელი ორთაბრძოლის შესახებ, თუმცა ერთმაც და მეორემაც გაჩუმება ირჩია, ფინალამდე გასვლა გარანტირებული არა გვაქვს, ჯერ სხვა მეტოქეების დამარცხება გვაცალეთო. მერვედფინალში პირველი დიდი მოულოდნელობებიც მოხდა: სამხრეთაფრიკელმა ჯოანეტ კრუგერმა გაცილებით სახელოვანი თანამემამულე, ამანდა კუტცერი (4) გამოთიშა ასპარეზობას 2:6, 6:4, 6:4. ბელარუსმა წყვილების დიდოსტატმა ნატაშა ზვერევამ ავყია რუმინელი ირინა სპირლეა გააგდო 6:3, 7:5, სანდრა საკიჩმა კი მეშვიდედ განთესილ ფრანგ ნატალი ტოზიას კიდევ ერთი ფრანგი, სანდრინ ტესტიუ (9) მიაყოლა 4:6, 7:6 (7:3), 7:6 (7:3).

**მერვედფინალი:** კონჩიტა მარტინესი (5) — ანა კურნიკოვა (16) 6:3, 6:4; ვინუს უილიამსი (8, აშშ) — დომინიკ ვან რუსტი (10, ბელგია) 6:4, 6:1; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — რუქსანდრა დრაგომირი (13, რუმინეთი) 6:2, 6:2.

ინდიან უელსი. აშშ. „ჩემპიონთა თასი“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 2 500 000 $

ჩემპიონთა თასიცა და ევერტის თასიც ერთი და იმავე კორტებზე ტარდება, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო „მერსედეს ზე-ცხრის“ პირველ ტურნირს უბრალოდ სხვა სახელი აქვს. ქალებისგან განსხვავებით, ინდიან უელსში ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი — საუკეთესო ოცდაათეულიდან იქ მხოლოდ რიჩარდ კრაიჩეკი არ ჩასულა, რომელიც ამ დღეებში მამა უნდა გახდეს და ჩოგბურთისთვის საერთოდ არ სცხელა. მონაწილეთა რიგებს ბოლო მომენტში გამოაკლდა შარშანდელი გამარჯვებული მაიკლ ჩანგიც, რომელმაც გასული კვირის ბოლოს ვარჯიშზე მუხლი დაიზიანა.

წინა დღეს არიზონაში ტურნირის მოგების შემდეგ ანდრე აგასიმ კალიფორნიაში გადმოფრენაც მოასწრო, ცოტა წავარჯიშებაც და პირველი წრის შეხვედრაში უმცროსი „ვუდის“ — ტოდ ვუდბრიჯის დამარცხებაც 7:6 (7:3), 6:4. მატჩის დროს კორტს რატომღაც აშშ-ის საჰაერო ძალების წარმომადგენელი შეუჩნდა, რომლის ხმაურმაც თამაში რამდენჯერმე შეწყვიტა. ანდრემ პრესკონფერენციაზე იუარა, ეგ ჩემი თვითმფრინავი არ ყოფილა, დღეს ტომი ჰაასს უნდა ეფრინა F18-ით და ეტყობა, სკოტსდეილის ნახევარფინალი რომ ჩავამწარე, სამაგიერო გადამიხადაო.

პირველივე წრეში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გაიმართა. ჩოგბურთელთა ახალი თაობის ორი უნიჭიერესი წარმომადგენლის — ბრაზილიელი როლან გაროსის ჩემპიონის გუსტავო კერტენისა (10) და გერმანული ნიკოლას კიფერის შეხვედრაში ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა 6:4, 6:7 (4:7), 6:2, თუმცა სამხრეთამერიკელის მარცხი მის მიერ მეორე სეტში მიღებული ზურგის ტრავმითაც იყო განპირობებული. ძალზე დაძაბული გამოდგა ანდრეი მედვედევისა და გორან ივანიშევიჩის ორთაბრძოლაც, რომელიც უკრაინელის სასარგებლოდ დასრულდა 7:6 (8:6), 2:6, 7:6 (10:8). ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი ჯერჯერობით 20 წლის ამერიკელი ჟანმაიკლ გემბილი შექნა, რომელმაც ასპარეზობას ოზი მარკ ფილიპუსისი (12) გამოთიშა 7:6 (9:7), 5:7, 7:6 (8:6).

**პირველი წრე:** მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — ალექს კორეჩა (9, ესპანეთი) 7:5, 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ფელიქს მანტია (13, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:3; სერხი ბრუგერა (10, ესპანეთი) — ხულია ალონსო (ესპანეთი) 7:6 (7:0), 6:3; სედრიკ პიოლინი (15, საფრანგეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 6:4

**ავთანდილ სვანიძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# მშველელი ტრიბუნაზე

**იუტა 100:93 ჰიუსტონი**

**იუტა:** სტოქტონი (10), ჰორნაჩეკი (15), კიფი (4), მელოუნი (29), ფოსტერი (4), ეისლი (6), კარი (13), ანდერსონი (10), რასელი (9), მორისი
**ჰიუსტონი:** მელოუნი (9), დრექსლერი (15), როუდზი, ბარკლი (10), ბალარდი (5), ჯონსონი (37), ჰარინგტონი (10), პრაისი (7)



რაკეტა ჩარლზ ბარკლი (4) ვერ გაფრინდა

ამ მეტოქეებმა შარშანდელ პლეი ოფში დასავლეთ კონფერენციის ფინალში ითამაშეს. მაშინ იუტამ სერია 4:2 მოიგო და ფინალშიც ის გავიდა. ჰიუსტონს იუტას ჯავრი კი აზრჩობდა, მაგრამ ფავორიტად მასპინძლები იყვნენ მიჩნეულნი, მითუმეტეს, ამ მატჩს ტოვებდნენ ჰიუსტონელთა ლიდერები ოლაჯუონი და უილისი, რომელთაც ტრიბუნაზე მარიო ელიც მიუჯდა. და მაინც, ჰიუსტონი დაწინაურდა და ბოლო მეოთხედამდეც ლიდერობდა. მოულოდნელად ბრწყინვალედ ითამაშა სათადარიგო ედი ჯონსონმა, რომელმაც 37 ქულით სეზონის რეკორდი დაიმყარა. მან თავი განსაკუთრებით მეორე მეოთხედში გამოიდო — 6 ტყორცნიდან 6-ივე ჩააგდო, სულ კი თავისიანებს 19 ქულა შემატა. იუტა მატჩის ბოლო მეოთხედშიღა მოეგო გონს და გაქცეული მეტოქის წამოწევაც შეძლო. 2,06 წუთით ადრე სტოქტონმა სამქულიანი ჩააგდო და იუტა პირველად დააწინაურა — 94:94, შემდეგ კი ივარგა მელოუნმა, რომელმაც სეზონში ყველაზე მეტი — 21 მოხსნა გააკეთა და იუტამაც ზედიზედ 5 მოგებას სტუმრად შინაური გამარჯვებაც დაამატა.

9 მარტი

**საკრამენტო 88:93 გოლდენ სტ.**

**საკრამენტო:** უილიამსონი (27+11 მოხსნა), რიჩმონდი (22), ოუენსი (22)
**გოლდენ სტეიტი:** დამპიე (22+12 მოხსნა), მარშალი (21+13 მოხსნა)

კალიფორნიულ დერბიში გამარჯვება დარჩა უფრო სუსტს და თანაც სტუმარს, რომელსაც ფარქეში უკეთ ბრძოლამ მიაგებინა. გოლდენ სტეიტმა 62 ბურთი მოხსნა (საკრამენტომ 42), აქედან 24 მეტოქის ფარიდან. ამის გამოისობით იყო, სტუმრებმა პირველი ნახევარი 65:38 რომ მოიგეს. მესამე მეოთხედში საკრამენტო გამოაცოცხლა მიჩ რიჩმონდმა, რომელსაც კარიერის პირველი წლები სწორედ გოლდენ სტეიტში გაუტარებია, მაგრამ მარტო რას გახდებოდა...

**ფინიქსი 134:105 კლიპერსი**

**ფინიქსი:** მაკლაუდი (21), ჯონსონი (19)
**კლიპერსი:** პიატკოვსკი (23), ოსტინი (21), მიურეი (20)

„ფინიქს სანზმა“ მოისაკლისა ჩხუბისთავი მაკდაიესი, ვინაც ჰიუსტონელ ოლაჯუონს მუშტი-კრივი აუტეხა და ამიტომაც ერთი თამაშით დაასვენეს. თუმცა საცოდავ კლიპერსთან მისი ყოფნა არც იყო საჭირო: ათკაცა ფინიქსმა, რომ იტყვიან, სტვენა-სტვენით გაიბითურა დივიზიონის უსუსტესი გუნდი, თანაც ისე, ამ ათი კაციდან თავი არავის გამოუდვია და 30 წუთზე მეტი არ უთამაშია. კლიფ რობინსონის (8 ქულა) გარდა, ყველამ შეძლო 10 და მეტი ქულის მითვლა.

**ფილადელფია 78:88 ორლანდო**

**ფილადელფია:** აივერსონი (19)
**ორლანდო:** ანდერსონი (22), გრანტი (18+11 მოხსნა)

ფილადელფიას არ ჰყავდა ერთ-ერთი ლიდერი დერიკ კოულმენი, ეის ნაცვლადაც ექსგოლდენსტეიტელი ჯო სმიტი (16 ქულა და 12 მოხსნა) ათამაშეს. პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში გაილია და ანგარიშიც შესაბამისი იყო 47:47. მეორე ნახევარში კი თამაშის ბოლოს თავის გაგიჟებით ცნობილმა მასპინძლებმა რატომღაც „წაუძინეს“ და გამარჯვება ორლანდოელებს გაატანეს. ამათგან გამოირჩა ტრავმამოშუშებული ნიკ ანდერსონი, რომელიც ანფერნი ჰარდევეის არყოფნაში (ამასაც ტრავმიანობა დასჩემდა) გუნდის ლიდერად იქცა.

10 მარტი

**ნიუ იორკი 85:78 ორლანდო**

**ნიუ იორკი:** ჯონსონი (19)
**ორლანდო:** ანდერსონი (25)

ატლანტის დივიზიონში მეშვიდე ფილადელფიასთან სტუმრად გამარჯვების შემდეგ ამავე დივიზიონში მეხუთე ორლანდო შინ ვერ გაუმკლავდა მეორე ადგილზე მყოფ ნიუ იორკს. მასპინძელთაგან საუკეთესო ამჯერადაც ნიკ ანდერსონი იყო, მაგრამ მისმა 25 ქულამ მოგებისთვის არ იკმარა.

**ჩიკაგო 106:91 მაიამი**

**ჩიკაგო:** ჯორდანი (37), პიპენი (19)
**მაიამი:** მურნინგი (21+13 მოხსნა), ჰარდევეი (19)

აღმოსავლეთის კონფერენციის დივიზიონთა ლიდერების შეხვედრა ხუთგზის ჩემპიონმა მასპინძელმა მოიგო, თან ისე, რომ ჯეროვანი წინააღმდეგობა არც შეხვედრია. ჩიკაგოს კვლავ აკლდა ცენტრი ლუკ ლონგლი, თუმცა იგი მაიამელთა ცენტრ ალონზო მურნინგის ტოლ-სწორი ვერც არის. მურნინგი ფარს აკი დაეპატრონა კიდეც, ჩიკაგოელი ხარების ლიდერებს ჯორდანსა და პიპენს მუჯლუგუნებიც ბლომად უთავაზა, მაგრამ ამით სახეიროს ვერას გამორჩა.

**ჰიუსტონი 97:91 დალასი**

**ჰიუსტონი:** უილისი (24+12 მოხსნა), დრექსლერი (20)
**დალასი:** ფინლი (25), სებალოსი (24)

დალასთან შეხვედრაში ჰიუსტონს დაუბრუნდნენ ოლაჯუონი (13 ქულა), უილისი, ელი და მშვენივრადაც გაისარჯნენ. მათი და ბარკლის (14 ქულა, 17 მოხსნა) წყალობით ჰიუსტონი გვარიანად დაწინაურდა. დალასი ბოლო მეოთხედშიღა მოცოცხლდა და 15-ქულიანი ჩამორჩენა 6-მდე შეამცირა, მაგრამ ესღა იყო, რაც შეძლო.

**სან ანტონიო [illegible]:78 ნიუ ჯერსი**

**სან ანტონიო:** რობინსონი (19+16 მოხსნა + 6 დაფარება)
**ნიუ ჯერსი:** კასელი (19)

ნიუ ჯერსიმ მასპინძელს ტოლი არ დაუდო, მაგრამ მაინც დამარცხდა. გადამწყვეტი ბურთი სირენამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩატენა დევიდ რობინსონმა.

**დენვერი 76:100 ფინიქსი**

**დენვერი:** ნიუმენი (20)
**ფინიქსი:** მაკდაიესი (18)

**სიეტლი 111:93 ტორონტო**

**სიეტლი:** პეიტონი (24)
**ტორონტო:** უოლესი (25), კრისტი (21)

**მილუოკი 77:93 ვაშინგტონი**

**მილუოკი:** ალენი (15)
**ვაშინგტონი:** უებერი (24)

პლეი ოფში მოსახვედრად მებრძოლმა მილუოკიმ, რომელიც კარგა ხანია, დაშავებული გამთამაშებლის ტერელ ბრენდონის გარეშე თამაშობს. გასულ კვირას, დენვერთან შეხვედრისას, მთავარი ბომბარდირი გლენ რობინსონიც (23,4 ქულა საშუალოდ მატჩში) მოისაკლისა. მისი ტრავმა სერიოზულია და სამ კვირას გამოატოვებინებს. შესუსტებულმა მილუოკიმაც ადვილად დათმო შინ ვაშინგტონთან, რომლის 191-სანტიმეტრიანმა გამთამაშებელმა როდ სტრიკლენდმა 17 ქულით, 11 მოხსნით და 10 პასით კარიერაში მესამე სამმაგი დუბლი შეასრულა.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 43 | 20 | 68,3 |
| ნიუ იორკი | 35 | 26 | 57,4 |
| ნიუ ჯერსი | 33 | 30 | 52,4 |
| ვაშინგტონი | 33 | 30 | 52,4 |
| ორლანდო | 32 | 30 | 51,6 |
| ბოსტონი | 29 | 32 | 47,5 |
| ფილადელფია | 21 | 39 | 35,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 46 | 16 | 74,2 |
| ინდიანა | 43 | 18 | 70,5 |
| შარლოტი | 38 | 23 | 62,3 |
| ატლანტა | 36 | 24 | 60,0 |
| კლივლენდი | 32 | 29 | 52,5 |
| მილუოკი | 29 | 31 | 48,3 |
| დეტროიტი | 27 | 34 | 44,3 |
| ტორონტო | 13 | 48 | 21,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 44 | 16 | 73,3 |
| სან ანტონიო | 42 | 20 | 67,7 |
| მინესოტა | 32 | 29 | 52,5 |
| ჰიუსტონი | 31 | 31 | 50,0 |
| ვანკუვერი | 15 | 45 | 25,0 |
| დალასი | 13 | 49 | 21,0 |
| დენვერი | 5 | 58 | 7,9 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 47 | 15 | 78,5 |
| ლეიკერსი | 42 | 18 | 70,0 |
| ფინიქსი | 41 | 21 | 66,1 |
| პორტლენდი | 34 | 25 | 57,6 |
| საკრამენტო | 26 | 37 | 41,3 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 47 | 23,0 |
| კლიპერსი | 13 | 48 | 21,3 |

## მელოუნისთვის ისევ თებერვალია

თებერვლის საუკეთესო მოთამაშემ, „იუტა ჯაზის“ სუპერთავდამსხმელმა კარლ მელოუნმა გასული კვირის საუკეთესოს ტიტულიც დაიმსახურა. იუტამ იმ კვირას ყველა, ოთხივე მატჩი მოიგო, თანაც ოთხჯერვე სტუმრად ივარგა. თავად მელოუნმა ამ ოთხ შეხვედრაში საშუალოდ 40-40 წუთი ითამაშა და საშუალოდვე 32,0 ქულა და 11,3 მოხსნა მიითვალა. კვირის საუკეთესოობაში მელოუნს ეცილებოდნენ მეტ გეიგერი, გლენ რაისი (ორივე შარლოტი), მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო), შაკილ ონილი (ლეიკერსი), ტიმ ჰარდევეი (მაიამი), ნიკ ანდერსონი (ორლანდო), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ბრაიან რივზი (ვანკუვერი) და კრის უებერი (ვაშინგტონი).



კარლ მელოუნი

## ჩხუბი ძვირი სიამოვნებაა

კალათბურთის ნაციონალური ასოციაცია გაწევ-გამოწევასა და მუშტების ტრიალს არავის პატიობს და უწესრიგოთ მკაცრად სჯის. ლიგის ხელმძღვანელობამ არც შაბათს, ჰიუსტონ — ფინიქსის მატჩისას მომხდარი აყალმაყალის მონაწილენი დაინდო და გვარიანი თანხითაც დააჯარიმა. ჩხუბის წამომწყებთ, ჰიუსტონელ ჰაკიმ ოლაჯუონსა და ფინიქსელ ანტონიო მაკდაიესს, შესაბამისად, 10 000 და 7 500 დოლარის გადახდა დაეკისრათ, ორ ჰიუსტონელს — მარიო ელის და კევინ უილისს კი 2 500 დოლარის დადება მოუწევთ ჩხუბის დროს სათადარიგოთა სკამის დატოვებისთვის. ეს ოთხივე თითო-თითო თამაშის გამოტოვებითაც დაისაჯა.

შევახსენებთ, რომ ჩხუბი ფინიქსელმა მაკდაიესმა წამოიწყო, სირენამდე ორი წუთით ადრე ოლაჯუონს უთაქა, ამანაც ხელი გამოიღო და... მოკლედ, მსაჯმა ბოლოს ორივე გააგდო, ის მატჩი კი ჰიუსტონმა 108:89 მოიგო.

# ტიტანიკი გამოჩნდება



ტაისონი: ცოდო ვარ, მაპატიეთ, აღარავის აღარაფერს მოვაჭამ

ჯეიმს კამერონის უძვირესი ფილმი „ტიტანიკი“ მსოფლიოს ეკრანებსა და საქართველოს ტელეარხებზე მოგზაურობს, ნაღდი „ტიტანიკი“ კი ოკეანის ფსკერზე მარხია. შარშან ამბობდნენ, „ტიტანიკის“ ფსკერიდან ამოთრევა უფრო იოლ საქმედ ჩანს, ვიდრე მაიკ ტაისონისთვის საკრივო ლიცენზიის დაბრუნებაო.

თავის დროზე ტაისონიც კაი მაგარი „ტიტანიკი“ იყო, მაგრამ იმდენი იცურა აისბერგებს შორის, რომ ჩაიძირა, მაგრამ, ისევე როგორც ნაღდი „ტიტანიკი“, მოკრივე „ტიტანიკიც“, ჩაძირული და გაუბედურებული, დაუვიწყარი რამ შეიქნა.

მას შემდეგ, რაც ტაისონმა ჰოლიფილდს ყური წააკვნიტა, საკმაო დრო გავიდა. მსოფლიოს ყველაზე ცუდი კაცი უსაქმოდ დარჩა და თანდათან გაირკვა, თუ ვინ დაკარგა ფულის მკეთებელმა ხალხმა. ტაისონი რომ მოარული ოქროს ზოდი იყო, პირველად საკაბელო ტელეარხებმა შეიგრძნეს. მარტო მისმა „ეჭეიემურმა“ ჩხუბებმა 100 მილიონი დოლარი მისცა ამ არხებს და ეს მხოლოდ ტაისონის ყურების მსურველთა შენატანია. ყოველი მისი ბრძოლის ყურება ტელევიზორში 40-დან 50 დოლარამდე ღირდა. რამდენი მოიტანა რეკლამამ, ცალკეა დასათვლელი.

თავის დროზე ამგვარი საქმე პრომოუტერმა დონ კინგმა გაჩარხა. ტაისონის გადიამ, რომელსაც რკინისმკვნეტელი 100 მილიონ დოლარს ედავება მანჰეტენის სასამართლოში. უსაქმოდ დარჩენილ მაიკს კი ახალი პატრონი (ოფიციალურად „მრჩეველი“) შელი ფინკელი ჰყავს. ეს ფინკელი შოუ-ბიზნესის განთქმული კაცია, როკ-მუსიკოსთა დონ კინგი, თუმცა საკრივო საქმესა და ცხოვრებაში კარგადაა გარკვეული. ადრე ფინკელი განთქმულ საპრომოუციო კანტორა „მეინ ივენთსის“ უკან იდგა და ჰოლიფილდის კარიერასაც წარმართავდა. ასე რომ, ფინკელმა კარგად იცის, ტაისონი ფულია.

ამიტომაც ფინკელი აცხადებს: „როდემდე შეიძლება ადამიანს სიცოცხლის უფლება ჰქონდეს ჩამორთმეული?“ ტაისონის სამუდამო დისკვალიფიკაციის შემდეგ გვარიანად დაობლებული ჩანს ლას ვეგასიც. მისი ჩხუბის დღეებში ქალაქში საგანგებოდ ჩამოდიოდა 16 ათასი კრივის მოყვარული და ორ დღეში 8 მილიონ დოლარს ხარჯავდა.

მართალია, დისკვალიფიკაცია სამუდამოა, მაგრამ ზუსტად ერთი წლის თავზე ტაისონს შეუძლია წერილობითი თხოვნით მიმართოს ნევადის შტატის ათლეტურ საქმეთა კომისიას და მათაც უნდა გადაწყვიტონ, დაუბრუნებენ თუ არა ლიცენზიას მაიკს. ნევადის შტატი ლას ვეგასით სუნთქავს. ტაისონის, და არა მარტო მისი ბედი კი კომისიის ხუთი წევრის, ხუთი სერიოზული და ფხუკიანი ძიაკაცის ხელშია.

ამათგან ერთ-ერთი, ელიას განემი უკვე ინტერვიუებს არიგებს და თავი ისე უჭირავს, როგორც ჭეშმარიტ მსაჯულს შეეფერება: „ტაისონის საკითხზე ჯერ არ მიფიქრია. ჩვენ ჯერ არ შეგვიმუშავებია ამ საკითხისადმი მიდგომა“.

არადა, ტაისონის საქმის გადაწყვეტაში ნევადის გუბერნატორი და პოლიტიკოსები არიან ჩაბმული. ისინი ამბობენ, მაიკი კარგი ბიჭია და მისი დაბრუნება სპორტისადმი ნდობას ნიშნავსო.

განემი კი დიდად აქებს თავის კომისიას: „ჩვენთან ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ჩვენ ნევადის მტრები არა ვართ“.

ფინკელი ერთობ აქტიურობს: „მაიკს ერთი სული აქვს, როდის გავა რინგზე“.

ასე რომ, ძველი ნათქვამი „ტიტანიკისა“ და ტაისონის შესახებ აღარ ივარგებს. ახლა ასე სჯობს: უფრო „ტიტანიკს“ ამოათრევენ ოკეანის ფსკერიდან, ვიდრე ამ ზაფხულს ტაისონი ულიცენზიოდ დარჩება. მან ხომ ოქროს ზოდები უნდა ჩამოასხას მთელი ამ ხალხისთვის.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



რეგულარული ჩემპიონატი

# კანადელს სტუმრად მიუხარია

### დეტროიტი 3:6 ბოსტონი

**შაიბები: ტეილორი 16 (0:1), ბურკი 11 (0:2), სამსონოვი 15 (0:3), დიმაიო 9 (0:4), კოზლოვი 19 (1:4), ხრისტიჩი 21 (1:5), კარტერი 9 (1:6), კოზლოვი 20 (2:6), ლარიონოვი 8 (3:6)**

ტრიუმფალური დაბრუნების შემდეგ ლიგის უმდიდრესი ჰოკეისტი სერგეი ფიოდოროვი მწვრთნელებმა თითქმის ყველა პარტნიორს შეუამხანაგეს, მაგრამ ერთი შაიბის გარდა (6 მატჩში) იგი არაფრით გამორჩეულა. საბოლოოდ, დეტროიტის თავკაცმა სკოტი ბოუმენმა პლეი-ოფებში არაერთხელ გამოყენებული კოზლოვ — ფიოდოროვ — ბრაუნის სამეულის ხელახლა შექმნა ამჯობინა და ამან შედეგიც გამოიღო: კოზლოვს ორივე გოლის გატანაში პარტნიორები დაეხმარნენ. თუმცა ამით არაფერი შეცვლილა, რადგან „დათვებმა“, ფაქტობრივად, მანამდე გადაწყვიტეს მატჩის ბედი, როცა 4 უპასუხო შაიბა შეაგდეს. ბოსტონი რომ აღმავლობას განიცდის, ეს მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდების — ელისონის (1 პასი), აქსელსონისა (3 პასი) და კარტერის დამსახურებაა, მათი შემყურე რეი ბურკიც ისე ათამაშდა, ვეტერანი ნამდვილად არ ეთქმის.

### რეინჯერსი 2:2 ნიუ ჯერსი

**შაიბები: ოდელეინი 3 (0:1), ლაფონტენი 23 (1:1), ელიაში 16 (1:2), გრეცკი 17 (2:2)**

### ფილადელფია 2:2 ნიუ ჯერსი

**შაიბები: მაკეი 19 (0:1), ტერიენი 2 (1:1), ჰოლიკი 28 (1:2), დეიგლი 9 (2:2)**

შეიძლება ითქვას, რომ ფილადელფიელთა ახალი მთავარი მწვრთნელის როჯერ ნილსონის დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. მისმა გუნდმა სამი წაგების შემდეგ, როგორც იქნა, ქულა აართვა ჩემპიონატის ლიდერსა და ყველაზე მოუხერხებელ მეტოქეს. ფილადელფიელები მით უფრო არიან საქებარნი, რომ ლიდერი — ერიკ ლინდროსი აკლდათ. გამოირჩა ახალგაზრდა ალექსანდრ დეიგლი, რომელსაც ოტავიდან გადასვლის შემდეგ 15 მატჩში ვერ გაეტანა, რაც ხშირად უიღბლობის ბრალიც იყო. 22 წლის თავდამსხმელმა ამჯერად იმარჯვა (1+1) და ქულა მოუტანა გუნდს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ეშმაკებმა“ აშკარად უკეთ ითამაშეს, თითქმის ორჯერ მეტიც (35-19) დაარტყეს, სამჯერ ძელს გაარტყეს და ფილადელფიელთა მეკარის რონ ჰექსტოლის საუცხოო თამაში რომ არა, მასპინძლები ნიუ ჯერსის ვერ შეაჩერებდნენ.

სხვათა შორის, მანამდეც, ნიუ იორკში, „ეშმაკებმა“ „რეინჯერები“ დაჯაბნეს და სულ წინ იყვნენ, მაგრამ 59-ე წუთზე უქმეების გმირ უეინ გრეცკის ბედმა გაუღიმა: მისი მიწოდებული შაიბა მასპინძელ მცველს მოხვდა და ბროდოს კარში ისე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ნიუ ჯერსი კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას და აგერ უკვე მე 12 მატჩია, არ აგებს. ეს კი საკლუბო რეკორდს მხოლოდ ერთი თამაშით ჩამორჩება.



ფილადელფიელთა ახალმა თავკაცმა როჯერ ნილსონმა კარგად დაიწყო

**9 მარტი. ჩიკაგო — ედმონტონი 3:4, მონრეალი — ფლორიდა 6:1, რეინჯერსი — ნიუ ჯერსი 2:2, ვაშინგტონი — კალგარი 5:2, კოლორადო — ტამპა 1:2, ვანკუვერი — სენტ ლუისი 0:4, სან ხოსე — ტორონტო 3:2, ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 4:3**

**10 მარტი. აილენდერსი — ბუფალო 2:2, ფილადელფია — ნიუ ჯერსი 2:2, დეტროიტი — ბოსტონი 3:6, ფინიქსი — ლოს ანჯელესი 3:4**

ფლორიდელი ესა ტიკანენის ყიდვისას ვაშინგტონის ხელმძღვანელობა არ მალავდა, რომ გამოცდილი ჰოკეისტი, უპირველეს ყოვლისა, პლეი-ოფისთვის შეიძინა, მაგრამ 33 წლის თავდამსხმელმა ისინი დიდხანს არ ალოდინა და პირველსავე შეხვედრაში საკმაოდ შედეგიანად ითამაშა. ვეტერანმა 2 პასი მიითვალა, მოედანზე მისი ყოფნისას „კეპიტალსმა“ ორჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა, რასაც ბოლო მატჩებში ვერ ახერხებდა, რაც მთავარია, ტიკანენმა ბონდრა და ოუთსი გამოაფხიზლა. დედაქალაქელმა ლიდერებმა ოლიმპიადის შემდეგ, როგორც იქნა, გამოიჩინეს თავი: ბონდრას ჰეთ-ტრიკი... სლოვაკმა დუბლი (სულ — 39) შეასრულა, ხოლო ოუთსმა, ისევე როგორც ტიკანენმა, 2 პასი გააკეთა და ვაშინგტონმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა, თანაც ამ მატჩებში 11 გოლი გაიტანა.

ბოლოს და ბოლოს, მოიგო მონრეალმა, რომელსაც, ვაშინგტონის დარად, ნაგანოს ტურნირის შემდეგ უიღბლობა დაებედა. მართალია, კანადელებს მეტოქედ სუსტი ფლორიდა ჰყავდათ, მაგრამ საქმე ეს არ გახლავთ — მონრეალი ლიგის ერთადერთი გუნდია, რომელსაც შინ უარყოფითი, გარეთ კი დადებითი ბალანსი გააჩნია, გარდა ამისა, გუნდმა თავის მოედანზე ზედიზედ 6 თამაში წააგო და 58 წლის წინანდელი ანტირეკორდისგან ერთი წაგებაღა აშორებდა. მასპინძელთა საბედნიეროდ, „პანტერებმა“ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მათ, ის კი არა, თავიანთი უხეშობით უფრო გაუადვილეს მეტოქეს საქმე. მონრეალელებმა 4-ჯერ დასაჯეს სტუმრები რიცხვმრავლობაში, მათ შორის საუკეთესონი კი წამყვანი ცენტრი ს. ჟ. კოივუ (3 პასი) და ბრაიან სავაჟი (2+1,21) იყვნენ. გამოჯანმრთელებულმა მცველმა მალახოვმა მე-11 შაიბა შეაგდო.

სენტ ლუისი ბოლო ხანებში ქების ღირსია: რამდენიმე წამყვანი ჰოკეისტის არყოფნამ იგი უფრო მებრძოლი გახადა. მეკარე მაკლენანის საუცხოო თამაშზე უკვე არაერთხელ მოგახსენეთ, მან არც ახლა შეირცხვინა თავი და ორჯერ თვით პაველ ბურე შეაჩერა, რაც შეეხება ახალბედა კრის მაკალპინს (1+1), რომელმაც დაშავებული დემიტრა შეცვალა, იგი დებიუტს არ შეუშინდა და ნჰლ-ში პირველი გოლით თავისი გუნდის ზედიზედ მე-6 მოგებაში ლომის წილი შეიტანა. ახალგაზრდას ლიდერებმაც — ჰალმა (1+1,24) და ტარჯონმა (1+1,14) მიბაძეს, ვანკუვერი კი, როგორც ჩანს, წლეულს პლეი-ოფს უნდა დაემშვიდობოს.

დეტროიტთან გამარჯვების მერე ლოს ანჯელესმა კიდევ ორი მოგება შეიმატა და თუ გავითვალისწინებთ სატურნირო მდგომარეობას დასავლეთის დივიზიონში, შეიძლება ითქვას, რომ „მეფეები“ ოთხი წლის უხეირობის შემდეგ კვლავ გადიან პლეი-ოფში. ლოსანჯელესელებმა ჯერ მეზობელი ანაჰაიმი დაჯაბნეს, მიუხედავად იმისა, რომ „იხვებში“ კვლავ გამოჩნდა ტეემუ სელიანე. ჩემპიონატის მთავარმა სნაიპერმა ყველა ძალ-ღონე იხმარა, გოლიც გაიტანა (სულ — 42) და ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ ოვერტაიმის ბოლო წუთზე მასპინძელთა ფორვარდმა იანიკ პერომ (24) სტუმართა იმედები დაასამარა.

არც ფინიქსთან გამარჯვება ერგოთ იოლად „მეფეებს“, თუმცა პირველი პერიოდის შემდეგ ასეთი რამ ძნელად წარმოსადგენი იყო. მე-16 წუთზე ლოსანჯელესელები უკვე 4:0 დაწინაურდნენ, თანაც ანგარიში დებიუტანტმა ჯესონ მორგანმა გახსნა, რომელიც გუნდის დაშავებული ლიდერის შტუმპელის ნაცვლად თამაშობდა. ეტყობა, სოლიდურმა უპირატესობამ და ფინიქსის ლიდერის კეიტ ტკაჩუკის არყოფნამ სტუმრები დააშვიდა, მით უმეტეს, რომ პირველი მესამედის მიწურულს „კოიოტების“ კიდევ ერთი ლიდერი — ჯერემი რენიკი გააძევეს, მაგრამ მასპინძლებმა, სრულიად მოულოდნელად, 3 გოლი გაქვითეს და კლიფ რონინგის (1+1,7) ძალისხმევით მეტოქეზე ორჯერ მეტი დაარტყეს. საბოლოოდ „მეფეებმა“ მაინც შეინარჩუნეს ორი ქულა, ფინიქსს კი, უკვე 10 თამაშია, არ მოუგია.

ჩიკაგოში ედმონტონელთა თავდადება კი ნამდვილი გმირობის ტოლფასია. მატჩის განმავლობაში მათ ერთბაშად ოთხი (!) მოთამაშე დააკლდათ, მათ შორის წამყვანი ფორვარდი დუგ უეიტი, მაგრამ გადაღლილმა სტუმრებმა, რომლებიც მცველთა წამყვანი წყვილის, მირონოვ (1+2,12) — ჰამრლიკის (1+1,9) ძალისხმევით პირველი პერიოდის შემდეგ 3:0 იგებდნენ, მასპინძლებს გათანაბრების საშუალება მისცეს. თუმცა მუდმივად მოიერიშე ჩიკაგოელები მეტად აღარ გაახარეს, ოვერტაიმში კი, ფაქტობრივად, ერთადერთი შესაძლებლობა გამოიყენეს და პლეი-ოფის საგზურის მოცილე ჩიკაგოელებთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს. რაც შეეხება დასავლეთში მე-9 ადგილზე მყოფ სან ხოსეს, რომელმაც ვეტერანი ბარის (4), გილისა (8) და მაკლინის (0+2) წყალობით სძლია ტორონტოს, იგი 2 ქულით ჩამორჩება „შავ ქორებს“.

ედმონტონისგან განსხვავებით, ტამპამ პირველივე წუთიდან მხოლოდ 17 ჰოკეისტით ისპარეზა (გუნდებს 18 მოთამაშის გამოყენება შეუძლიათ), რაც მთავარმა მწვრთნელმა ჟაკ დემერმა იმით ახსნა, რომ კლუბის ბედი მარტო ამ მოთამაშეებს აწუხებთ. საოცარია, მაგრამ ამ სიახლემ გაამართლა, თანაც როგორ — „ელვებმა“ სტუმრად კოლორადოს ისე მოუგეს, ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო რიცხვმრავლობის ბრიგადებს არც ერთი გოლი არ გაატანინეს.

„ეველანშის“ მეკარე რუას კი მისივე ყოფილმა მონრეალელმა პარტნიორმა სტეფან რიშემ (11) ორჯერ ... გული ...

**სამკვლე ლიდერები**

გამარჯვების შაიბები: ... (ანაჰაიმი), ... (ვაშინგტონი), ... (პიტსბურგი) და ჰოლიკი (ნიუ ჯერსი) 8, ნუინდაიკი (დალასი), რობიტაილი (ლოს ანჯელესი), შენაჰანი (დეტროიტი), ბრინდამორი (ფილადელფია), ტკაჩუკი (ფინიქსი) და ელისონი (ბოსტონი) 7.

შაიბები რიცხვმრავლობაში: პალფი (აილენდერსი) 14, კორსონი (მონრეალი) 13, საკიკი (კოლორადო), შენჰანი და ლეკლერი (ფილადელფია) 11, ჰალი (სენტ ლუისი), ტკაჩუკი, ხრისტიჩი (ბოსტონი) და ლაფონტენი (რეინჯერსი) 10.

## კაროლინა კიდეზე ჰკიდია

ამ დღეებში „კაროლინა პერიკეინსმა“ სიურპრიზი შემოგვთავაზა — ზედიზედ 4 მოგების შემდეგ ფლეი-ოფის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაება. ამას კაროლინელები თავიანთ მეკარე ტრევორ კიდს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც 3 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაუშვა და კვირის (2-8 მარტი) სხვა რჩეულთ — კოლორადოელ ფორსბერგსა და პიტსბურგელ იაგრს აჯობა.

## ჰაშეკი ხელფასითაც ნახევარი გუნდია

მოგეხსენებათ, ბუფალოს ბოლოდროინდელი წარმატებები მეტწილად დომინიკ ჰაშეკის სახელს უკავშირდება. შარშანდელი სეზონის MVP და ოლიმპიადის ტრიუმფატორი, რომელსაც კლუბთან 1999 წელს უმთავრდება კონტრაქტი, ბუფალოს მესვეურებს არ ეთმობათ და მის დასაყოლიებლად მანამდე არნახული გასამრჯელოც (იგულისხმება მეკარეები) არ ენანებათ. მართალია, ჯერ ახალი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, მაგრამ როგორც „ასოშიეიტედ პრესი“ იუწყება, ჰაშეკის წლიური ხელფასი, პრემიალურების ჩათვლით, 7-დან 8 მილიონამდე დოლარს (!) მიღწევს! ამით „დომინატორი“, რომელიც მანამდე 4 მილიონს ლებულობდა, ლიგის უძვირფასესთა ელიტაში შეიჭრება და თუ ბუფალოს მოკრძალებულ ფინანსურ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, ნახევარი გუნდის ტოლფასი შეიქნება.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge